საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№26 (591)
21 - 27 ივლისი, 2021

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru




## კუბური ვაქცინა და ჩვენი უსარგებლო ლუგარის ლაბორატორია
24

# გუბერნატორის როლში შეჭრილი დეგნანი და დრო, როცა ხელისუფლებამ გაბზარულს გატეხილი უნდა ამჯობინოს
2







# განირეთ თავი და... გადარჩებით!

## ღია წერილი ირაკლი ღარიბაშვილს
6-7

## აშშ-ევროკავშირი კატეგორიულად მოითხოვს
4



## ან ჩვენ — მართლმადიდებელი ქრისტიანები, ან ისინი — სატანისტი ხლისტები. მესამე არ არსებობს!
5





ნანა კაკაბაძე:

## ესენი არ არიან ჟურნალისტები, ესენი არიან «ნაცმოძრაობის» პოლიტიკური უჯრედები
3

## პირველი პირები, რომლებიც ამერიკელებმა სიცოცხლეს გამოასალმეს
14-15




## სიხარბისა და სიცრუის სინერგია — ვინ დგას «ბიგ ფარმასა» და მედიაკორპორაციების უკან
17



## ამერიკელმა პოლიციელმა დამიზნებით ესროლა მანიფესტანტს
20



შეხედვა საქართველოზე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დასავლეთის დღის წესრიგით თუ არ ვიცხოვრებთ, ეგებ ახალი შესაძლებლობები გამოჩნდეს, ეგებ გაცილებით წინ წავიწიოთ და ეგებ მართლა ის დრო სჯობდა, როცა ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდვნოდა. ამიტომ არ შეიძლება ახლა დათმობა და უკან დახევა, რადგან ახლა უკან დახევა მონობის გაგრძელებას ნიშნავს, თავისუფლება კი ადამიანებისთვის უმთავრესი მონაპოვარია. თავისუფლება ვიპოვოთ და მერე ყველაფერ დანარჩენს ვიპოვით.**


ირაკლი ღარიბაშვილი


კელი დეგნანი


შარლ მიშელი

# გუბერნატორის როლში შეჭრილი დეგნანი და დრო, როცა ხელისუფლებამ გაბზარულს გატეხილი უნდა ამჯობინოს

**გაგიკვირდებათ და, როგორც იქნა, მმართველმა გუნდმა არცთუ ორაზროვნად მიანიშნა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტს, აქაური ელჩი ტყუილ ინფორმაციას გაწვდითო. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ამერიკამ საქართველოს ხელისუფლების კრიტიკა გააძლიერა და აქედან წასული ინფორმაციის საფუძველზე ლამის ქვა ქვაზე არ დატოვა.**

„ამ ფონზე, შემაშფოთებელია, რომ ცალკეული ჩინოსნების არაკეთილსინდისიერი ქმედებების გამო, ჩვენი მთავარი სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნის სტრუქტურებს უმაღლეს დონეზე მიეწოდება დამახინჯებული ინფორმაცია პოლიტიკური შეთანხმების შესრულების შესახებ. ამგვარი ქმედებები საფრთხეს უქმნის ნებისმიერ დიალოგს, რომელიც სხვადასხვა შიდაპოლიტიკური საკითხის გარშემო მომავალში შეიძლება გაიმართოს", — ეს იყო ძირითადი შინაარსი გზავნილისა, რომელიც „ოცნების" მაღალჩინოსნებმა გავრცელეს. ამავე გზავნილში გასაგებად ეწერა, რომ თავის დროზე, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი არ აკრიტიკებდა „ნაციონალურ მოძრაობას" და ეს იმიტომ, რომ იმჟამინდელი მაღალჩინოსნები სიმართლეს მალავდნენ.

ისე როგორ იქნებოდა, **კელი დეგნანი** ვერ მიმხვდარიყო, რომ საუბარი სწორედ მას შეეხებოდა, მაგრამ მაინც მოითხოვა, — დააკონკრეტეთ, „ცალკეულ ჩინოსნებში" ვის გულისხმობთო. „ოცნებამ" არ დააკონკრეტა, მაგრამ საქმე ლამის „ქურდულ გარჩევამდეა" მისული და ამ ყველაფერში აუცილებლად ჩაერთვება ევროპის საბჭოს პრეზიდენტი **შარლ მიშელი.** მანამდე კი კოლეგის დაცვა ამერიკის ყოფილმა ელჩმა საქართველოში — **იან კელიმ** სცადა. სწორედ კელი იყო „მაშინდელი მაღალჩინოსანი" და როგორც ჩანს, მის ბოსტანში ნასროლი ქვა არ მოეწონა.

**„ეს არ შეესაბამება სიმართლეს. გადახედეთ ადამიანის უფლებათა ანგარიშს — ყოველთვის იყო კრიტიკა „ნაციონალური მოძრაობის" ეპოქის სასამართლო სისტემის მიმართ. მაგალითისთვის გავიხსენოთ 2011 წელი: „ცრუ, პოლიტიკურად მოტივირებული ბრალდებები", „მთავრობის ოფიციალური პირების მიერ პატიმრებისადმი ცუდად მოპყრობა", „სასამართლოს წარმომადგენლები განაგრძობდნენ მოქმედებას მმართველი პარტიის სასარგებლოდ", — დაწერა კელიმ სოციალურ ქსელში.**

ამაზე უკეთეს აღიარებას კელი ვერც კი მოიფიქრებდა. მან პირადად დაადასტურა, რომ „ნაციონალური მოძრაობის" კრიტიკა 2011 წელს დაიწყო, მაშინ, როცა ასპარეზზე „ქართული ოცნება" გამოჩნდა და როცა ცხადი შეიქნა, რომ ნაციონალები ხელისუფლებას ვერანაირად ვერ შეინარჩუნებდნენ. ე.ი., **ამერიკამ თავი დაიზღვია და ერთი წლით ადრე დაიწყო იმ ძალის კრიტიკა, რომელიც ოპოზიციაში წასასვლელად იყო განწირული. ამით მან ხალხის გული მოიგო, მაგრამ ანალოგიურმა პროცესმა ახლა არ გაამართლა — 2019 წელს „ოცნებაზე" მიტანილი დასავლური იერიშისა და რუსული ძალის ძახილის მიუხედავად, მოსახლეობამ არჩევანი კვლავ იმ გუნდზე გააკეთა, რომელმაც ნაციონალები გაისტუმრა.**

დღეს ტაქტიკა შეიცვალა — **დასავლეთი ძალიან კარგად ხვდება, რომ ვერც „ნაციონალური მოძრაობა" და ვერც სხვა პარტიები ამ ეტაპზე ხელისუფლებას ვერ დაამარცხებენ და ამიტომ მიიღეს უპრეცედენტო გადაწყვეტილება — აქამდე არც ერთ, ვიმეორებთ, არც ერთ ქვეყანაში არ ყოფილა, რომ ერთი არჩევნების შედეგების გამო წინა არჩევნების ლეგიტიმაცია დამდგარიყო ეჭვქვეშ. დასავლეთი, რომელმაც აღიარა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები, ახლა ცდილობს, თავისი გადაწყვეტილება შეცვალოს, ოღონდ შეცვალოს ისე, რომ ხელები ამომრჩეველს შეაწმინდოს — აქაოდა, ვადამდელი არჩევნები თუ არ გინდოდათ, „ოცნებისთვის" 43%-იანი მხარდაჭერა გამოგეცხადებინათო.**

მმართველი ძალის კრიტიკის პარალელურად, **ტელეჟურნალისტების დიდმა ნაწილმა, დეგნანს ტაში დაუკრა და მადლობა გადაუხადა იმისთვის, რომ 5 ივლისს მომხდარი დაგმო და როგორც მედიას, ისე ლგბტ თემს მხარი დაუჭირა. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა კი პირდაპირ აღიარა, რომ სქესობრივ უმცირესობებს ისინი აფინანსებენ და სურთ, ეს ფლანგი საქართველოში ძალიან ძლიერი იყოს.**

სიმართლე გითხრათ, რაოდენობა იმ ადამიანებისა, რომლებიც საქართველოში ლგბტ თემს წარმოადგენენ, იმდენად მცირეა, რომ ამერიკელებს მარტივად შეუძლიათ, წაიყვანონ და იქვე არჩინონ, გაცილებით იაფი დაუჯდებათ და პრობლემაც მოგვარდება, მაგრამ მერე ხომ ვერ მოახერხებენ ეკლესიის გაშავებას, ვერ მოახერხებენ ნებისმიერ დროს ქუჩაში უკმაყოფილო ადამიანების მობილიზებას, ამიტომ ურჩევნიათ, აქ გამოგზავნონ ფული და 100-მდე ადამიანის გამო ქვეყანა არიონ.

საგულისხმოა, რომ ბოლო წლებში **არ გვახსენდება არც ერთი ხელისუფლების მიერ ამერიკის ელჩის წინააღმდეგ ასეთი გალაშქრება. თუ იმას არ ჩავთვლით, ახალდანიშნულ დეგნანს ნიკა გვარამიამ ბიძინას მონა რომ უწოდა. თუმცა, დეგნანმა სახე მალე გამოაჩინა და დაამტკიცა, რომ საკუთარი წინამორბედებისგან არაფრით განსხვავდებოდა.** უფრო მეტიც, დეგნანი **დონალდ ტრამპის** ანტილიბერალურ პოლიტიკასაც კი ეწინააღმდეგებოდა აქედან და, როცა პრეზიდენტად **ბაიდენი** აირჩიეს, ყველაზე მეტად მას გაუხარდა, რადგან ბოლომდე გაშალა ფრთები. **სამაგიეროდ, პოლიტიკური სპექტრის კრიტიკამ დასავლეთი ისე დააფრთხო, იან კელის ვინ ჩივის, შარლ მიშელი სასწრაფოდ ჩამოვიდა საქართველოში. მიშელმა ევროპიდან უკვე დაგმო ქართველების უკმაყოფილება პრაიდის მიმართ, სულ თითი გვიძნია და ახლა ამ თითს ხელისუფლებას დაუქნევს.**

მოქმედი ხელისუფლება ნელ-ნელა ცდილობს დასავლური მარწუხებიდან გათავისუფლებას, ხვდება იმასაც, რომ ევროპა-ამერიკის მიერ თავსმოხვეული პოლიტიკა დიდწილად არ შველის ქვეყანას და მოსახლეობის უდიდესი ნაწილიც უკვე ხბოს აღტკინებით აღარ უკრავს ტაშს დასავლეთის გაგონებაზე. **ქუჩაში გამოსული ხალხის მიერ ევროკავშირის დროშის ჩამოხსნას უსიტყვო რეფერენდუმი დავარქვით და დასავლეთი ამ ნაბიჯმაც ძალიან შეაშფოთა. თუ პირველ ჯერზე ჩამოხსნილი დროშა ვიღაცის ცხელ თავს დაბრალდა, მეორედ ჩამოხსნა უკვე კანონზომიერების ფარგლებში მოექცა, უკვე ცხადია, რომ ერთი და ორი ადამიანი არ ფიქრობს ასე.**

საქართველოს ხელიდან გაშვება დასავლეთისთვის ფინანსურად მომგებიანი უნდა იყოს, შეწყდება ის გრანტები და სუბსიდიები, რომლებიც რეალურად რამდენიმე ადამიანის ჯიბესა და არასამთავრობო ორგანიზაციების ბიუჯეტში მიდის, მაგრამ საქმე ის არის, რომ საქართველო ერთადერთი (ჰო, ერთადერთი) ქვეყანაა ამიერკავკასიაში, რომელიც პირველივე დაძახილზე რუსეთსა და მის პირველ პირს უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავს. თანაც, ლანძღავს ომახიანად, გამოთქმით და, რაც მთავარია, უმაღლესი ტრიბუნებიდან. სწორედ **რუსეთის სალანძღავად სჭირდებათ საქართველო, თორემ, დიდი ხანია, ჩვენი ქვეყანა დასავლეთისთვის მომგებიანი ბიზნესი აღარაა.**

ახლა ის **დროა, ხელისუფლებამ გაბზარული გატეხოს და შარლ მიშელს უთხრას, რომ მონობასა და დასავლეთის მითითებების უსიტყვოდ შესრულებას აღარ აპირებს. დროა, კელი დეგნანსაც ამოსდონ ლაგამი და მას მხოლოდ ელჩის მოვალეობის შესრულება სთხოვონ და არა ისე მოქცევა, თითქოს კოლონიის გუბერნატორია.**

სწორედ კოლონიად არის ქცეული საქართველო და ამას ერი და ბერი ხვდება. **დასავლეთისგან მხოლოდ კარგი რომ ავიღოთ, არ გვანებებენ. უნდათ, ისეთი წესებითა და კანონებით ვიცხოვროთ, როგორიც მათ მიაჩნიათ სწორად.** მერე რა, რომ იმავე ლგბტ თემის წინააღმდეგ ევროპის შუაგულში, პარიზში, მილიონზე მეტი ადამიანი გამოვიდა?! საფრანგეთი დიდი ქვეყანაა, განვითარებულია და **ემანუელ მაკრონს** ყური ვერ აუწიეს. არც ის მილიონი ფრანგი გაუკრიტიკებიათ სადმე, — როგორ გაბედეთ და ლგბტ თემზე ხმა აღიმაღლეთო. იციან, საფრანგეთის ცეცხლის ალში გახვევა შეუძლიათ მომიტინგეებს, არაერთხელ გაუკეთებიათ, როცა რამე არ მოსწონებიათ და ამიტომ დუმილი ამჯობინეს. **ჩვენ კი... ჩვენ პაიკებიც აღარ ვართ საჭადრაკო დაფაზე, ჩვენი მდგომარეობა უფრო „დურაკას" თამაშს ჰგავს, როცა ყველაზე დაბალი კარტი ხარ და ვერაფერს წყვეტ.**

„დურაკა" ტყუილად არ გვიხსენებია. სწორედ „დურაკას" გვათამაშებენ, ამდენი წელია და თან რუსებისთვის გასაგებ ენაზე, უფრო მწარედ რომ მოხვდეს ჩრდილოელ მეზობელს გულში და ეგებ ისეთი შეცდომა დაგვაშვებინონ, მერე მუხლებზე კი არა, ოთხზე დამდგარი მივადგეთ: ოღონდ გვიშველეთ და თქვენი მონები ვიქნებითო. ეს ყველაფერი ისე გაუსაძლისი გახდა, რომ ხელისუფლებამ, უბრალოდ, ველარ მოითმინა და გააპროტესტა. ახლაა გარდამტეხი მომენტი — ურჩობას მყისვე უპასუხა ამერიკამ და ევროპის პასუხს შარლ მიშელის ვიზიტისას მოვისმენთ. **დასავლეთის დღის წესრიგით თუ არ ვიცხოვრებთ, ეგებ ახალი შესაძლებლობები გამოჩნდეს, ეგებ გაცილებით წინ წავიწიოთ და ეგებ მართლა ის დრო სჯობდა, როცა ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდვნოდა. ამიტომ არ შეიძლება ახლა დათმობა და უკან დახევა, ახლა უკან დახევა მონობის გაგრძელებას ნიშნავს,** თავისუფლება კი ადამიანებისთვის უმთავრესი მონაპოვარია. თავისუფლება ვიპოვოთ და მერე ყველაფერ დანარჩენს ვიპოვით.

დასასრულ, **გახსოვდეთ, ბატონებო, თუ საქართველოში რომელიმე კანონი ან მათ შორის უმთავრესი — კონსტიტუცია, შეუსაბამოა მართლმადიდებლობასთან, კანონია შესაცვლელი და არა ქრისტიანობა!**

**ბესო ბარბაქაძე**

**გახსოვდეთ, ბატონებო, თუ საქართველოში რომელიმე კანონი ან მათ შორის უმთავრესი — კონსტიტუცია, შეუსაბამოა მართლმადიდებლობასთან, კანონია შესაცვლელი და არა ქრისტიანობა!**

**„ნაცმოძრაობის“ ლიდერების წინააღმდეგ არსებობს უამრავი საქმე, რომელთა ნაწილიც ფართო საზოგადოებისთვის ცნობილია. საფრთხე და განცდა იმისა, რომ ეს საქმეები ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება თაროებიდან ჩამოიღონ, მათ ყოველთვის აქვთ. და, რადგან ეს განცდა აქვთ, ბუნებრივია, მშვიდად ვერ არიან. ამერიკელებს თუ რატომ უნდათ, ნაციონალების გაძლიერება, აქაც ყველაფერი ნათელია: როდესაც ის საქმეები დღის სინათლეს იხილავს, მათ არ აქვთ გარანტია, რომ თვითონაც არ ამოტივტივდებიან, როგორც იმ ცხრაწლიანი რეჟიმის მხარდამჭერები.**

თვალსაზრისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ნანა კაკაბაძე:

# ესენი არ არიან ჟურნალისტები, ესენი არიან «ნაცმოძრაობის» პოლიტიკური უჯრედები

**„ქართული ოცნების“ ლიდერების — ირაკლი კობახიძის, არჩილ თალაკვაძისა და შალვა პაპუაშვილის — ერთობლივმა განცხადებამ, რომელშიც აღნიშნულია, რომ მთავარ სტრატეგიულ პარტნიორს ქვეყანაში მიმდინარე სასამართლო რეფორმებზე დამახინჯებული ინფორმაცია მიეწოდება, საქართველოში აშშ-ის ელჩი კელი დეგნანი განსაკუთრებით შეაშფოთა. მედიასთან საუბარში მან ხელისუფლებას დაფიქრებისკენ მოუწოდა და დასძინა, რომ აშშ-ის მთავრობის, მათ შორის სახელმწიფო მდივნის, განცხადებები ნაჩქარევი არ არის. შეშფოთებული ელჩი მოგვიანებით უფრო მკვეთრ განცხადებებსაც არ მოერიდა და მმართველ გუნდს სანქციებით დაემუქრა: „სანქციები ერთ-ერთი ინსტრუმენტია და თქვენ ნახეთ აშშ-ის საელჩოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში, ასევე აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტისა და სახელმწიფო მდივნის განცხადებებში, რომ ჩვენ ვართ ძალიან, ძალიან იმედგაცრუებულები...“**

## «ხელისუფლება მიხვდა, რომ ძალაუფლების წყარო ხალხია»

შეგახსენებთ, რომ სასამართლო რეფორმა ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის 19 აპრილს დასავლეთის მენტორობით მიღწეული შეთანხმების ნაწილი იყო. შეთანხმების შეუსრულებლობაზე პოლიტიკური სპეკულაციები ოპოზიციამ (განსაკუთრებით „ნაციონალურმა მოძრაობამ“) მალევე დაიწყო, „დემოკრატიული“ დასავლეთი კი, რომელსაც 2012 წლამდე პრეტენზია არ გასჩენია სასამართლო სისტემის ხარვეზებზე, ერთი-ერთზე იმეორებდა ლიბერალური ოპოზიციის რიტორიკას...

**რატომ არის დღეს ამერიკისთვის ასე მიუღებელი სასამართლო სისტემის მიმდინარე რეფორმა, რატომ იმუქრებიან სანქციებით და არის თუ არა ხელისუფლება მზად, გაუძლოს წნეხს, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება უფლებადამცველი ნანა კაკაბაძე.**

**— ქალბატონო ნანა, „დემოკრატიული“ დასავლეთი და განსაკუთრებით „მეგობარი“ ამერიკა უკიდურესად შეშფოთებულია სასამართლო სისტემის მიმდინარე რეფორმით. უზენაეს სასამართლოში 6 მოსამართლის უვადოდ დანიშვნამ ეს შეშფოთება კიდევ უფრო გაზარდა. კელი დეგნანი სანქციებითაც იმუქრება... რამ გამოიწვია მათი უკმაყოფილება და რის მიღწევა სურთ ხელისუფლებაზე ზემოქმედებით?**

— ამ ყველაფერს სჭირდება ძალიან სერიოზული და სიღრმისეული ანალიზი იმ მიმართულებით, რაზეა სინამდვილეში გათვლილი ეს შეშფოთება; ეს არის შეშფოთება რეალურად სასამართლოს დამოუკიდებლობის საკითხზე თუ ძალაუფლების მთლიანად ლიბერალებისთვის გადასაცემად. გავშალოთ ეს თემა: გახსოვთ, ალბათ, 2012 წლის შემდეგ, როდესაც ხელისუფლება შეიცვალა, ჩვენ, რამდენიმე უფლებადამცველი ორგანიზაცია, მოვითხოვდით რეჟიმის გასამართლებას. ეს იყო კამპანია და მას შემდეგ, რაც პოლიტპატიმრები ოფიციალურად აღიარა პარლამენტმა, ასევე **მოვითხოვეთ კონკრეტული პროკურორების, მოსამართლეებისა და გამომძიებლების გათავისუფლება. საუბარია იმ ადამიანებზე, რომლებიც წლების განმავლობაში მონაწილეობდნენ პოლიტიკურად მოტივირებულ საქმეებში. იმხანად მთელი რიგი არასამთავრობო ორგანიზაციის მხრიდან, მათ შორის იყო „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოც“, წავაწყდით წინააღმდეგობას. ამ ხალხმა, ამერიკის საელჩოსთან ერთად, ხელისუფლება წნეხში მოაქცია და ეს მოსამართლეები შეინარჩუნა.** სხვათა შორის, მათი მთავარი არგუმენტი ასეთი იყო: **როგორ, თქვენ გინდათ, სააკაშვილმა რაც ჩაიდინა, ის გაიმეოროთ და სასამართლო სისტემას შეეხოთ?** მოკლედ, უმცირესობაში აღმოვჩნდით. დღეს ვხედავთ, რომ ზუსტად იგივე ხალხი — ეს **ნაზი ჯანეზაშვილი,** ამერიკის საელჩო, ევროკავშირი და სხვები — ჩვენ გვეუბნება აბსოლუტურად საწინააღმდეგოს...

**— რით არის ეს განპირობებული?**

— ძალიან მარტივი რამით: **როდესაც ჩვენ ამ მოსამართლეებს ვუწოდებდით ნოტარიუსებს, რადგან ისინი პირდაპირ ადასტურებდნენ პროკურატურის მიერ წაყენებულ ბრალს, სასამართლო თავიდან ბოლომდე იყო „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ მართული.** შესაბამისად, იმ ხალხს, რომელიც მოსამართლეების გათავისუფლებას ეწინააღმდეგებოდა, ეგონა, რომ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ისინი კვლავ დარჩებოდნენ „ნაცმოძრაობის“ კონტროლქვეშ. ზუსტად აქ დაუშვეს შეცდომა და ეს მერე გამოჩნდა. როგორც კი მოსამართლეები წნეხისგან გათავისუფლდნენ, მათმა დიდმა ნაწილმა, უბრალოდ, არ მოისურვა „ნაცმოძრაობის“ შეკვეთების შესრულება. აი, მაშინ მიხვდნენ ნაციონალები, რომ სასამართლოებს ველარ მართავდნენ და მოინდომეს სასამართლო რეფორმა. **რაც შეეხება ამერიკის საელჩოსა და ევროკავშირის წარმომადგენლებს, რომლებიც, პრაქტიკულად, ზუსტად იმეორებენ ნაციონალების რიტორიკას ამ სასამართლო რეფორმაზე, მათი მიზანიც იგივეა. მათ ის კი არ სურთ, რომ საქართველოს დამოუკიდებელი სასამართლო ჰქონდეს, არა, ისინი მხარს უჭერენ იმას, რომ სასამართლო იყოს ნაციონალების ხელში.**

**— კი მაგრამ, ამერიკელებს რა ინტერესი აქვთ ამ შემთხვევაში, რისთვის სჭირდებათ „ნაციონალური მოძრაობისთვის“ სასამართლოს დაქვემდებარება, რომელიც მათ ხელში უკვე იყო პოლიტიკური ინსტრუმენტი?**

— „ნაცმოძრაობის“ ლიდერების წინააღმდეგ არსებობს უამრავი საქმე, რომელთა ნაწილიც ფართო საზოგადოებისთვის ცნობილია. ე.ი., საფრთხის განცდა, რომ ეს საქმეები ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება თაროებიდან ჩამოიღონ, მათ ყოველთვის აქვთ და, ბუნებრივია, მშვიდად ვერ არიან. ამერიკელებს თუ რატომ უნდათ ნაციონალების გაძლიერება, აქაც ყველაფერი ნათელია: როდესაც ის საქმეები დღის სინათლეს იხილავს, მათ არ აქვთ გარანტია, რომ თვითონაც არ ამოტივტივდებიან, როგორც იმ ცხრაწლიანი რეჟიმის მხარდამჭერები. აი, ამიტომ არის, რომ დღესაც „დემოკრატები“ ყველაფერს აკეთებენ „ნაცმოძრაობის“ გასაძლიერებლად და ყველანაირად ცდილობენ, ხელისუფლებას მოუწყონ ტერორი. სხვათა შორის, **კელი დეგნანი, რომელიც დღეს ამდენს ლაპარაკობს, სანამ ტრამპის ადმინისტრაცია იყო სათავეში, შედარებით წყნარად იყო. როგორც კი შეიცვალა ის და აშშ-ის ხელისუფლებაში მოვიდნენ „დემოკრატები“, გააქტიურდა... „დემოკრატებს“ უნდათ, აქ „ნაცმოძრაობის“ სახით ჰყავდეთ ისევ ის ყურმოჭრილი მონები, რომლებიც ცხრა წლის განმავლობაში უგადლოდ ასრულებდნენ თავიანთ მონურ მოვალეობას.**

**— შეძლებენ ისინი ამ ყველაფრის განხორციელებას? შეძლებენ „ნაცმოძრაობის“ დაბრუნებას ხელისუფლების სათავეში?**

— მე ერთ რამეს ვხედავ და ამაში, ალბათ, ბევრი დამეთანხმება: დღეს ხელისუფლების განწყობა ემთხვევა საზოგადოების დიდი ნაწილის განწყობას. **ხელისუფლება მიხვდა, რომ ძალაუფლების წყარო ხალხია. ახლა აქ „დემოკრატებმა“, ერთი კი არა, ათასი კელი დეგნანი რომ ჩამოიყვანონ, ვერაფერს გააწყობენ, თუ ქართველმა ამომრჩეველმა არ ჩააგდო ბიულეტენი ყუთში.** გამომდინარე აქედან, ვფიქრობ, არც „ნაციონალურ მოძრაობას“, არც მის ანასხლეტებსა და მოკავშირე ე.წ. პროდასავლურ პარტიებს, რომელთა იდეოლოგიაც ეწინააღმდეგება ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის ინტერესებს, რამე სერიოზული პოლიტიკური მომავალი არ აქვთ...

> **«ჯორჯიის შტატში უკვე ფაქტებით დადასტურდა, რომ აშშ-ის ბოლო საპრეზიდენტო არჩევნებზე 60% იყო გაყალბება. წარმოიდგინეთ, ეს ხდება ქვეყანაში, რომელიც მსოფლიოში დემოკრატიის ფლაგმანადაა მიჩნეული; და ესენი გვასწავლიან ჩვენ, როგორ ჩავატაროთ სასამართლო რეფორმა?!»**

**— მოსალოდნელია თუ არა სანქციები, რომლებიც დეგნანმა მედიასთან არაერთხელ ახსენა, როგორც ერთ-ერთი ინსტრუმენტი, და საზოგადოება რა ფორმით შეიძლება დაუპირისპირდეს ამ ყველაფერს?**

— არ ვფიქრობ, რომ ან საზოგადოებამ, ან ხელისუფლებამ დასავლეთს რამე არ უნდა დაუპირისპიროს, აქ უნდა დაუპირისპირდეს ღირებულებები ერთმანეთს. აი, **ამას უნდა ხელშეწყობა და ბრძოლა, რომ აქაც და იქაც — საქართველოშიც და დასავლეთშიც, ჯანსაღმა, ტრადიციულმა, ქრისტიანულმა ღირებულებებმა გაიმარჯვოს მახინჯ, უზნეო, ამორალურ სისტემაზე.** დარწმუნებული ვარ, ეს, ადრე თუ გვიან, მაინც მოხდება და მაშინ მოხდება პოლიტიკური დანაშაულების, კონკრეტული ქმედებების მხილება... მერე ნახეთ ამათი დემოკრატია... სხვათა შორის, **ჯორჯიის შტატში უკვე ფაქტებით დადასტურდა, რომ აშშ-ის ბოლო საპრეზიდენტო არჩევნებზე 60% იყო გაყალბება. წარმოიდგინეთ, ეს ხდება ქვეყანაში, რომელიც მსოფლიოში დემოკრატიის ფლაგმანადაა მიჩნეული; და ესენი გვასწავლიან ჩვენ, როგორ ჩავატაროთ სასამართლო რეფორმა?!**

**— ბოლო პერიოდში ძალიან გააქტიურებულია ე.წ. ლიბერალური მედია, ძირითადად, ოთხი არხი — „ფორმულა“, „მთავარი“, რუსთავი 2“ და „ტვ პირველი“. თქვენ, როგორც უფლებადამცველი, რას ფიქრობთ იმ ყველაფერზე, რასაც ამ ტელევიზიების წარმომადგენლები ყოველდღე აწყობენ ქუჩებში?**

— ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყველაფერს დაერქვას თავისი სახელი, ოღონდ არა ხელისუფლების, არამედ საზოგადოების მხრიდან. ესენი არ არიან ჟურნალისტები, ესენი არიან „ნაცმოძრაობის“ ჩვეულებრივი პოლიტიკური უჯრედები. **ახლა ამ ყველაფერს შესაბამისი კვალიფიკაცია არ უნდა ჰქონდეს ხელისუფლებისგან?!** უნდა ჰქონდეს და ეს აუცილებელია. ისე, კარგი კი გააკეთა **ირაკლი ღარიბაშვილმა,** რომ ღონისძიებაზე არ მიიწვია ეს ოთხი ტელევიზია, მაგრამ არმიწვევა კი არაა მთავარი, არამედ მომხდარის შესაბამისი კვალიფიკაცია. კიდევ ვიმეორებ: ესენი არ არიან ჟურნალისტები, ესენი არიან გაკოტრებული პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ დანამატები. აი, ეს არის მთავარი და ჩვენ არ უნდა დავუშვათ, რომ ესენი მსოფლიოში წარმოჩნდნენ, როგორც მედია. ისიც აღსანიშნავია, რომ რამდენიმე დღის წინათ ამ მედიებმა აქციაზე 500-ზე მეტი კაცი ვერ გამოიყვანეს. ეს არ არის პროტესტი, როგორც უწოდებენ ლიბერალები, **ეს არის ხელისუფლების დამხობის, სახელმწიფოს დესტრუქციისა და დესტაბილიზაციის გეგმა,** რომელსაც ისინი ნაბიჯ-ნაბიჯ ასრულებენ. ასეთივე გეგმა იყო 20 ივნისს მოწყობილი პროვოკაცია, რომელსაც მერე გავრილოვის ღამე უწოდეს და მაშინ ხელისუფლებამ ვერ გამოიჩინა ბოლომდე პრინციპულობა. ვგულისხმობ იმას, რომ გადატრიალების დამგეგმავების მიმართ არ განახორციელა შესაბამისი სამართლებრივი მოქმედება. იმედია, ახლაც იგივე არ მოხდება და „ნაცმოძრაობას“, როგორც დაუშომინებელ დანაშაულებრივ პარტიას, რომელიც არეულობის მოწყობას არ იშლის, მის მიკროფონიან-კამერიან პროვოკატორებიანად შესაბამისი სამართლებრივი შეფასება მიეცემა. **თუ ამ ნაბიჯებს გადადგამენ და, თუ ჭკუა აქვთ, უნდა გადადგან, დარწმუნებული ვარ, ხელისუფლებას საზოგადოების სრული მხარდაჭერა ექნება. თუ არადა, ყველა ვხედავთ, რაც მზადდება და რა ელოდება ქვეყანას მზარდი ლიბერალური დიქტატურის პირობებში...**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ძალადობა დემოკრატიის სახელით

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ეს ბიჭები, დაკავებულებს ვგულისხმობ, არიან პირადად ამერიკის შეერთებული შტატების ელჩისა და ევროკავშირის სინდისის პატიმრები. ვფიქრობ, ამ ეტაპზე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მიმდინარე პროცესების შედეგად ყველაფერს დაერქვა თავისი სახელი და საბოლოოდ განისაზღვრა, საიდან მოდის იდეოლოგიური ძალადობა ჩვენზე. რა თქმა უნდა, ამ ძალადობის სათავე არის აშშ-ევროკავშირი“.**

# აშშ-ევროკავშირი კატეგორიულად მოითხოვს კონსერვატიული ფლანგის ლიდერების დაკავებასა და გასამართლებას

**მას შემდეგ, რაც ევროკავშირმა და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ საქართველოს ხელისუფლებას დაჟინებით მოსთხოვა, სამართლებრივი პასუხისგება დააკისროს 5-6 ივლისს რუსთაველზე გეიაღლუმისა და სოდომიის პროპაგანდის წინააღმდეგ გამართული მრავალათასიანი მანიფესტაციის ორგანიზატორებს, მმართველმა გუნდმა მითითებები ნაწილობრივ შეასრულა და 16 ივლისის დილიდან მასშტაბური ოპერაცია დაიწყო. სამართალდამცავებმა გაჩხრიკეს აქციის ორგანიზატორების, მათი თანამებრძოლებისა და აქტიური მხარდამჭერების სახლები. პოლიციის განყოფილებებში გადაიყვანეს ათეულობით მოქალაქე (მათ შორის „ალტ-ინფოს“ დამფუძნებლები და სასულიერო პირი, მამა სპირიდონი (ცქიფურიშვილი); დაკითხვა რამდენიმე საათს გაგრძელდა და იყო მოლოდინი, რომ ლიდერებს აღარ გამოუშვებდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ დაინახა, ამ ყველაფრის ფონზე საზოგადოების უკმაყოფილება იზრდებოდა (რაც განსაკუთრებით სოციალურ ქსელებში იგრძნობოდა), განყოფილებებში გადაყვანილი უკვებლივ ყველა მოქალაქე გაათავისუფლა.**
**მათ შორის იყვნენ კონსერვატიული ფლანგისა და ლგბტ თემის საწინააღმდეგო საზოგადოებრივი მოძრაობების აქტიური წარმომადგენლები გურამ და ალექსანდრე ფალავანდიშვილები, რომლებსაც სამართალდამცველებმა 16 ივლისს, დილაადრიან, შინ მიაკითხეს. ჩხრეკის შემდეგ ისინი განყოფილებაში გადაიყვანეს. სადარბაზოსთან მათ ჟურნალისტებად წოდებული ათეულობით პროვოკატორი დახვდათ... პოლიციაში დაკითხვა საღამომდე გაგრძელდა...**
**რას ნიშნავდა ხელისუფლების მიერ 16 ივლისს ჩატარებული ჩხრეკები და კონსერვატიული ფლანგის ლიდერების მასობრივი დაკითხვები, ვინ ითხოვს მათ დაკავებას და გასამართლებას, რაც მმართველი გუნდისთვის, შესაძლოა, სერიოზული წნეხს ქმნიდეს — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გურამ და ალექსანდრე ფალავანდიშვილები გვესაუბრებიან.**

## «დღეს ხელისუფლებას კიდევ ერთხელ უწევს არჩევანის გაკეთება — ან საბოლოოდ უნდა დაემონოს ჩვენი შვილების გამპიდარასტებელ მოძრაობას, ან წინ აღუდგეს მას»



### „ისევ ამერიკის ელჩია ავანგარდში, ისევ ეკლესია ჰყავთ სამიზნეში, ისევ ანტილიბერალური ძალები და მოძრაობები“

**— ბატონო ალექსანდრე, 16 ივლისს დილაადრიან თქვენთან სამართალდამცველები მოვიდნენ. გაჩხრიკეს თქვენი სახლი და შემდეგ პოლიციის განყოფილებაში გადაგიყვანეს დაკითხვაზე. იმ დღეს კიდევ რამდენიმე ადამიანის სახლში მივიდნენ, მათ შორის „ალტ-ინფოს“ დამფუძნებელ ლევან ჩაჩუასა და სხვებთან. რას ნიშნავდა ეს ყველაფერი, რა მიზანს ემსახურებოდა ეს ქმედება?**

— პირველი, რაც უნდა აღინიშნოს, არის ის, რომ ხელისუფლება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტისა და ევროკავშირის წნეხშია მოქცეული. ისინი ამბობენ, რომ ყველა „მოძალადეს“ და, საერთოდ, ლგბტ აღლუმისთვის რაიმე ფორმით ხელისშემშლელ ყველა მოქალაქეს სისხლისსამართლებრივი პასუხისგება უნდა დაეკისროს. 16 ივლისს ჩატარებულ ჩხრეკებს კი საერთო არაფერი აქვს გამოძიებასთან. ყველამ კარგად იცის, რომ ჩვენ კრიმინალები არ ვართ და ჩვენს სახლებს არ სჭირდებოდა გაჩხრეკა... შეიძლება ითქვას, რომ ეს ყველაფერი იყო რამდენიმედღიანი ლიბერალური წნეხის შედეგი. ეს ერთი. მეორე — **ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათლად იკვეთება ის სულისკვეთება, რომ მათთვის მთავარია არა დანაშაულის დამტკიცება, არა ფაქტები, რომელთა საფუძველზეც საქმეს აღძრავენ და ვიღაცას კონკრეტულ დანაშაულს დაუმტკიცებენ, არამედ მთავარია, ყველა დაისაჯოს...** სხვათა შორის, წლების წინათ ზუსტად ასეთი დირექტივებით, აბსურდული ბრალდებით დააკავეს ჩვენი სულიერი ძმა, ჩვენი თანამებრძოლი **ლევან ჩაჩუა** და მასთან ერთად 7 ახალგაზრდა, რომლებსაც ტელეკომპანია „კავკასიაში“ მომხდარი ინციდენტის გამო დასდეს ბრალი. **არ არსებობდა მათ წინააღმდეგ ფაქტი, არ არსებობდა არანაირი დანაშაულის დამამტკიცებელი გარემოება, ან როგორ იარსებებდა, რაც არ მომხდარა, მაგრამ დაიჭირეს. რატომ? ერთადერთი მიზეზის გამო — ისინი ამხელდნენ ლიბერალურ სისტემას, ამიტომ ყელში ჰყავდათ გაჩხერილი. სხვათა შორის, ვისაც არ ახსოვს, შევახსენებ, რომ მაშინაც ამერიკის ელჩი გამოვიდა — ჯონ ბასი, და პირდაპირ მოითხოვა ბიჭების დაჭერა...** ანალოგიურ სურათს ვხედავთ დღესაც — ისევ ამერიკის ელჩია ავანგარდში, ისევ ეკლესია ჰყავთ სამიზნეში, ისევ ანტილიბერალური ძალები და მოძრაობები... ვფიქრობ, რომ **ხელისუფლებას ახლა მოუწევს ყველაზე დიდი გამოცდის ჩაბარება და დიდწილად მის პოლიტიკურ მომავალს გადაწყვეტს სწორედ ეს პროცესი. ვიმედოვნებ, მმართველ გუნდს ეყოფა ძალა, რომ არ შეასრულოს ამერიკის დირექტივები და არ იმოქმედოს საკუთარი ხალხის ინტერესების საწინააღმდეგოდ...**

**— თუ მმართველი გუნდი ვერ გაუძლებს წნეხს და იძულებული იქნება, დაიწყოს მასშტაბური რეპრესიები, რა გზა დარჩება საზოგადოებას ამ ყველაფერთან გასამკლავებად?**

— აქ ერთი საკითხიცაა მნიშვნელოვანი: ხელისუფლებამ მე კი გამომიშვა და 16 ივლისს დაკითხვაზე გადაყვანილი ჩემი მეგობრებიც, მაგრამ ჩვენი სხვა მეგობრები დღემდე არიან დაკავებულები. აბსურდული ბრალდებებით დააკავეს ბიჭები — რამდენიმეს ედავებიან, რომ ლგბტ ატრიბუტიკა გაანადგურეს. არადა, მათ ე.წ. ლგბტ-ს დროშა ჩამოხსნეს და იმ ადგილას საქართველოს დროშა აღმართეს. ხვდებით, რაზეა საუბარი? **ეს ბიჭები, დაკავებულებს ვგულისხმობ, არიან პირადად ამერიკის შეერთებული შტატების ელჩისა და ევროკავშირის სინდისის პატიმრები. ვფიქრობ, ამ ეტაპზე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მიმდინარე პროცესების შედეგად ყველაფერს დაერქვა თავისი სახელი და საბოლოოდ განისაზღვრა, საიდან მოდის იდეოლოგიური ძალადობა ჩვენზე. რა თქმა უნდა, ამ ძალადობის სათავე არის აშშ-ევროკავშირი.** სწორედ მათკენ უნდა იყოს ჩვენი ყურადღება მიპყრობილი, რათა, საიდანაც მოდის წნეხი, იქ შევუტიოთ და არა, ვთქვათ, ვიღაც **გიორგი თაბაგარს** ან ცალკეულ მციერეკალიბრიან ლიბერალებს გავუმართოთ აქციები... რაც შეეხება ხელისუფლებას, მართალია, მან გარე ზემოქმედებიდან გამომდინარე ბევრი დანაშაულებრივი გადაწყვეტილება მიიღო, განსაკუთრებით გამოვყოფ ე. წ. ანტდისკრიმინაციული კანონისა და ე.წ. ბავშვთა კოდექსის მიღებას, მაგრამ **დღეს ხელისუფლებას კიდევ ერთხელ უწევს არჩევანის გაკეთება — ან საბოლოოდ უნდა დაემონოს ჩვენი შვილების გამპიდარასტებელ მოძრაობას, ან წინ აღუდგეს მას.** იყო შემთხვევები, როცა ქრისტიანებს შიშით ან კიდევ სხვა მიზეზით უარი უთქვამთ ქრისტეზე, მაგრამ, როცა მომხდური არ სჯერდებოდა სიტყვიერ უარყოფას და მათგან ხატების შენერწყვას მოითხოვდა, ბევრი სწორედ ამ მომენტში ფხიზლდებოდა და უარს ამბობდა ხატის შეურაცხყოფაზე. **ახლაც მსგავსი სიტუაციაა და ჩვენს ხელისუფალსაც მსგავს სულის სიმხნევეს ვუსურვებ, რათა გაემიჯნოს სოდომურ ძალებს და ჩადგეს ღვთისა და ერის სამსახურში...**



### „არავის არ ეშინია, პროტესტს ვერ ჩაახშობენ, პირიქით, ამით კიდევ უფრო გვაძლიერებენ!“

**გურამ ფალავანდიშვილი:**

— ეს ჩხრეკები და შემდეგ დაკითხვები პოლიციის განყოფილებებში, რომელთა გამოც საზოგადოება, ბუნებრივია, დაიძაბა, გამოწვეული იყო ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წნეხით — **კატეგორიულად მოითხოვეს ხელისუფლებისგან, რომ, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა დანაშაულის მტკიცებულებები და ფაქტები, ჩვენ მიმართ დაიწყოს სამართლებრივი დევნა.**

ეს ყველაფერი ძალიან მარტივ რამეს ემსახურება — იმ ადამიანებიდან, რომლებიც სიცოცხლის რისკის ფასად ეწინააღმდეგებიან ქვეყანაში სოდომიის ნორმალიზაციას და საზოგადოებაში არსებული რეალური განწყობების მიხედვით ორგანიზებას უკეთებენ აქციებს, ნაწილი დაიჭირონ, ხოლო ნაწილი გააჩუმონ. აი, **ამისთვის დადგა ფეხზე ეს სოდომური კოალიცია და ამიტომ არის ისტერიკაში, მაგრამ ჩვენი გაშავების ნებისმიერი მცდელობა, ნებისმიერი ისტერიკული კამპანია აბსოლუტურად კონტრპროდუქტიულია... სხვათა შორის, მეუფე შიოს ქადაგების შემდეგ გაჩნდა იმედის ნაპერწკალი, რომ ხელისუფლება შეიძლება დათანხმდეს კანონის მიღებაზე, რომლითაც მამათმავლობის პროპაგანდა აიკრძალება. ეს სამომავლო ამბავია...**

რაც შეეხება ძალადობას და იმას, რომ ჟურნალისტების ცემაზე აპელირებს ყველა, ცემა, რა თქმა უნდა, არ არის ქრისტიანული მეთოდი, მაგრამ მათ უნდა გააცნობიერონ, რამ გამოიწვია ხალხის აღშფოთება. ეს გამოიწვიეს იმ ადამიანებმა, რომლებიც პროვოკაციულად გაიძახიან: „საპატრიარქო ყარს“, „ეკლესია მოძალადეა“, მერე მიდიან და საპატრიარქოს კედლებს თხუპნიან... **როცა წლების განმავლობაში ტელეეთერებიდან ისმენ ეკლესიის შეურაცხყოფას, ხედავ, როგორ უცვივდებიან მიკროფონიანი პროვოკატორები სასულიერო პირებს ტაძრებში, როგორართმევენ ბავშვებს საპატრიარქოს, როგორ გვაგინებენ კონსერვატიულად მოაზროვნე ადამიანებს, დაგვცინიან, გვეძახიან ბნელებსა და პუტინის აგენტებს, ეს ყველაფერი გროვდება და ერთხელაც ამოხეთქავს.**

ეს მოძრაობები, განსაკუთრებით ე.წ. გენდერის თეორია, სატანური შეთქმულებაა კაცობრიობის წინააღმდეგ. ეს არის ბრძოლა ანტიქრისტეს ტახტისთვის და ადამიანის გასაპირუტყვებლად, ბინძურ ჭაობში გასახრწნელად, რომელსაც ისინი, თუ ვიბრძოლებთ და უფალი შეგვეწევა, რა თქმა უნდა, ვერ მიაღწევენ...

**— როგორ ფიქრობთ, გაუძლებს ხელისუფლება დასავლეთის წნეხს? თუ ვერ გაუძლებს, რა საშუალებებით შეიძლება დავუპირისპირდეთ ამ ყველაფერს?**

— მე ერთ რამეში ვარ დარწმუნებული: **რაც უფრო გაიზრდება წნეხი და დაჟინებით მოითხოვენ, რომ ხელისუფლებამ მკაცრად იმოქმედოს, მით უფრო გაძლიერდება საზოგადოებაში არსებული ანტილიბერალური, ანტილგბტ განწყობები.** ნეტავ, კიდევ უფრო უარესი მოითხოვონ, მერე ნახავენ... მე ციხეში ჩაჯდომაზეც თანახმა ვარ, ოღონდ ხალხმა კიდევ უფრო ნათლად დაინახოს, რამხელა უსამართლობასა და უნამუსობასთან გვაქვს საქმე დემოკრატიის სახელით. თუმცა ამას მთლად ისეთი ფორმებით, როგორც ლგბტ თემსა და მათ მხარდამჭერ ლგბტ „ჟურნალისტებს“ უნდათ, ვერ გაბედავენ...

**— რატომ?**

— თუნდაც იმიტომ რომ, ამერიკის ელჩი, **კელი დეგნანი,** კარგად ხვდება, რა განწყობებია საზოგადოებაში. ვფიქრობ, ის უფრო კარგად ხედავს და გრძნობს, აქ რა ხდება, ვიდრე სახელმწიფო დეპარტამენტი, მიუხედავად იმისა, რომ დეგნანი ლგბტ აქტივისტია და სულითა და გულით მათკენაა. რაც შეეხება ევროკავშირს, რომელიც ასევე არანაკლებ აქტიურია. **იქ უნდა ესმოდეთ, რომ, სანამ ხალხი აზვირთდება, სანამ ათიათასობით მოქალაქე პირდაპირ კართან მიადგებათ მოთხოვნით: „თავი დაგვანებეთ!“, ჯობია, შეწყვიტონ გარყვნილების პროპაგანდა.** არ ეგუება ამას ქართველი ხალხი და არ სურს მიიღება! სასწრაფოდ შეწყვიტონ ჩვენი დევნა, შემოვარდნა სახლებში, ჩხრეკა, დაკითხვები; თუნდაც დაგვიჭირონ, იმედია, ვერ გაგვტეხენ და ამით პროტესტს ვერ ჩაახშობენ, პირიქით, კიდევ უფრო გაგვაძლიერებენ და გაგვიზრდიან მოტივაციას, რომ ბოლომდე ვიბრძოლოთ ჩვენი შვილების მომავლისთვის.

ესაუბრა **ჯაბა ჭვანია**

**„იქ უნდა ესმოდეთ, რომ სანამ ხალხი აზვირთდება, სანამ ათიათასობით მოქალაქე პირდაპირ კართან მიადგება მოთხოვნით: „თავი დაგვანებეთ!“, ჯობია, შეწყვიტონ გარყვნილების პროპაგანდა. არ ეგუება ამას ქართველი ხალხი და არ სურს მიიღება! სასწრაფოდ შეწყვიტონ ჩვენი დევნა, შემოვარდნა სახლებში, ჩხრეკა, დაკითხვები; თუნდაც დაგვიჭირონ, იმედია, ვერ გაგვტეხენ“**

**ეს იყო დაგროვილი მრისხანების ამოხეთქვა ჩამოთვლილი ტელევიზია-სპეცსამსახურების მიმართ, რომელთა ე.წ. სარედაქციო პოლიტიკა წლების განმავლობაში ყოველივე ქართულის, ეროვნულის, მართლმადიდებლურის, ერთი სიტყვით, ყველაფერ იმის დაცინვა-ქილიკი იყო, რამაც დღემდე მოგვიყვანა მცირერიცხოვანი, მაგრამ დიდი კულტურის მქონე ერი.**



აპი მესაიჯი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ან ჩვენ — მართლმადიდებელი ქრისტიანები, ან ისინი — სატანისტი ხლისტები. მესამე არ არსებობს!

**წერილს დავიწყებ ჩემ წინა სტატიაში მოყვანილი მოსაზრებების შეხსენებით, რომელთა ნაწილი ქვეყნის მთავარ გამზირზე მიმდინარე „გრანდიოზული პროტესტის“ ჭეშმარიტ მიზეზებს ცხადყოფს, რაც შეეხება პოლიტიკური „ბარდაგს“ (პარლამენტსა თუ მის გარეთ მიმდინარე პროცესებს სხვა სახელს, მით უმეტეს, ცვილიზებულ ოპოზიციურ მოძრაობას ვერ დაარქმევ), მისგან გამომდინარე საქართველოსთვის მოსალოდნელ ნეგატიურ შედეგებზე ქვემოთ ვისაუბრებ.**

პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიების კარვებით „გალამაზება“ შვილმოკლული მამების პროტესტით დაიწყო. ჯერ **ზაზა სარალიძე** შეეცადა სამართლის ძებნას გაშლილ კარავში, მას მალე **მალხაზ მაჩალიკაშვილიც** შეუერთდა. როგორც კი მიზანს მიაღწია, ზაზა სარალიძე განერიდა ტრაგედიის პოლიტიზებას და ახლა შვილს, ყმაწვილ **დათოს** გლოვობს (როგორც თვითონაც შვილმკვდარი მამა, ვუსამძიმრებ მას შვილის გარდაცვალებას). რაც შეეხება მალხაზ მაჩალიკაშვილს, ის ტერორიზმში ეჭვმიტანილი თამერლანის სიკვდილის პოლიტიზებას დღემდე განაგრძობს იქამდეც კი, რომ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობასაც კი აპირებდა...

დავით სარალიძის მკვლელობის გამო მართლაც ზღვა ხალხი გამოვიდა რუსთაველზე, მაგრამ, როგორც კი ნაცები გამოჩნდნენ აქციაზე, მეორე დღეს ხალხის რაოდენობა მკვეთრად შემცირდა, იქამდეც კი (ხატოვნად თუ ვიტყვით), რომ ხალხზე მეტი კარავი იყო პარლამენტთან. ამ კარვებში ხშირად ერთი-ორი კაცი თუ დაბორიალობდა, თვითონ ტერიტორია კი ანტისანიტარიის ბუდეს, ნაგავსაყრელს დაემსგავსა.

„თბილისი პრაიდის“ მონაწილეები ურცხვად რომ ამბობდნენ, პარლამენტის შენობის წინ კარვებს რაღას ერჩოდნენ, **კახა კალაძეს** არ „ევასებოდა“ და იმიტომ აიღესო, კალაძე არ ვიცი, მაგრამ მე ნერვები მაწყდებოდა, თვეების განმავლობაში წმინდა ქაშუეთიდან რამდენიმე მეტრში უწმინდურ ნაგავსაყრელს რომ გავხედავდი ხოლმე.

ახლა კი გულს ახარებს კარვების ადგილზე აღმართული წმინდა ნინოს ჯვარი და ერთი ვინმემ გაბედოს მისი აღება. თუ ქართველი ხალხი ერია და არა ლიბერასტული ბრბო, ჯვრის აღების უფლებას არავის მისცემს და, თუ საჭირო შეიქნა, კოლექტიურ დასავლეთს თავზე გადაახევს ე.წ. გამოხატვის თავისუფლებას და ლგბტ სექტის „უფლებებს“! ამის თქმა იმის საილუსტრაციოდ დამჭირდა, რომ ნაცებსა და მათთან მიტმასნილ ე.წ. ორკაციან პარტიებს ქუჩის მხარდამჭერის არანაირი შანსი არ აქვთ.

რა აღარ მოხდა ქართულ პოლიტიკაში 2012 წლის ოქტომბრიდან, ანუ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლიდან დღემდე, მაგრამ ნაცებმა ხალხის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი რაოდენობის გამოყვანა ვერ შეძლეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ქუჩა არასოდეს იქნება მიშარასტების მხარდამჭერი. არადა, მოვლენები ისე ვითარდება, დიდი ალბათობით, სწორედ ქუჩა გადაწყვეტს საქართველოს ბედ-იღბალს და არა პარლამენტის ცვედანი ხელისუფლება და ოპოზიცია. აკი წამოსცდა ერთ მომიტინგე „ჟურნალისტს“: როგორც ჩანს, ქართული მაიდანი გარდაუვალიაო. მოდი, აქვე შევთანხმდეთ — სიტყვა ჟურნალისტი ბრჭყალებში იმიტომ ჩავსვი, რომ საქართველოში, ძირითადად, ოკეანის გაღმელ-გამოღმელი კურატორ-დამფინანსებელთა კონტროლს დაქვემდებარებული ტელევიზიები მაუწყებლობენ და „ფორმულა“, „რუსთავი 2“, „ტვ პირველი“, „კავკასია“, „მთავარი“ და, თქვენ წარმოიდგენეთ, ე.წ. საზმაუწყებელიც მათი სეცსამსახურები არიან, ხოლო იქ მომუშავენი, ჟურნალისტები კი არა — სპეცაგენტები! ანტიეროვნული, ანტიმართლმადიდებლური, ანტიეკლესიური გესლის ნთხევაში, გველურ სისინში პირველობას არავის უთმობს „ტვ პირველი“ და ქართული „ჟურნალისტიკის“ უბერებელი „დედა“ **ინგა გრიგოლია.** რატომ ვახსენე საზოგადოებრივი მაუწყებელი ხაზგასმით? იმიტომ, რომ ზემოხსენებულ ე.წ. სპეცსამსახურებს კერძო დამფინანსებლები ჰყავთ, საზოგადოებრივი მაუწყებელი კი საქართველოს ბიუჯეტიდან, ანუ რიგითი ქართველების ჯიბიდან 25 მილიონი (!) ლარით ფინანსდება. დღევანდელი მოცემულობის (ხალხი, უბრალოდ, შიმშილის ზღვარზეა) გათვალისწინებით, 25 მილიონი ასტრონომიული თანხაა და, მიუხედავად ამისა, „საზმაუ“ ე.წ. ნაციონალურ მაუწყებელთა შორის ყველაზე დაბალრეიტინგული არხია, რომლის „ბორდმაც“ ამ ტელევიზიის ყველაზე პოპულარული პროექტი, **გურამ ქართველიშვილის** „გააგრძელე საქართველოს ისტორია“, სავარაუდოდ, კოლექტიური დასავლეთის რეკომენდაციით (წაიკითხე, ბრძანებით) დახურა. რაც შეეხება ქართულ „მაიდანს“, ქართველებს კარგი გამოთქმა გვაქვს: „საცა ვიწროა, იქ გაწყდეს“ — ჰოდა, ერთხელაც იხუვლებს გამწარებული ქართველი ხალხი და...

ისე, კაცმა რომ თქვას, მეტი რა გზა აქვთ აშშ-ის ელჩ კელი დეგნანსსა და, საერთოდ, კოლექტიურ დასავლეთს? **რაკი „ტკბილი სიტყვით“ ვერაფრით გვათქმევინეს უარი ქართულ ტრადიციებსა და ღირებულებებზე კოლექტიური დასავლეთის უმთავრესი ფასეულობის — სოდომის ცოდვის ლეგალიზაციის სასარგებლოდ, არ არის გამორიცხული, რომ აშშ-ის მაღალჩინოსანთა კაბინეტებში (ოვალური კაბინეტის ჩათვლით) საქართველში ახალი დემოკრატიის, ლგბტ ბაირაღების ძალისმიერი მეთოდებით აფრიალების შესაძლო ვარიანტებს განიხილავენ.** რა, ამის მაგალითები სანთლით საძებარია? იუგოსლავია, ლიბია, ტუნისი, ეგვიპტე, სირია — განვაგრძო თუ საკმარისია იმისთვის, რისი თქმაც მინდა?.. ახლა მომგებიანი პოზაა იმის თქმა: „ძალადობას ვგმობ, ვემიჯნები, მით უმეტეს „ჟურნალისტებზე“ ძალადობაა მიუღებელი“. მიუხედავად ამისა, გავბედავ და სწორედ ზემოთქმულს გავემიჯნები. ვერავინ დამაჯერებს იმ სისულელეს, რომ „ჟურნალისტებზე“ ნადირობა წინასწარ იყო დაგეგმილი, ე.ი., ვიღაცამ ვიღაცას რაღაც უბრძანა. ჩემი აზრით, ყველაფერი სპონტანურად მოხდა. **ეს იყო დაგროვილი მრისხანების ამოხეთქვა ზემოთ ჩამოთვლილი ტელევიზია-სპეცსამსახურების მიმართ, რომელთა ე.წ. სარედაქციო პოლიტიკა წლების განმავლობაში ყოველივე ქართულის, ეროვნულის, მართლმადიდებლურის, ერთი სიტყვით, ყველაფერ იმის დაცინვა-ქილიკი იყო, რამაც დღემდე მოგვიყვანა მცირერიცხოვანი, მაგრამ დიდი კულტურის მქონე ერი.** თითქმის არც ერთი გმირი მეფე, ისტორიული პიროვნება, წმინდანიც კი არ დაუტოვებიათ ამ უწმინდურებს გაუკილავი, რომელთა სახელებითაც ამაყობდა და მომავალშიც იამაყებს ქართველი ერი. **ძალადობა მხოლოდ ცემა-ტყეპა არ არის, რაც ჩემთვისაც მიუღებელია, მაგრამ ფიზიკურზე უფრო მტკივნეული მორალურ-ზნეობრივი ძალადობაა!** რა, ზემოთქმული ძალადობა არ არის?



**დღეს გულს ახარებს კარვების ადგილზე აღმართული წმინდა ნინოს ჯვარი და ერთი ვინმემ გაბედოს მისი აღება. თუ ქართველი ხალხი ერია და არა ლიბერასტული ბრბო, ჯვრის აღების უფლებას არავის მისცემს და, თუ საჭირო შეიქნა, კოლექტიურ დასავლეთს თავზე გადაახევს ე.წ. გამოხატვის თავისუფლებას და ლგბტ სექტის «უფლებებს»! ამის თქმა იმის საილუსტრაციოდ დამჭირდა, რომ ნაცებსა და მათთან მიტმასნილ ე.წ. ორკაციან პარტიებს ქუჩის მხარდამჭერის არანაირი შანსი არ აქვთ**

რა, ინგა გრიგოლიებმა არ იცოდნენ, რომ შეიძლებოდა, ეს მომხდარიყო, მაგრამ „ცხელ წერტილებში“ მისვლას კონდიცირებულ ოფისებში ჯდომა არჩიეს და ტელევიზორებში უყურებდნენ შეცდომაში შეყვანილი „ჟურნალისტების“ სასტიკ დარბევას. ბრბოდქცეულ შეურაცხყოფილ ქართველებზე ზემოხსენებული ტელევიზიების ლოგოს დანახვა ისე მოქმედებდა, როგორც გამძვინვარებულ ხარზე წითელი ნაჭრის აფრიალება. ახლა კი ნიანგის ცრემლებს აღვარღვარებენ და პოლიტიკურად სპეკულირებენ **ლექსო ლაშქარავას** გარდაცვალებით. არადა, ოჯახის ნდობით აღჭურვილმა ექსპერტმა ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ ექსპერტიზა გამორიცხავს გარდაცვალების მიზეზად ცემას.

**რაკი «ტკბილი სიტყვით» ვერაფრით გვათქმევინეს უარი ქართულ ტრადიციებსა და ღირებულებებზე კოლექტიური დასავლეთის უმთავრესი ფასეულობის — სოდომის ცოდვის ლეგალიზაციის სასარგებლოდ, არ არის გამორიცხული, რომ აშშ-ის მაღალჩინოსანთა კაბინეტებში (ოვალური კაბინეტის ჩათვლით) საქართველში ახალი დემოკრატიის, ლგბტ ბაირაღების ძალისმიერი მეთოდებით აფრიალების შესაძლო ვარიანტებს განიხილავენ**

ებრაული შეგონებაა: გარდაცვლილი შვილის მშობელს უთქვამს, — ჩემთან სამძიმარზე ის ნუ მოვა, ვისაც შვილის სიკვდილის სიმწარე არ გამოუცდაო. მე, როგორც შვილმკვდარი მამა, გულწრფელად (და არა ზოგიერთის მსგავსად ნიანგის ცრემლით) ვიზიარებ შვილმკვდარი დედის მწუხრებას და აქვე ვთხოვ, უზომო მწუხარებით შეძრული, ნუ მისცემს ოპოზიციას გარდაცვლილის ხსოვნით პოლიტიური ქულების დაწერის საშუალებას, მით უმეტეს, თბილისი პატარა ქალაქია და ყველამ იცის, ვინ რით სუნთქავს...

ამ წერილში ბევრ რამეზე ვისაუბრეთ, მაგრამ არაფერი გვითქვამს სტატიის შექმნის მთავარ მიზეზე: დღეს ყველა, ვისაც არ ეზარება, საპატრიარქოსა და პატრიარქს ლანძღავს და, თქვენ წარმოიდგინეთ, ლექსო ლაშქარავას მკვლელობას აბრალებს.

**„ხალხის თანადგომა რომ არ იყოს, მე ვერ გავუძლებდი ამ სიმძიმეებს, 42 წელიწადია მე ვარ სამიზნედ“,** — პატრიარქის ამ სიტყვებმა გულის სიღრმემდე შემძრა. იქამდეც კი, რომ ცრემლი მომაწვა. და ვინ არიან ამ ბრალდებების ავტორები? უნიტაზის მწერალი **ლაშა ბუღაძე,** ერთმანეთის ჩამშვები **ძმები ბერძენიშვილები,** რომლებსაც, როგორც ამბობენ, „რუჩკა“ ვერ გააგდებინეს ხელიდან „კა-გე-ბე-ს“ იზოლატორში“. თავის დროზე პატრიარქის სტიქაროსანი, დღეს 50 მილიონის მომპარავი, ბიუჯეტის ვირთხა **გიგი უგულავა;** ათას „ზაბორზე“ გადამხტარი **ვახო სანაია;** ყურმოჭმული „კლასიკოსი“ კოტე ყუბანეიშვილი, მისი კოლეგა **დეფი** და რა ვიცი... მაგ ლიბერასტი ხლისტების სახელი ლეგიონია.

ეკლესიის მტრების საყურადღებოდ წერილს ასე დავასრულებ: ვინ აღარ შეაწუხეთ კოლექტიურ დასავლეთში ოსების მიერ დაკავებული ზაზა გახელაძის გათავისუფლებაში დასახმარებლად, მაგრამ ამაოდ. უწმინდესმა და უნეტარესმა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა პატარა ბარათი მისწერა რუსეთის პატრიარქს და ის ქართველი პატიმარი დღეს უკვე თავის ოჯახშია.

დავიცვათ ჩვენი სათაყვანებელი პატრიარქი, რადგან დღეს პატრიარქი საქართველოა, საქართველო კი — პატრიარქი...

**დავით მხეიძე**

«მე სიტყვასა ერთსა გკადრებ...»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თავდაცვის რა პოტენციალი გაგვაჩნია ან ვინ გვყავს ისეთი, ჩვენ გამო ამერიკას ომს რომ გამოუცხადებს?! რა გააკეთოს კონკრეტულმა პიროვნებამ (ამ შემთხვევაში საქართველოს პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა)? როგორ დაიცვას მან ან საქართველო, ან ის ღირებულებები, რომლებსაც თუნდაც მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა უჭერს მხარს?**



# განირეთ თავი და... გადარჩებით!

## ღია წერილი სტატიაში და «გამოცხადების» ეპიზოდები საქართველოში

**ვალერი კვარაცხელიას პუბლიცისტური წერილები. საავტორო გვერდი**

### ოცდამეხუთე გამოშვება

საქმე გართულდა.

**ეს რომ ასე მოხდებოდა, მოსალოდნელი კი არ იყო, წინასწარ იყო ცნობილი. დინების (იგულისხმეთ, აშშ-ის) საწინააღმდეგოდ სვლას ამერიკელები არავის არ პატიობენ. პრეზიდენტმა ბუშმა (უფროსმა) ზვიად გამსახურდიას სწორედ ასეთი ბრალდება წაუყენა. ახლა პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს ადანაშაულებენ დინების საწინააღმდეგოდ სვლაში...**

ავსტრიის, ბულგარეთის, ესტონეთის, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის, ფინეთის, საფრანგეთის, გერმანიის, საბერძნეთის, ირლანდიის, ისრაელის, იტალიის, ლატვიის, ლიეტუვას, ნიდერლანდების, ნორვეგიის, ესპანეთის, შვედეთის, გაერთიანებული სამეფოს, გაეროს სისტემის საქართველოში, შეერთებული შტატების საელჩოსა და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ერთობლივი განცხადება თბილისში განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებით:

**„ჩვენ ვგმობთ დღევანდელ ძალადობრივ თავდასხმებს სამოქალაქო აქტივისტებზე, საზოგადოების წევრებსა და ჟურნალისტებზე და ასევე ხელისუფლების ლიდერებისა და სასულიერო პირების მხრიდან ამ ძალადობის არდაგმობას. მშვიდობიან შეკრებაში მონაწილეობის უფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით. ძალადობა, უბრალოდ, მიუღებელია და მას გამართლება არ აქვს. ის, ვინც აქეზებს ან იმუქრება ძალადობის ჩადენით, ან სჩადის ძალადობრივ ქმედებას, ხელს უშლის საქართველოს სამართალდამცველებს მშვიდი და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფაში. ისინი სასამართლოს წინაშე უნდა წარსდგნენ კანონის სრული უზენაესობის დაცვით. მოვუწოდებთ საქართველოს ყველა ლიდერსა და სამართალდამცავ უწყებებს, იმოქმედონ დაუყოვნებლივ და დაიცვან ის ადამიანები, რომლებიც სარგებლობენ შეკრებისა და გამოხატვის კონსტიტუციური უფლებებით; დაიცვან ჟურნალისტები, რომლებიც მოქმედებენ თავისუფალი პრესის პრინციპების მიხედვით, და საჯაროდ დაგმონ ძალადობა“.**

ამ აშკარად ხელისუფლების საწინააღმდეგო ევროპულ განცხადებას აშშ-ის ელჩმა **კელი დეგნანმა,** თავის მხრივ, კიდევ უფრო მწვავე კომენტარი მოაყოლა: **„ისეთ ვითარებაში, როდესაც ხდება ძალადობა, ველოდით, რომ პრემიერმინისტრი სიტუაციის დარეგულირებაში წამყვან როლს ითამაშებდა. შესაბამისად, იმედგაცრუებულნი ვიყავით, როდესაც იმ დღეების განმავლობაში ვერ ვნახეთ ლიდერის მეტი გადამწყვეტი მოქმედება“.**

ასეთი იყო ამერიკა-ევროპის ანტისახელისუფლო განწყობები 5 ივლისის მოვლენებზე. ეს ალიაქოთი არ იყო ჩამცხრალი, როდესაც საქართველოს პარლამენტმა უზენაესი სასამართლოს ექვსი მოსამართლე დანიშნა. ოპოზიცია ამტკიცებს, რომ ეს პროცედურა **შარლ მიშელის** დოკუმენტის გვერდის ავლით მოხდა, რაც ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის ევროპის ჩარევით მიღწეული შეთანხმების დარღვევას ნიშნავს. ოპოზიციის ამ განცხადებას მაშინვე აუბეს მხარი აშშ-ში, სადაც უმწვავესი განცხადება გაკეთდა თვით სახელმწიფო მდივნის დონეზე. **ენტონი ბლინკენი** აცხადებს: **„შეერთებული შტატები დიდად შეწუხებულია 19 აპრილის შეთანხმების საწინააღმდეგოდ საქართველოს პარლამენტის მიერ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დამტკიცებით“.** ამ განცხადებას ეხმაურება და, როგორც ასეთ დროს ამბობენ, ცეცხლზე ნავთს ასხამს აშშ-ის ელჩი საქართველოში — კელი დეგნანი. **„ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს, სახელმწიფო დეპარტამენტისა და აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებებში ნახეთ ჩვენი ღრმა იმედგაცრუება პროცესის გაგრძელების გამო. მიუხედავად ჩვენი ბევრი მოწოდებისა, რომ ეს პროცესი დროებით შეჩერებულიყო, პოლიტიკური ლიდერები, მმართველი პარტიის ჩათვლით, შეთანხმდნენ, რომ პროცესი შეჩერდებოდა ინკლუზიური, მრავალპარტიული სასამართლო რეფორმის განხორციელებამდე. ეს არ მოხდა და სწორედ ამიტომ ვართ ჩვენ ძალიან იმედგაცრუებულნი. მოსამართლეები არ უნდა დანიშნულიყვნენ. პარლამენტს შეეძლო პროცესის შეჩერება, მაგრამ ეს არ გააკეთა“.**



„სტრატეგიულმა პარტნიორებმა“ ესეც არ გვაკმარეს და სანქციების დაწესებით დაგვემუქრნენ. სანქციების ენით ისინი რუსეთს, ჩინეთს, ირანსა და ჩრდილოეთ კორეას, ანუ იმ სახელმწიფოებს ელაპარაკებიან, რომლებსაც ე.წ. ბოროტების ღერძად განიხილავენ და მტრულად განწყობილ სახელმწიფოთა სიაში ჰყავთ შეყვანილი.

რა არის ან რას ნიშნავს ეს? **ლგბტ აღლუმის ჩატარებისთვის წინააღმდეგობის გაწევის გამო აქამდე სტრატეგიულ პარტნიორად გამოცხადებული ქვეყანა ხელის ერთი მოსმით მტრის ბანაკში გადაგვისროლეს?**

ეს იმას ნიშნავს, რომ ლგბტ მათთვის იმდენად მნიშვნელოვანი და ღირებული მოვლენაა, რომ ამ საქმეს ყველას და ყველაფერს ანაცვალებენ. **ლგბტ მათი იდეოლოგიაა, რომელიც მსოფლიოში უნდა გაბატონდეს, ამიტომ მისთვის წინააღმდეგობის გაწევასა და ხელის შეშლას არავის არ პატიობენ. მეოცე საუკუნეში მსოფლიოზე გაბატონების იდეოლოგიად მათ ფაშიზმი აირჩიეს, რომელიც სიძულვილის, უთანასწორობისა და დისკრიმინაციის იდეოლოგია იყო. დღეს ცდილობენ, რომ ფაშიზმის პარალელურად მსოფლიოზე გაბატონების ახალი იდეოლოგია შექმნან, რომელსაც საფუძვლად ურთიერთგაგება და შემწყნარებლობა დაედება.** ეს ვერაგულზე ვერაგული ჩანაფიქრია, ვინაიდან ფაშიზმი, რომელიც სიძულვილს, უთანასწორობასა და დისკრიმინაციას ეფუძნებოდა, ძლიერ წინააღმდეგობას ბადებდა და მსოფლიოს მასთან საბრძოლველად განაწყობდა. **ახალი ლგბტ იდეოლოგია კი, რომელიც როგორც ადამიანში, ასევე მთლიანად საზოგადოებაში ანადგურებს ყველაფერ ღვთაებრივს, ბუნებრივს, ზნეობრივს და რყვნის მას, მსოფლიოსთვის არანაკლები უბედურების მომტანია, ვიდრე ფაშიზმი იყო, მაგრამ, ფაშიზმისგან განსხვავებით, იგი არამხოლოდ წინააღმდეგობას იწვევს, არამედ შეცოდებისა და თანაგრძნობის განცდასაც აჩენს** — რაკი ასეთები იბადებიან, მათაც ხომ უნდა ჰქონდეთ არსებობისა და საზოგადოების წევრად ყოფნის უფლება. ამგვარი შემწყნარებლური პოზიციაც ჩნდება საზოგადოებაში, რომელიც, ერთი მხრივ, ადამიანური, მაგრამ, მეორე მხრივ, დამღუპველი მიდგომაა. **ლგბტ იდეოლოგიის მამათა ჩანაფიქრის ვერაგობა სწორედ ის არის, რომ ამ იდეოლოგიის მიმართ საზოგადოების შემწყნარებლურ დამოკიდებულებას იყენებენ თვით იმ საზოგადოებისა და სრულიად კაცთა მოდგმის წინააღმდეგ, რომელსაც იგი უჩნდება. მის მიმართ დამოკიდებულებაში ამ ადამიანური და ტოლერანტული შემადგენელის არსებობის გამო ეს იდეოლოგია საზოგადოების ფართო ფენებამდე გაცილებით მარტივად აღწევს და ვრცელდება, ვიდრე ნებისმიერი სხვა ძალადობრივი იდეოლოგია, ვთქვათ, იგივე ფაშიზმი.**

ფაშიზმი თუ ფიზიკური ძალადობისა და ომის გზით მსოფლიოს დამონების იდეოლოგიაა, ლგბტ ადამიანთა და საზოგადოებათა გადაგვარების გზით იმავე შედეგის მიღწევის იდეოლოგიაა. არიან ტრადიციების მიმართ მეტად მგრძნობიარე ერები და ხალხები, რომლებიც წინ აღუდგებიან მის გავრცელებას, მაგრამ, როდესაც ფორსირებული ძალა მოდის, რომელსაც უზარმაზარი შესაძლებლობები გააჩნია, დაწყებული ზესახელმწიფოებრივი ბერკეტებითა და დამთავრებული ასტრონომიული ფინანსებითა და მსოფლიოში ყველაზე გავლენიანი მედიასაშუალებებით, ხალხის წინააღმდეგობა ადვილად გადატყდება ხერხემალში. **ხალხი, ერთი მხრივ, ვერ უძლებს გამუდმებულ ზეწოლას; მეორე მხრივ, თანდათანობით ეჩვევა სიტუაციას და, ბოლოს და ბოლოს, დგება ჟამი იმის გაცნობიერებისა, რომ ბრძოლას თურმე აზრი დაუკარგავს.** თუკი ევროპა და ამერიკა, ანუ მთელი კოლექტიური დასავლეთი ყოველმხრივ უმწეო საქართველოს ხელისუფლებას თავს ესხმის, მუქარის განცხადებებით ბომბავს და ეკონომიკური სანქციებითაც ემუქრება, ამ მასშტაბის ზეწოლას როგორ უნდა გაუძლოს ხელისუფლებამ, რომელსაც არც მოკავშირე ჰყავს სადმე და არც გულშემატკივარი?! **აშშ-ის ზეწოლა და სანქციები რუსეთსა და ჩინეთზე თუ აისახება უარყოფითად, გასაგებია, რა გავლენას მოახდენს საქართველოზე. რუსეთსა და ჩინეთზე რომ არაფერი ვთქვათ, არიან გაცილებით ნაკლები შესაძლებლობების მქონე სხვა სახელმწიფოებიც, რომლებიც უძლებენ აშშ-ის მუქარასაც, სანქციებსაც და აგრესიასაც, მაგალითად, ირანი, სირია, ჩრდილოეთი კორეა, ბელარუსი და სხვები, მაგრამ სხვაა მათი შესაძლებლობები და სხვაა საქართველოს შესაძლებლობები.**

ირანი ერთ მუშტად შეკრული ოთხმოცმილიონიანი სახელმწიფოა, რომელიც უმდიდრესია ენერგომატარებლებით და ახლოს არის ▶

**ბატონო ირაკლი, მესმის, რომ ძალიან ძნელია იმ ნაბიჯის გადადგმა, რომელიც, შესაძლებელია, სიცოცხლის ფასი დაგიჯდეთ, მაგრამ მერწმუნეთ, არანაკლებ ძნელია კვირიკაშვილის, ბახტაძის, გახარიას როლში აღმოჩენა, რომლებმაც არც ის იციან, რისთვის მოვიდნენ, და ვერც ის გაიგეს, რისთვის წავიდნენ; არანაკლებ ძნელია, გერქვას პრემიერმინისტრი და ქვეყანას სატანური ძალების სათარეშოდ ტოვებდე... თქვენ უნდა ეცადოთ ქართველი ხალხის დახსნა იმ შინაური და გარეშე მორიელებისგან, რომლებიც კალიასავით შემოგვესიეს და საშველი აღარ არის მათგან...**

**ლგბტ მათი იდეოლოგიაა, რომელიც მსოფლიოში უნდა გაბატონდეს, ამიტომ მისთვის წინააღმდეგობის გაწევასა და ხელის შეშლას არავის არ აპატიებენ. მეოცე საუკუნეში მსოფლიოზე გაბატონების იდეოლოგიად მათ ფაშიზმი აირჩიეს, რომელიც სიძულვილის, უთანასწორობისა და დისკრიმინაციის იდეოლოგია იყო. დღეს ცდილობენ, რომ ფაშიზმის პარალელურად მსოფლიოზე გაბატონების ახალი იდეოლოგია შექმნან.**

«მე სიტყვასა ერთსა გკადრებ...»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## არანაირი სიმპათია პოლიტიკური პარტია «ქართული ოცნებისა» და მისი წევრების მიმართ არ მაქვს, მაგრამ ირაკლი ღარიბაშვილი ბოლო მოვლენებში მათგან სრულიად განსხვავებულ პოლიტიკოსად გამოიყურება. განა ის პასუხი, რომელიც ირაკლი ღარიბაშვილმა აშშ-ის სახელმწიფო მდივან ენტონი ბლინკენის დონეზე წამოსულ ბრალდებებს შეაგება, მის ვაჟკაცურ ბუნებასა და საქართველოში ასე მომრავლებული პროდასავლური ორიენტაციის პოლიტიკოსებისგან განსხვავებულობაზე არ მეტყველებს?!

◀ ბირთვული იარაღის შექმნასთან; ჩრდილოეთი კორეა სოციალისტური და ბირთვული სახელმწიფოა, რომლის თითოეული მოქალაქე ფრჩხილებითა და კბილებით დაიცავს სოციალისტურ მონაპოვარს; სირიამ, შესაძლებლობებით ირანსა და ჩრდილოეთ კორეას თუ ჩამორჩება, ისეთი მოკავშირე მაინც გაიჩინა, რომელმაც იარაღის ძალით დაიცვა ამერიკის აგრესიისგან. ეს მოკავშირე რუსეთია. **ჩვენ რა ვქნათ, რომელს შევედაროთ? თავდაცვის რა პოტენციალი გაგვაჩნია ან ვინ გვყავს ისეთი, ჩვენ გამო ამერიკას ომს რომ გამოუცხადებს?!** რა გააკეთოს კონკრეტულმა პიროვნებამ (ამ შემთხვევაში, საქართველოს პრემიერმინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა**)? როგორ დაიცვას მან ან საქართველო, ან ის ღირებულებები, რომლებსაც თუნდაც მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა უჭერს მხარს? რას დაეყრდნოს, რას ჩასჭიდოს ხელი, რაზე მოიკიდოს ფეხი, როდესაც არც ხელჩასაჭიდი ჩანს თვალსაწიერზე და არც დასაყრდენი? წინა სტატიაში ვწერდი:

**„ირაკლი ღარიბაშვილმა შესანიშნავად იცის, რა ვერაგ ძალას უპირისპირდება, მაგრამ იგი ამაზე წავიდა. რა უნდა ვიფიქროთ, რატომ გადადგა მან პირადად მისთვის ასე სახიფათო და სარისკო ნაბიჯი? სხვა ახსნას ვერ ვპოულობ, მან ეს ნაბიჯი მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის ინტერესების დასაცავად და ერის ღირსების შესანარჩუნებლად გადადგა. იმ მოძალადეთა შესაჩერებლად გადადგა, რომლებიც სულში ხელებს გვიფათურებენ და ჩვენი გადაკეთება განუზრახავთ, თავიანთ თარგზე ჩვენი მოჭრა და იმ გზაზე შეყენება გადაუწყვეტიათ, ჩვენ რომ ჩვენ აღარ ვიყოთ“.** ჩემს ამ ნათქვამს არ ეთანხმება ბატონი ჰამლეტ ჭიპაშვილი, რომელიც ასე მსჯელობს: **„თავიდანვე ვიტყვი, ვერ დავეთანხმები და რატომ? მათ რომ გადაწყვიტეს, საქართველოს ხელისუფლებამ რა გააკეთა დასავლეთის იმ გადაწყვეტილების საწინააღმდეგო — „ჩვენ რომ ჩვენ აღარ ვიყოთ“? „ქართული ოცნება“ ცხრა წლის განმავლობაში მათთან ერთად და მათთან ჩახუტებული ყველაფერს აკეთებდა „ჩვენ რომ ჩვენ არ ვიყოთ“ პროექტის განსახორციელებლად“.**

ეს ის შემთხვევაა, როდესაც მე უნდა დავეთანხმო მას, ვინც მე არ მეთანხმება (ამ შემთხვევაში, ბატონ ჰამლეტ ჭიპაშვილს), უნდა დავეთანხმო იმიტომ, რომ მართალს ამბობს. **„ქართულ ოცნებას“ ხელისუფლებაში ყოფნის ცხრა წლის განმავლობაში არც საგარეო ორიენტაციისა და არც რუსეთთან ურთიერთობაში ახალი პოლიტიკური ინტონაციის შემოსატანად სააკაშვილის ხელისუფლებისგან განსხვავებული არაფერი არ გაუკეთებია — არც გარყვნილების პროპაგანდა შეურბილებია და, არც დასავლეთიდან მომდინარე სოციალური და ფსიქოლოგიური ჭუჭყის შემაკავებელი ფილტრის გამოყენება უცდია საზოგადოებრივი ცხოვრების თუნდაც რომელიმე მიმართულების გადასარჩენად.** მკითხველი, ალბათ, მკითხავს: ეს თუ ასეა, მაშინ ღარიბაშვილთან ის იმედები რატომ დააკავშირეო? საქმე ისაა, რომ იმედიანი დამოკიდებულება მე ერთი, ცალკე აღებული პიროვნების, პრემიერმინისტრ ღარიბაშვილის მიმართ გამოვავლინე და არა „ქართული ოცნების“ მიმართ. ჯერ ერთი, თვითონ ირაკლი ღარიბაშვილმა მეც და სხვებსაც ამისთვის ისეთი საფუძველი მოგვცა, რომლის იგნორირება შეუძლებელია. შვიდი წლის წინათ, პრემიერმინისტრის პოსტზე პირველად მოსულმა სრულიად ახალგაზრდა კაცმა, დაუჯერებლად თამამი ნაბიჯი გადადგა, როდესაც საქართველოს კონსტიტუციაში მისი პირადი საკანონმდებლო ინიციატივით პარლამენტს შესწორება შეატანინა და ოჯახის დეფინიცია ქალისა და მამაკაცის ურთიერთობით განასაზღვრინა.

არ გამოვრიცხავ, რომ იმხანად ირაკლი ღარიბაშვილის თანამდებობა სწორედ მის ამ პოზიციას შეეწირა. პრემიერმინისტრი დღესაც ანალოგიურ მსოფლმხედველობას ავლენს, როდესაც აცხადებს, რომ სექსუალურ უმცირესობათა აღლუმს არ აღიარებს და **თავს ვალდებულად მიიჩნევს, პრემიერმინისტრის პოსტზე მისი მოღვაწეობისას ხალხის იმ უმრავლესობის (მისივე თქმით, 95 პროცენტის) განწყობას გაუწიოს ანგარიში, რომელიც სექსუალური უმცირესობების პარადებისა და აღლუმების გამართვის კატეგორიული წინააღმდეგია. განა ეს იმ მონსტრთან დაპირისპირება არ არის, რომელიც ლგბტ მოძრაობის სახით ოცდამეერთე საუკუნის ახალ (ფაშიზმზე საშინელ) იდეოლოგიას ქმნის?! განა ეს მართლმადიდებელი სულისა და ეროვნული ტრადიციების სადარაჯოზე დგომა არ არის?!**

არანაირი სიმპათია პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნებისა“ და მისი წევრების მიმართ არ მაქვს, მაგრამ ირაკლი ღარიბაშვილი ამ ბოლო მოვლენებში მათგან სრულიად განსხვავებულ პოლიტიკოსად გამოიყურება. განა ის პასუხი, რომელიც ირაკლი ღარიბაშვილმა აშშ-ის სახელმწიფო მდივან ენტონი ბლინკენის დონეზე წამოსულ ბრალდებებს შეაგება, მის ვაჟკაცურ ბუნებასა და საქართველოში ასე მომრავლებული პროდასავლური ორიენტაციის პოლიტიკოსებისგან განსხვავებულობაზე არ მეტყველებს?! მხედველობაში მაქვს უზენაესი სასამართლოს ექვსი მოსამართლის დანიშვნაზე დასავლეთში ატეხილი ვაი-უშველებელი, რომლის გამოც ღარიბაშვილს უკან არ დაუხევია. მისი პასუხი ასეთი იყო: **„2012 წლამდე სასამართლო პროკურატურის დანაყოფად იყო ქცეული, მაგრამ იმდროინდელი სასამართლოს მიმართ არც ამერიკისგან და არც ევროპისგან კრიტიკული შენიშვნა არ მომისმენია, რაც სამწუხაროა და არ არის სამართლიანი“.**

**განა ეს პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მიერ დასავლეთისთვის მისი ორმაგი სტანდარტის გამო გაწნული სილა არ არის?!** განა ამ განცხადებაში არ იკითხება პრემიერმინისტრ ღარიბაშვილის შინაგანი ამბოხი ყოველგვარი ტენდენციურობის, უსამართლობისა და ძალმომრეობის გამო, თუნდაც იგი დასავლეთიდან მოდიოდეს?! ამიტომაც ვაღიარე, რომ ირაკლი ღარიბაშვილის პიროვნებაში, მის პოლიტიკურ მსოფლმხედველობასა და ზნეობრივ პოზიციაში ის მომენტები აღმოვაჩინე, რომელიც სრულიად განსხვავებულია მისი თანაგუნდელების მიდგომებისგან. ამან გადამაწყვეტინა, დღევანდელ სტატიაში მას ღია წერილით მივმართო, რომელიც შემდგომი ნაბიჯების გადადგმისას, შესაძლებელია, რაღაცაში გამოადგეს. დარწმუნებული ვარ, ჩემი ეს შეძახილი ერთადერთი და გამორჩეული იქნება იმ შეძახილთა შორის, რომლებიც ამ კრიტიკულ ვითარებაში მის სმენას მრავლად მისწვდება...



## პატივცემულო პრემიერმინისტრო, ბატონო ირაკლი!

აშშ-ის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა მამამ, ბენჯამინ ფრანკლინმა, ბრძანა: „ვერაფრით დაეხმარები მას, ვისაც რჩევის მოსმენის სურვილი არ აღმოაჩნდება“. ეს წერილი არც რჩევაა და არც თხოვნა, ის მხოლოდ და მხოლოდ მსჯელობაა იმაზე, რა ეშველება ქვეყანას, ერს, ხალხს, რომლის შვილობაც მე და თქვენ ღმერთმა გვარგუნა თუ გვიწყალობა. მე მოხუცებულობაში გადასული კაცი ვარ, თქვენ — სრულიად ახალგაზრდა და მზარდი პიროვნება. მე რიგითი მოქალაქე ვარ, თქვენ წინამძღოლი ბრძანდებით საქართველოსი...

ახლა ისე ჩქარა იცვლება დროება, რომ ხანდახან სახელების დამახსოვრებაც კი ჭირს ელვის სისწრაფით მოსული და ქარის სისწრაფით წასული წინამძღოლებისა. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ თავისთავად ბევრი არაფერი ყრია წინამძღოლობაში, თუკი წინამძღოლმა ისეთი რამ არ მოიმოქმედა, ხალხსა და ისტორიას რომ შემორჩეს. წინამძღოლობას თანამედროვე ჩიტირეკია პოლიტიკოსები ისე უყურებენ, როგორც გემრიელ სადილზე დასაყოლებელ ტკბილეულს. მათი აზრით, წინამძღოლის რეგალიის მოპოვებას ერთი მიზანი აქვს — განცხრომით ცხოვრება. თქვენ ორჯერ გარგუნათ ბედმა ქვეყნის წინამძღოლობა და ეჭვიც არ მეპარება, გაცნობიერებული გექნებათ, რომ ამ მდგომარეობას, შესაძლებელია, ყველაფერი ახლდეს, გარდა განცხრომისა და ცხოვრებით ჰედონისტური ტკბობისა. რა თქმა უნდა, ყოფილან მეფენი, რომლებმაც განცხრომით დაიწყეს და განცხრომითვე დაასრულეს, მაგრამ ხალხს კი არა, ისტორიასაც აღარ ახსოვს მათი არსებობა. სამაგიეროდ, ხალხს ისინი ახსოვს, შრომასა და ბრძოლაში რომ დამაშვრალან, პირადულზე მაღლა საქვეყნო საქმე რომ დაუყენებიათ და, როცა ამისი აუცილებლობა დამდგარა, თავიც გაუწირავთ. თავის გაწირვას, რომც მოინდომო, ყოველთვის ვერ შეძლებ, დრო და გარემოება უნდა შეიქმნას საიმისო, თავის გაწირვა რომ შეძლო და რომ ღირდეს. საქვეყნო კაცად დაბადებულნი ამას ბედნიერებად და ღვთის წყალობად აღიქვამენ, ლაჩარნი და მხოლოდ საკუთარ თავზე მოფიქრალნი კი ამგვარ სიტუაციებს ყოველთვის გაურბიან. ქვეყანაზე მოფიქრალ კაცს თავის გაწირვის შანსი თუ მიეცა, არ გაუშვებს მას ხელიდან, რადგან არის შემთხვევები, მხოლოდ თავის განწირვით რომ კეთდება საერო და საქვეყნო საქმე. ზოგჯერ არც პირადული კეთდება თავის გაწირვის გარეშე...

თქვენ ახლა რთულ მდგომარეობაში ხართ, მაგრამ მდგომარეობის სიმძიმემ შანსი გაგიჩინათ, რომ თავის განწირვით ქვეყანა იხსნათ. გაწირეთ თავი და... გადარჩებით! ამას ფრთიან გამონათქვამად ნუ ჩამითვლით. გთხოვთ, ამ ნათქვამის ფილოსოფიურ მხარეზე გაამახვილოთ ყურადღება. ზოგჯერ თავის გაწირვა გადარჩენის ერთადერთი შანსი ხდება. **თქვენ ახლა ქვეყნის შიგნით და გარეთ ის ძალები დაგიპირისპირდათ, რომლებიც ქართულ სულს, ცხოვრების ქართულ წესს ებრძვიან. ამის გამო მათ თქვენგან მადლობა ეკუთვნით, რადგან ეგ თქვენი პიროვნებისთვის მიცემული უმაღლესი შეფასებაა. ამით მათ თქვენ საქართველოსთან გაგაიგივეს, თუმცა არც ის უნდა დაგავიწყდეთ, რომ ეს მათ მიერ თქვენთვის გამოტანილი განაჩენიცაა.** ოდნავი ყოყმანიც თუ შეგატყვეს, თქვენს მომავალ განცხადებებსა და მოქმედებებში უკან დახევის მცირეოდენი სურვილიც კი თუ იგუმანეს, ისინი აუცილებლად გადაგივლიან და გადაგთელავენ, თანაც სასტიკად და დაუნდობლად. ასეთ შემთხვევაში თქვენც პრემიერმინისტრების იმ კოჰორტას შეავსებთ, რომელთა სახელები ცოტა ხნის შემდეგ რომ აღარავის ემახსოვრება, მაგრამ თქვენ თუ ქართველი ხალხის გვერდით დადგებით, ასეთ შემთხვევაში ხალხის აბსოლუტური უმრავლესობა თქვენ მხარეს აღმოჩნდება, თქვენი პიროვნება კი იმ შარავანდედით შეიმოსება, რომელსაც „ქართული ოცნების“ მიერ მოყვანილი პრემიერმინისტრი კი არა, ჭეშმარიტად ეროვნული და სახალხო წინამძღოლი ერქმევა.

გადასადგმელია რამდენიმე რევოლუციური ნაბიჯი, რომლის შემდეგ საქართველოში ახალი (ქვეყნის გადამრჩენელი) რეალობა ჩამოყალიბდება:

**1. უნდა აიკრძალოს დამნაშავე პოლიტიკური ორგანიზაცია სახელწოდებით „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და გასამართლდნენ მისი ლიდერები მათ მიერ ჩადენილი სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური დანაშაულებისა და ადამიანის ღირსებისა და უფლებების მასობრივად შემლახავი სისტემის დანერგვის გამო;**

**2. უარი ეთქვას დასავლეთის დირექტივებით ქვეყნის მართვის დამანგრეველ პოლიტიკას;**

**3. საქართველოში აკრედიტებულ ელჩებს კატეგორიულად აეკრძალოთ საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევა; წინააღმდეგ შემთხვევაში გაძევებულ იქნან ქვეყნის ტერიტორიიდან;**

**4. შეუწყდეს ლიცენზია საქართველოში მოქმედ სულ ცოტა ოთხ სატელევიზიო არხს, რომლებიც დანაშაულებრივი კაპიტალით ფუნქციონირებენ და დამნაშავე პოლიტიკურ დაჯგუფებას („ნაციონალურ მოძრაობას“) ემსახურებიან — „მთავარი“, „ფორმულა“, „ტვ პირველი“; „კავკასია“;**

**5. ეთხოვოს უკრაინის ხელისუფლებას დანაშაულისთვის გასამართლებულ ექსპრეზიდენტ სააკაშვილის საქართველოსთვის სასწრაფოდ გადმოცემა. უარის შემთხვევაში ამ სახელმწიფოსთან გაწყდეს დიპლომატიური ურთიერთობა;**

**6. რუსეთთან სასწრაფოდ დაიწყოს პირდაპირი დიალოგი ორ ქვეყანას შორის პარტნიორული ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად.**

ბატონო ირაკლი, მესმის, რომ ძალიან ძნელია იმ ნაბიჯის გადადგმა, რომელიც, შესაძლებელია, სიცოცხლის ფასი დაგიჯდეთ, მაგრამ მერწმუნეთ, არანაკლებ ძნელია კვირიკაშვილის, ბახტაძის, გახარიას როლში აღმოჩენა, რომლებმაც არც ის იციან, რისთვის მოვიდნენ, და ვერც ის გაიგეს, რისთვის წავიდნენ.

არანაკლებ ძნელია, გერქვას პრემიერმინისტრი და ქვეყანას იმ სატანური ძალების სათარეშოდ ტოვებდე, რომლებიც ზუსტად ისე იქცევიან, როგორც „გამოცხადებაშია“ აღწერილი: **„კვამლიდან გამოვიდნენ კალიები მიწაზე და მიეცათ მათ ძალა, როგორიც აქვთ ძალა მიწის მორიელთ. ეთქვა მათ, რომ არ დაეზიანებინათ მიწის ბალახეულობა და არავითარი მწვანილეულობა და არავითარი ხე, არამედ მხოლოდ ადამიანები, რომელთაც შუბლზე არა აქვთ ღვთის ბეჭედი. მიეცათ ნება მათ, არ დაეხოცათ ისინი, არამედ მხოლოდ ეწამებინათ ხუთ თვეს. და ჰგავს მათი წამება წამებას მორიელისაგან, როდესაც უკბენს ადამიანს. იმ დღეებში ადამიანები სიკვდილს დაუწყებენ ძებნას, მაგრამ ვერ იპოვიან მას. ინატრებენ სიკვდილს, მაგრამ სიკვდილი გაექცევა მათ“.**

თქვენ უნდა ეცადოთ ქართველი ხალხის დახსნა იმ შინაური და გარეშე მორიელებისგან, რომლებიც კალიასავით შემოგვისიეს და საშველი აღარ არის მათგან...

ბატონო ირაკლი, ისტორიას თქვენს გადაწყვეტილებასთან ერთად ჩემი ეს წერილიც შემორჩება, მომავალი თაობები კი განგვსჯიან ორივეს.

წარმატებებს გისურვებთ თქვენს რთულსა და მძიმე სარბიელზე.

პატივისცემით,

**ვალერი კვარაცხელია**

ჩაკუჩსი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„რიონის ხეობის პრობლემა მოუგვარებელია, ხეობა ისევ თურქებს რჩებათ. გეიაღლუმს გადავყევით და ხეობა უკან დაგვრჩა. საერთოდ, ნორმალურები ვართ ქართველები?! რიონის თემა ხელისუფლებამ ამ არაფრისმთქმელი გეიაღლუმის გარშემო ატეხილი ხმაურით გადაფარა. აი, ეს არის საქართველოს მთავრობა, რომელშიც ნათელ წერტილს ეძებთ“.**



გულბაათ რცხილაძე:

# პრემიერმინისტრის ქმედებები წინასაარჩევნო ტრიუკი მგონია

**„ეს საქართველოა. ჩვენ გვაქვს ჩვენი ტრადიციები, ჩვენი წესები და ყველამ პატივი უნდა სცეს ჩვენს წესებსა და ტრადიციებს!“ — განაცხადა პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა და არად ჩააგდო ლგბტქ+ აღლუმი და 19 აპრილს ხელმოწერილი დოკუმენტი, რომლის თანახმად მოსამართლეების დანიშვნა უნდა შეჩერებულიყო. საქართველოს უმალვე ეწვია, ცოტა არ იყოს, გაბრაზებული ევროპის საბჭოს პრეზიდენტი შარლ მიშელი და პრემიერს განუცხადა, რომ მოახლოებულ არჩევნებში უფრო მეტ დამკვირვებლებს გამოუშვებენ საქართველოში, რათა არ მოხდეს არჩევნების გაყალბება... ქართველმა ხალხმა ნათელი წერტილი დაინახა — ჩვენი ხელისუფლება ცდილობს, ქართველთა ნება აღასრულოს და ხალხის ნება-სურვილი უპირატესად აქციოს...**

**„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება „ევრაზიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი გულბაათ რცხილაძე:**

— თქვენ რა ნათელი წერტილი დაინახეთ, არ ვიცი, მაგრამ ღმერთმა ხელი მოგიმართოთ. კატეგორიულად ვერ დაგეთანხმებით, რომ ჩვენი ქვეყნის პრემიერმინისტრი ვინმეს ან რაიმეს წინააღმდეგ წავიდა, მისი ქმედებები უფრო წინასაარჩევნო ტრიუკი მგონია. „ოცნებას“ ხელი მოწერილი აქვს ე.წ. შარლ მიშელის დოკუმენტზე, რომელშიც წერია, რომ, თუ ამომრჩეველთა ხმების 43%-ზე ნაკლებს მიიღებს, რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები უნდა დაინიშნოს. აი, სწორედ ეს პუნქტია ამ მთავრობის ქმედების „ამოსავალი წერტილი“. თუკი მმართველმა პარტიამ მოსამართლეების დანიშვნის შემთხვევაში იეშმაკა, ველარ იეშმაკებს 43%-იანი ბარიერის ვერგადალახვის შემთხვევაში.

**— პრემიერი ღარიბაშვილი ამომრჩევლის გულის მოგებას ცდილობს?**

— დიახ, ეს არის ძალიან პრიმიტიული და ბრიყვული თამაში და ამ თამაშშიც ცეცხლს ეთამაშებიან. **საქართველოს განსაზღვრული აქვს, რომ მონაა, მონა კი ვალდებულია, დაეთანხმოს ბატონს, წინააღმდეგ შემთხვევაში, გაროზგავენ და თქვენ ნახავთ, როგორ დასჯიან ღარიბაშვილს, იმ ღარიბაშვილს, რომლის ქცევებშიც ნათელი წერტილები დაინახეთ.** ამერიკას ყველაფერში კრიჭაში ნუ ჩავუდგებით, რადგან მოსამართლეების დანიშვნის საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია. რამდენიმე ადმინისტრაციული სარჩელი მაქვს შეტანილი სასამართლოში პოლიციისა და ქალაქის სატრანსპორტო სამსახურის წინააღმდეგ და, კარგად ვიცი, რაც იქ ხდება, ვიცი, რომ ჩვენს ქვეყანაში ანტიხალხური სასამართლოა, მომართული მოქალაქის დასაჩაგრავად, დავალებული აქვთ, ყველაფერში მხარი დაუჭირონ სახელმწიფოს. ჩვენი სასამართლო არის სააკაშვილისდროინდელი, ძირგამომპალი.

**ივანიშვილმა იყიდა იუსტიციის საბჭო და სასამართლო, რითაც თავისი საქმე მოაგვარა. ივანიშვილს მიაჩნია, რომ, რაც არ გვარდება ძალისმიერი მეთოდით, იმის მოგვარება შესაძლებელია სასამართლოთი. მოსამართლეების დანიშვნა ივანიშვილის პირადი ინტერესია, ამიტომ კიდევ ერთხელ გეტყვით, რომ სულ ტყუილად გიხარიათ ღარიბაშვილის ე.წ. ვაჟკაცური გადაწყვეტილებები.**

ღარიბაშვილი ივანიშვილის თოჯინაა. ახლა მსოფლიოში პრობლემებია და იფიქრა, რომ ივანიშვილის სურვილების ასრულებას, უბრალოდ, გაატარებდა, მაგრამ ყური აუწიეს და კიდევ უფრო მეტად აუწევენ. მე ეს არც მაღელვებს და არც მიხარია, რადგან კოლონიურ ქვეყანაში ოლიგარქის სურვილები არ დაემთხვა ამერიკის სურვილებს და ამას ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების პრობლემად ვერ აღვიქვამ. აქვე ვიტყვი, რომ მოსამართლეების დანიშვნა არც ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით იქნება სამართლიანი და არც ამ შემთხვევაში, რაც ახლა გააკეთეს.

**— თქვით, ღარიბაშვილის ყველა სიტყვა და ქმედებები გათვლილია მომავალ არჩევნებზე ხალხის გულის მოსაგებადო, მაგრამ ამ ქვეყნის მოქალაქეებმა კარგად ვიცით, რომ არც არჩევნების შედეგები არ ასახავს ამომრჩევლის ნებას. ვიცით, რომ ყველა არჩევნების შედეგები წინასწარ არის დაწერილი, ყოველ შემთხვევაში, პოლიტოლოგებიც და პოლიტიკოსებიც ამაზე ხშირად საუბრობენ. ასე რომ, თუ ღარიბაშვილს საქციელს არ მოუწონებენ ე.წ. დასავლელი პარტნიორები, მას ამომრჩევლის გულის მოგებაც ვერ უშველის. სწორედ ამიტომ მგონია, რომ ის გულწრფელია თავის გადაწყვეტილებებში...**

**«საქართველოს განსაზღვრული აქვს, რომ მონაა, მონა კი ვალდებულია, დაეთანხმოს ბატონს, წინააღმდეგ შემთხვევაში, გაროზგავენ და თქვენ ნახავთ, როგორ დასჯიან ღარიბაშვილს, იმ ღარიბაშვილს, რომლის ქცევებშიც ნათელი წერტილები დაინახეთ»**

— მოდი, მოსამართლეების თემა გვერდით გადავდოთ, ეს მართლაც იყო ხელისუფლების დამოუკიდებელი გადაწყვეტილება, რომლის შესახებაც ვილაპარაკე ზემოთ, მაგრამ სულ სხვაა ლგბტ თემა.

ღარიბაშვილამდე ტელევიზიით გამოვიდა **ირაკლი კობახიძე** და განაცხადა, რომ ლგბტ პირების აღლუმი მიუღებელია მათთვის. რატომ არის მიუღებელი?! იმიტომ, რომ ამ უმცირესობებმა თავისი ე.წ. აღლუმის შესახებ ინფორმაცია არ შეუთანხმეს კობახიძეს, თანაც წინასაარჩევნოდ. ამის შემდეგ „იკაცა“ ღარიბაშვილმაც, რომელიც თითქმის გააღმერთეს, როდესაც განაცხადა, რომ ქალისა და მამაკაცის ერთობაა ოჯახი, თითქოს ამით რაიმე ახალი თქვა, მაგრამ მისი გადაყენება თანამდებობიდან სწორედ ამას მიაწერა ხალხმა და ამჟამადაც იგივე გაიმეორა. ღარიბაშვილმა ხალხი თავის ნებაზე მიუშვა 5 ივლისს... ერთ ამბავს მოგიყვებით.

2013 წელს, როცა სააკაშვილი ჯერ კიდევ პრეზიდენტის სავარძელში იჯდა, მაგრამ უუფლებო იყო, ხმა გავარდა, სააკაშვილი მიდის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, სადაც სიტყვით უნდა გამოვიდესო. ხალხთან და პოლიტპატიმრებთან ერთად მეც მივედი. ადგილზე პოლიცია დაგვხვდა. ამ არეულობაში გამოჩნდნენ **ნიკა მელია** და **გიგი უგულავა.** იმხანად სულ არ ვიცოდი, ვინ იყო მელია. ატყდა ერთი ვაიუშველებელი, ხალხმა ერთმანეთი დაასისხლიანა, მაგრამ პოლიცია არ ჩარეულა გასაშველებლად. ისევ ჩვენ, ხალხმა, შევძელით ნაცების გაყრა ტერიტორიიდან. როდესაც ყველაფერი დაწყნარდა, სწორედ მაშინ მოვიდა ღარიბაშვილი, რომელიც იმხანად შინაგან საქმეთა მინისტრი იყო. გაგვიღიმა, ხალხმა ყვირილი დაიწყო: ირაკლი, ირაკლი!.. მე წამოვედი. აი, სწორედ **ასე მოიქცა ახლა უკვე ქვეყნის პრემიერი ღარიბაშვილი ამა წლის 5 ივლისსაც, როდესაც კოვიდისა და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებისგან გაგიჟებული ადამიანები გამოვარდნენ ქუჩაში და სულერთი იყო, ვის სცემდნენ და ვისზე იყრიდნენ ჯავრს.**

სამწუხაროდ, ჩვენთან ჟურნალისტებიც და ოპერატორებიც საკმაოდ თავხედები არიან და აშკარად მონაწილეობენ პოლიტიკაშიც. მოხდა ძალის გადამეტებაც, ეს ქუჩაა და ვერავინ გააკონტროლებს, მაგრამ ამ საქციელით, ამ ჩაურევლობით ღარიბაშვილმა მოიპოვა გარკვეული რეიტინგი, რადგან საზოგადების ალფრთოვანება გამოიწვია იმით, რომ თითქოს არ დაუშვა ლგბტ-თა აღლუმი.

თქვენი გაზეთის ფურცლებიდან ვკითხავ ღარიბაშვილს: **ბატონო ირაკლი, თუკი თვლით, რომ სააკაშვილის ორგანიზებულია გეიაღლუმი და ეს არის ანტისახელმწიფოებრივი პროვოკაცია, რატომ არ აღკვეთეთ ლგბტ თემის აქტივისტებშივე ეს საკითხი, რატომ არ ჩართეთ უშიშროება, რატომ ისაუბრეთ ამაზე ტელევიზიით და არა მათთან, ვინც გეგმავდა ქუჩაში ლგბტ პირების გამოყვანას? დღეს ძალოვან სტრუქტურებში იბარებთ კონტრაქციის თავკაცებს და მოძალადეებს უწოდებთ, რატომ არ იბარებთ გეების „დედოფალ“ თაბაგარს? რატომ არ ეკითხებით მათ, საიდან მოაქვთ ფული?**

აი, კიდევ ერთხელ პასუხი თქვენ მიერ დანახულ ნათელ წერტილზე. ჩვენი მთავრობა კი არ აუხირდა ამერიკას, არამედ კიდევ უფრო „დაუწვა“.

რაც შეეხება არჩევნების შედეგების წინასწარ დაწერას, რომელიც თქვენ ახსენეთ, გეტყვით — პარტიების პროცენტები აქ, ჩვენს საარჩევნო კომისიაში, იწერება, უბრალოდ, ამერიკის საელჩო ეუბნება, ვინ უნდა შევიდეს პარლამენტში, დანარჩენი, რამდენ პროცენტს დაწერენ, ამათი ნებაა.

**— მაინც მგონია, რომ ხელისუფლება მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს კარგად აფასებს — ამერიკა შედარებით ინერტულია, ავღანეთიდან ჯარები გაჰყავს, პრობლემებიც მოუმრავლდა; პრობლემებია ევროკავშირშიც, მის შესაძლო დაშლაზე ბევრი პოლიტოლოგი საუბრობს და საქართველო შეიძლება უმეთვალყურეოდ დატოვონ... სწორედ ამიტომ ვფიქრობ, რომ ღარიბაშვილმა და მისმა მთავრობამ არ გაითვალისწინეს დასავლეთის მოწოდებები...**

— გისმენთ და მიკვირს, მეცინება კიდეც... თუმცა მომწონს თქვენი ოპტიმიზმი. ავღანეთიდან ამერიკა რომ გამოვიდა, საქართველოსთვის ჯერჯერობით არაფერს ნიშნავს, რადგან ამ ქვეყანაში ამერიკას ფესვები ღრმად აქვს გადგმული. ჩვენი ხელისუფლება არ ფიქრობს, რა იქნება ორი წლის შემდეგ, მას მოახლოებული არჩევნები აწუხებს და ყველაფერი ამაზე აქვს გათვლილი...

**— როგორ, საქართველოში ჩამოსულ ცოტა გაბრაზებულ შარლ მიშელს ეტყვიან, — ახლა გვაპატიე, არჩევნები მოდის და მერე გამოვსწორდებითო?!**

— დიახ, ასე იქნება ზუსტად. შარლ მიშელს რას ეტყვიან, არ ვიცი, მაგრამ, ამაზე რომ საუბრობენ, ფაქტია. დასავლეთი მართლაც შეშფოთებულია გეიაღლუმის არჩატარების გამო და ჩვენს ხელისუფლებას ლამის თავშიც წამოარტყან. სწორედ ამ მიზეზით იჭერენ იმ ხალხს, 5 ივლისს რომ მიუშვეს თავის ნებაზე. არეულობაში, რომელიც იმ დღეს მოხდა, უბრალო ხალხი იჭყლიტება. უბრალო ხალხის დამხმარე არავინაა, ყველა მათზე ტეხს ჯოხს. თქვენ მიერ დანახული ნათელი წერტილი მხოლოდ ისაა, რომ თურმე ტრადიციები გაგვაჩნია, როგორც პრემიერმა ბრძანა. დანარჩენი რა არის სასიხარულო, არ ვიცი, რადგან ტრადიციის მიმდევარ მამაკაცებს აპატიმრებენ.

**— იმედს ვიტოვებ, რომ საქართველოში ჩამოსულ შარლ მიშელს ჩვენი ქვეყნის პრემიერი თვალებში ჩახედავს და ეტყვის: „ეს ჩემი ქვეყანაა, ჩემი ხალხია და, მათ როგორც სურთ, ისე იქნება ყველაფერი“...**

— არა, ასე არ იქნება. რეალურად შევხედოთ ვითარებას. ჩაერევა მიშელიც და ვიქნებით ივანიშვილის ბოსტანიც. მე არც ერთი მინდა და არც მეორე...

რიონის ხეობის პრობლემა მოუგვარებელია, ხეობა ისევ თურქებს რჩებათ. გეიაღლუმს გადავყევით და ხეობა უკან დაგვრჩა. საერთოდ, ნორმალური ვართ ეს ქართველები?! რიონის თემა ხელისუფლებამ ამ არაფრისმთქმელი გეიაღლუმის გარშემო ატეხილი ხმაურით გადაფარა. აი, ეს არის საქართველოს მთავრობა, რომელშიც ნათელ წერტილს ეძებთ. ეს ხელისუფლება არ არის ხალხისთვის. თუკი ამერიკის მოშორება უნდოდათ, ათ წელიწადში ამის გაკეთება შესაძლებელი იყო.

**«ბატონო ირაკლი, თუკი თვლით, რომ გეიაღლუმი სააკაშვილის ორგანიზებულია და ეს არის ანტისახელმწიფოებრივი პროვოკაცია, რატომ არ აღკვეთეთ ლგბტ თემის აქტივისტებშივე ეს საკითხი, რატომ არ ჩართეთ უშიშროება, რატომ ისაუბრეთ ამაზე ტელევიზიით და არა მათთან, ვინც გეგმავდა ქუჩაში ლგბტ პირების გამოყვანას? დღეს ძალოვან სტრუქტურებში იბარებთ კონტრაქციის თავკაცებს და მოძალადეებს უწოდებთ, რატომ არ იბარებთ გეების «დედოფალ» თაბაგარს? რატომ არ ეკითხებით მათ, საიდან მოაქვთ ფული?»**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**საქართველო ხორბალში მომატებულ ფასს გადაიხდის, რადგან რუსეთმა მხოლოდ მეგობარი ქვეყნებისთვის დააწესა შეღავათიანი ფასი და კიდევ მათთვის, ვინც ჩავიდა, დაელაპარაკა, ეკონომიკური ურთიერთობები შეათანხმა. ჩვენ კი რუსეთში ჩასვლა ოფიციალურად გვაქვს აკრძალული. ვერც ერთი ქართველი პოლიტიკოსი ვერ ბედავს ხმამაღლა თქვას, რომ რუსეთთან საუბარს აპირებს ან მათთან საუბარს აზრი აქვს.**

პური ჩვენი არსობისა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რამდენით გაძვირდა პური და როგორ აისახება ეს მოსახლეობაზე

**თითქმის მთელი წლის განმავლობაში ვწერდით, როდის და რამდენით გაძვირდებოდა პური და როგორ აისახებოდა ეს მოსახლეობაზე. ხელისუფლებაში ხვდებიან თუ არა, ვერ გეტყვით, მაგრამ პური საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მთავარი საკვებია და ათასობით ოჯახი ხშირად სწორედ მხოლოდ პურით საზრდოობს. სამწუხაროდ, ჩვენი ვარაუდი ამ შემთხვევაშიც გამართლდა და პურის ფასმა ოფიციალურად 10 თეთრით მოიმატა. ეს ოფიციალურად, თორემ არაერთმა მცხობელმა პური 15 და 20 თეთრით გააძვირა. ვერც გაამტყუნებ — სახელმწიფო სუბსიდიის პირობებში, ქარხნები ერთ ტომარა ფქვილს 50 ლარად იღებდნენ, ახლა კი ფასი 62 ლარია. ამას დაუმატეთ გაძვირებული ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი და ვნახავთ, რომ პური კიდევ უფრო უნდა გაძვირებულიყო.**



**გონიერი მთავრობა აუცილებლად მოახერხებდა იმდენს, რომ რუსეთთან სასაუბროდ დამჯდარიყო და, პურის ფქვილის გაიაფებაზე კი არა, პროდუქციის გაცვლაზე ესაუბრა. ეს მსოფლიოში მიღებული პრაქტიკაა, როცა ჩვეულებრივ, გაცვლა-გამოცვლა მიმდინარეობს და ამით ორივე მხარე კმაყოფილია. რაც მთავარია, კმაყოფილია მეწარმე, რადგან სახელმწიფო დაინტერესებულია, მეწარმეს ხელი შეუწყოს, უფრო იაფი დაუჯდეს პროდუქცია, რათა შემდეგ სარფიანად გაცვალოს**

როგორც გვეუბნებიან, პურის ამჟამინდელი ფასი ნოემბრის შუა რიცხვებამდე შენარჩუნდება, მერე კი კვლავ მატებას ელიან. რთული მისახვედრი არ არის, სად არის ძაღლის თავი დამარხული — 2 ოქტომბერს არჩევნებია, შემდეგ კი მეორე ტურები გაიმართება არაერთ მუნიციპალიტეტში, ამიტომ არჩევნებამდე პური არ უნდა გაძვირდეს, მოსახლეობა რომ არ აჯანყდეს. არც არჩევნების დასრულებისთანავე უნდა გაძვირდეს, რომ არ თქვან, თავისი გაინაღდეს და გააძვირესო, ამიტომ ნოემბრის შუა რიცხვები იდეალური დროა. შევეცდებით, ისევ ავხსნათ, რა გამოიწვევს პურის გაძვირებას და სად არის გამოსავალი. ეს არაერთხელ გაგვიკეთებია, მაგრამ ყური არასდროს არავინ გვათხოვა.

შემოდგომისთვის ხორბალი ყოველთვის ძვირდება, რადგან მოსავალი ყველგან დაბინავებულია, სათესლე ხორბალი — გადარჩეული და მწარმოებელმა ქვეყნებმა ზუსტად იციან, რამდენი უნდა გაყიდონ. შესაბამისად, ფასსაც მარტივად ადგენენ და ზუსტად იციან, ამ ფასის გადამხდელი ქვეყნები აუცილებლად გამოჩნდებიან, რადგან პური ყველას სჭირდება. **საქართველო იმ ქვეყნებს განეკუთვნება, რომლებსაც პურისთვის საჭირო ხორბლის რაოდენობის თითქმის 100% საზღვარგარეთიდან შემოაქვს და ამ 100%-იდან 98%-ზე მეტი რუსეთზე მოდის. რუსეთმა უკვე ოფიციალურად დაადასტურა, რომ წელს რეკორდული მოსავალი ჰქონდა და გაისად კიდევ უფრო მეტს ელის.** არ გამორიცხოთ, რომ ხორბალი რუსეთში ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი სტიმულატორი გახდეს ნავთობპროდუქტებისა და წიაღისეულის შემდეგ. საქმე ის არის, რომ რუსეთი უკვე მსოფლიო ბაზრის უიდესი მოთამაშეა და მას ანგარიშს ყველა უწევს, როგორც მთავარი საკვები პროდუქტის მწარმოებელს.

სამწუხაროდ, **საქართველო ხორბალში მომატებულ ფასს გადაიხდის, რადგან რუსეთმა მხოლოდ მეგობარი ქვეყნებისთვის დააწესა შეღავათიანი ფასი და კიდევ მათთვის, ვინც ჩავიდა, დაელაპარაკა, ეკონომიკური ურთიერთობები შეათანხმა. ჩვენ კი რუსეთში ჩასვლა ოფიციალურად გვაქვს აკრძალული. ვერც ერთი ქართველი პოლიტიკოსი ვერ ბედავს, ხმამაღლა თქვას, რომ რუსეთთან საუბარს აპირებს ან მათთან საუბარს აზრი აქვს.** ბოლოს, ვინც ამის სურვილი გამოთქვა, **ლევან ვასაძე** გახლდათ და ის სასწრაფოდ სამშობლოს მოღალატედ გამოაცხადეს ე.წ. დასავლურმა ძალებმა. არადა, ამ საუბრის გარეშე პურის ფქვილის გაიაფების პერსპექტივა, უბრალოდ, არ არსებობს.

პრობლემა მხოლოდ პურის ფქვილი არ არის. **პრობლემურია აბსოლუტურად ყველა სეზონური პროდუქტის გასაღება, რადგან მთავარი ბაზარი კვლავ რუსეთია და ისე ჩანს, ეს პერსპექტივა დიდი ხნის განმავლობაში არ შეიცვლება.** ევროპულმა და ამერიკულმა ბაზარმა უკვე ნათლად დაგვანახვა, რომ საქართველო იქ წარმოდგენილი იქნება ზუსტად იმ დოზით, რა დოზითაც ამ ქვეყნებს აძლევთ ხელს — თუ, მაგალითად, რუსეთში იყიდება 35 მლნ ბოთლი ღვინო, ევროპასა და ამერიკაში იყიდება — 3-4 მლნ ბოთლი. თანაც, ამ პროპორციით მხოლოდ ღვინო სარგებლობს, თორემ არავის უნდა ქართული მინერალური წყლები და სულ ტყუილად აქებენ „ბორჯომს". არც ამ სასმელზეა გაგიჟებული ევროპა და ეს კომპანიაც ძირითად კლიენტს სწორედ რუსულ ბაზარზე პოულობს.

ახლა ხილის სეზონია. კახეთსა და შიდა ქართლში ატმისა და ვაშლატამას უხვი მოსავალია, მაგრამ რად გინდა — გლეხებს მოსავალი ხეზე ულპებათ და გამოსავალს ვერ პოულობენ. **სტრატეგიულმა პარტნიორმა და მეგობარმა უკრაინამ დახმარების ხელი გამოგვიწოდა და როგორც ატმის, ისე ვაშლატამას შეძენაზე მზადყოფნა გამოთქვა: უკრაინელები შეიძენენ ყველაფერს, რასაც ჩავიტანთ, მაგრამ ისეთი ფასი დაასახელეს, გლეხი წაგებული რჩება, აქეთ მოუწევს ფულის დამატება, რომ პროდუქტი უკრაინაში ჩავიდეს. რუსეთი აქტიურად კი ყიდულობს ყველაფერს, მაგრამ მის შესაძლებლობებსაც აქვს საზღვარი და იმაზე მეტს არ იღებს, რამდენიც სჭირდება.**

მარტივი მაგალითი ავიღოთ — **კახეთში ნესვს, საზამთროს, ატამსა და ვაშლატამას 20-25 თეთრად იშოვით. რა ღირს თბილისში ეს პროდუქტი? ნესვი, სულ ცოტა, 1,50 ლარი კგ, ატმის ფასი 2 ლარიდან იწყება და მას არავინ აკონტროლებს. თუ გურჯაანში კგ ატამი 20 თეთრი ღირს და თბილისში — 2 ლარი, გამოდის, ფასი ათჯერ არის გაზრდილი და ეს რაღაცამ ან ვიღაცამ უნდა დაარეგულიროს, თუმცა ყურს არავინ იბერტყს. ადგილობრივ წარმოებას ვინ ჩივის, ყოველდღიურად არაერთი კონტეინერი შემოდის ირანიდან და თურქეთიდან... კახურ ნესვსა და საზამთროზე იაფად შემოაქვთ თავიანთი პროდუქცია და ყიდიან.**

გონიერი მთავრობა აუცილებლად მოახერხებდა იმდენს, რომ რუსეთთან სასაუბროდ დამჯდარიყო და, პურის ფქვილის გაიაფებაზე კი არა, პროდუქციის გაცვლაზე ესაუბრა. ეს მსოფლიოში მიღებული პრაქტიკაა, როცა ჩვეულებრივ, გაცვლა-გამოცვლა მიმდინარეობს და ამით ორივე მხარე კმაყოფილია. რაც მთავარია, კმაყოფილია მეწარმე, რადგან სახელმწიფო დაინტერესებულია, მეწარმეს ხელი შეუწყოს, უფრო იაფი დაუჯდეს პროდუქცია, რათა შემდეგ სარფიანად გაცვალოს. საქართველოში ხილის ჭარბი რაოდენობა სეზონურად ყოველთვის არის. თუ ახლა ატამი, ნესვი და საზამთროა, მალე ვაშლი გვექნება, მანამდე სხვა ხილი იყო, შემდეგ ყურძენი გვექნება. ხომ **წარმოგიდგენიათ, რა მოხდება, ხელშეკრულება რომ გვქონდეს რუსეთთან და პროდუქციას ვუცვლიდეთ? სახელმწიფო იყიდის გლეხისგან და გაუშვებს რუსეთში, იქიდან კი პურის ფქვილს შემოიტანს. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ასე მარტივი არ არის, როგორც ვწერთ, ამას სერიოზული მოფიქრება, კონტაქტები და ურთიერთობები სჭირდება.** კიდევ ვიმეორებთ: ასეთი პრაქტიკა მსოფლიოს უდიდეს ქვეყნებს აქვთ და კმაყოფილიც არიან. ჩვენ კი, დიალოგის დაწყებაც არ გვსურს, რადგან, რუსეთს სასაუბროდ რომ დავუჯდეთ, დასავლეთი გადაირევა და გაგვიბრაზდება. აქეთ ქართველი პოლიტიკოსები ერთმანეთს დაასწრებენ მოღალატის იარლიყის მიკერებას. **უფრო მარტივია, ისედაც გაძვალტყავებულ და გამათხოვრებულ მოსახლეობას კიდევ ერთხელ შემოუჭირო ქამარი და მერე რა, რომ უკვე ახლა თითოეულ ჩვენგანს თვეში, სულ ცოტა, 5-6 ლარი მხოლოდ პურის ფასში დაემატა. რამდენია ეს თანხა 4-სულიან ოჯახზე? — 20-25 ლარი და საიდან უნდა მოიტანოს ეს თანხა რიგითმა ადამინმა?** — უნდა მოაკლოს სხვა რამეს, რადგან პურს ვერაფრით მოიკლებს და ის „სხვა რამე" კარტოფილი, ბურღულეული და სხვა, შედარებით იაფი პროდუქტია. ხორცსა და თევზს გემოს თვეობით ვერ უსინჯავენ ადამიანები და სახელმწიფო ისე იქცევა, თითქოს ეს ყველაფერი არ იცის.

სამწუხაროდ, ყოველთვის ხდება ის, რასაც ვიწინასწარმეტყველებთ და უფრო სამწუხარო ის არის, რომ ეს წინასწარმეტყველება, ძირითადად, რიგითი ადამიანების ყოფის გაუარესებას ეხება. ასეა ამჯერადაც — **უკვე მერამდენედ, გლეხი მოწეულ მოსავალს ვერ ყიდის და მას კონკურენციას სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი, გაცილებით იაფი და უვარგისი პროდუქცია უწევს; რომ პურის გასაიაფებლად ხელისუფლება, საერთოდ, არაფერს აკეთებს და, თუ ვინმე ლამის ერთწლიან სუბსიდიას დაგვაყვედრის, იმასაც ვეტყვით, რომ ყოველთვიურად ამ სუბსიდიისთვის განკუთვნილი 10 მილიონი ლარი სახელმწიფოს ჩვენი ჯიბიდან მიჰქონდა.**

მომავალი ზამთარი წინაზე უარესი იქნება, მომავალი შემოდგომა და რთველი — შარშანდელზე ცუდი. ყურძენი, რომლის მოსავალსაც ძალიან კარგი პირი უჩანს, კაპიკებად ჩაუვარდებათ ხელში ღვინის მწარმოებელ ქარხნებს და შემდეგ ღვინოს მამასისხლად გაყიდიან... რუსეთში. სამაგიეროდ, ზამთარში სომხეთიდან შემოვიტანთ ათეულ მილიონობით დოლარის ღირებულების ყურძენს და ვიყიდით. სამაცივრე მეურნეობის აწყობა-გამართვაზე არავინ ფიქრობს და იგივე ვაშლი, ატამი თუ ვაშლატამა ზამთარში სხვა ქვეყნებიდან შემოვა. შესადარებლად გეტყვით — ზამთარში კილო ალუჩა 200 ლარს სცდება, მაშინ, როცა სეზონზე ორი ლარი ღირს ჩვენთან. ვერ ვინახავთ და შემდეგ ასჯერ უფრო ძვირად შემოგვაქვს სხვა ქვეყნიდან. ისე არ იფიქროთ, ეს „სხვა" შორეული ქვეყანაა. პროდუქტს, ძირითადად, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან და თურქეთიდან ვეზიდებით.

**ბესო ბარბაქაძე**



**მომავალი ზამთარი წინაზე უარესი იქნება, მომავალი შემოდგომა და რთველი — შარშანდელზე ცუდი. ყურძენი, რომლის მოსავალსაც ძალიან კარგი პირი უჩანს, კაპიკებად ჩაუვარდებათ ხელში ღვინის მწარმოებელ ქარხნებს და შემდეგ ღვინოს მამასისხლად გაყიდიან... რუსეთში. სამაგიეროდ, ზამთარში სომხეთიდან შემოვიტანთ ათეულ მილიონობით დოლარის ღირებულების ყურძენს და ვიყიდით. სამაცივრე მეურნეობის აწყობა-გამართვაზე არავინ ფიქრობს და იგივე ვაშლი, ატამი თუ ვაშლატამა ზამთარში სხვა ქვეყნებიდან შემოვა**

რეზონანსი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ქართველები ბედნიერი, ჯანსაღი ხალხი ჩანს. პირდაპირ ცრემლი მადგება. ორმოცი წლის ვარ და აქ, დასავლეთ ევროპაში, ერთხელაც არ მინახავს, რომ ბიჭები და გოგოები ერთმანეთთან ასე ცეკვავდნენ. და თან ასეთი ჯიშიანები და კარგი გარეგნობისანი. დასავლეთი სრულიად დეგენერირებულია“.



# როგორ გამოეხმაურა «თბილისი პრაიდის» გარშემო განვითარებულ მოვლენებს საერთაშორისო მედია



**საქართველო კიდევ ერთხელ მოექცა საერთაშორისო მედიის ყურადღების ცენტრში. 5 ივლისს თბილისში განვითარებული მოვლენები Google-ის საძიებო სისტემაში მეტწილად ასე იძებნება — „თბილისი პრაიდი“ ძალადობრივი საპროტესტო აქციების ფონზე გაუქმდა.**

გამოქვეყნებულ სტატიებში ნათქვამია, რომ რადიკალურმა ძალებმა „თბილისი პრაიდის“ ოფისი დაარბიეს და ჟურნალისტებს, სამოქალაქო აქტივისტებს თავს დაესხნენ.

* „საქართველოში ლგბტქ+ თემს პრაიდის გაუქმება მოუწია მას შემდეგ, რაც მემარჯვენე ძალებმა მათი ოფისი დაარბიეს. ძალადობრივი ჯგუფები თავს დაესხნენ ჟურნალისტებსაც; შედეგად, სულ მცირე, მედიის 20 წარმომადგენელი დაშავდა. რადიკალურმა ჯგუფებმა დაწვეს ლგბტქ+ მოძრაობის დროშაც“, — წერს BBC-ი. გამოცემას მოყვანილი აქვს „თბილისი პრაიდის“ განცხადებაც, რომელშიც აღნიშნულია, რომ ძალადობრივი საპროტესტო აქციების გამო პრაიდი აღარ ჩატარდება, რადგან „მოძალადეებით სავსე ქუჩაში რისკის ქვეშ ადამიანის სიცოცხლეს ვერ დააყენებენ“.

„მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში სექსუალური ორიენტაციის გამო ადამიანთა დისკრიმინაცია უკანონოა, აღმოსავლეთ ევროპასა და დასავლეთ აზიას შორის მდებარე ქვეყანა კვლავ ძალიან კონსერვატიულია“, – აღნიშნულია BBC-ის სტატიაში.

* 5 ივლისს თბილისში განვითარებულ მოვლენებს გამოეხმაურა ბრიტანული გამოცემა Guardian-იც.

„კონტრაქციის მონაწილეები „პრაიდის“ ოფისს თავს დაესხნენ. პარალელურად მღვდლის ტანსაცმელში გამოწყობილი გრძელწვერიანი კაცები ჟურნალისტებს მუშტებს ურტყამდნენ. მედიის ერთ-ერთი წარმომადგენლის თქმით, მას ჯოხით სცემეს. სხვები კი ამბობენ, რომ თავდასხმის შედეგად დაზიანდა მათი ტექნიკა. საქართველოს პრემიერმინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა** ძალადობრივი საპროტესტო აქციების პროვოცირებაში „თბილისი პრაიდის“ ორგანიზატორები დაადანაშაულა. პარლამენტის ზოგმა წევრმა კი პასუხისმგებლობა რადიკალურ ოპოზიციურ პარტიებს დააკისრა“, — იუწყება The Guardian-ი. გამოცემა წერს, რომ საქართველოში პრაიდის ჩატარებას ყოველთვის მოსდევს კონტრაქციები და ძალადობრივი პროტესტი.

* Aljazeera კი წერს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ „თბილისი პრაიდის“ ჩატარებამდე ხელისუფლებამ ლგბტ აქტივისტების დაცვის პირობა დადო, ქვეყნის პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა სრულიად განსხვავებული განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ მარშის ჩატარება „მიზანშეუწონლად“ მიაჩნია. „ქვეყნის პრემიერის თქმით, პრაიდი სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხეს შეიცავდა. ირაკლი ღარიბაშვილმა „თბილისი პრაიდის“ ორგანიზებაში საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი** და მისი ოპოზიციური პარტია „ნაციონალური მოძრაობა“ დაადანაშაულა“, — წერს Aljazeera. ამ გამოცემის სტატიაში ასევე მოყვანილია ინფორმაცია გასულ წლებში მომხდარი მოვლენების შესახებ, რომლებიც „თბილისი პრაიდის“ ღონისძიებებს უკავშირდებოდა. სტატიის ქვეთავში, სახელწოდებით „სახელმწიფოს მარცხი“, Aljazeera წერს: **„ძლიერი მართლმადიდებელი ეკლესია დასავლეთისკენ მიდრეკილ მთავრობებთან კონფრონტაციაშია, ამიტომ საქართველო კვლავ კონსერვატიულ ქვეყნად რჩება“.**

* „თბილისი პრაიდის“ გარშემო განვითარებულ მოვლენებს ეხმაურება DW-ც.

„მართლმადიდებელმა ეკლესიამ მხარდამჭერებს შეკრებისკენ მოუწოდა, რათა მათ საყოველთაო ლოცვის პროცესში მიეღოთ მონაწილეობა, რომელიც ლგბტ თემის წინააღმდეგ იყო მიმართული. კონტრაქციის მონაწილეებმა დაარბიეს „პრაიდის“ ოფისი, ერთ-ერთი აქტივისტი ხალხის მასაში მოტოციკლით შევარდა. პროტესტის მონაწილეები, მათ შორის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლები, ჟურნალისტებს დაესხნენ თავს. სოციალურ ქსელში გავრცელდა ფოტოც, რომელზეც ჩანს, რომ ნაცემ ჟურნალისტს, რატი წვერავას, მღვდელი მიათრევს“, — აღნიშნავს DW.

* Washington Post-ი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზეც, რომ ძალადობრივი ჯგუფები პოლონელ ტურისტსაც დაესხნენ თავს, რის გამოც მისი ჰოსპიტალიზება გახდა საჭირო.

„ლგბტქ+ თემის მიმართ მტრული განწყობა განსაკუთრებით ძლიერია კონსერვატიულ საქართველოში, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში. მომხდარი საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა, დაგმო, მაშინ, როდესაც ქვეყნის პრემიერმინისტრმა მარშის ორგანიზება რადიკალურ ოპოზიციურ პარტიებსა და საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს, დააბრალა“, — იუწყება Washington Post-ი.

* Bloomberg-ი კი წერს, რომ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რომელიც „თბილისი პრაიდს“ მოუწოდებდა, საზოგადოების დამოკიდებულების გამო მარში არ ჩაეტარებინა, მოგვიანებით განცხადება გაავრცელა, რომელშიც აღნიშნა, რომ „თბილისი პრაიდის“ ოფისებზე თავდასხმის ფაქტზე გამოძიება დაიწყო. მომხდარი დაგმო საქართველოს სახალხო დამცველმაც“. გამოქვეყნებულ სტატიებში აღნიშნულია, რომ თბილისში განვითარებულ მოვლენებს სხვადასხვა ქვეყნის საელჩოები და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლებიც გამოეხმაურნენ და მომხდარი დაგმეს.

# ბონდო მძინარაშვილი: წლებია, ამას ვამბობ, რის გამოც ფაშისტად, ჰომოფობად და «კრემლისტად» მაცხადებენ უტვინო ლიბერალები!



**საზოგადოებრივი მაუწყებლის ბორდის წევრი ბონდო მძინარაშვილი სოციალურ ქსელში გზავნილს ავრცელებს:**

სიმართლეს ამბობს **გუბაზ სანიკიძე,** — ლიბერალიზმის მზე ჩაესვენა საქართველოში! დიახ, განათლებული კონსერვატიზმისა და ნაციონალიზმის დრო დაბრუნდება ძალიან მალე! და არამხოლოდ საქართველოში! ეს აუცილებელად მოხდება! ეს უკვე მოხდა!

ამას ვამბობ წლების განმავლობაში და ამის გამო ფაშისტად, ჰომოფობად და „კრემლისტად“ მაცხადებენ უტვინო ლიბერალები!

კარგად გააანალიზეთ 5 და 6 ივლისი და მიხვდებით, რომ საქართველოში კონსერვატიზმი და ნაციონალიზმი ასპარეზს არ დაუთმობს ლიბერალიზმს! კიდევ დიდხანს მოითმინა ხალხმა!

# ირმა ბეგლარიშვილი: აღლუმს მართავენ და ღირსების მარშს არქმევენ, ესაა უზედურება — გაიძულებენ, მათი «უპირატესობა» აღიარო



**ეს ის შემთხვევაა, როცა სიტყვას ძალა არ აქვს, მაგრამ მაინც ვიტყვი:**

რომ დგახართ და ეს „ლიბერალები“ ქრისტეს მცნებას გვიმეორებთ გამუდმებით, მაგალითი უამრავი მოგყავთ, რომ თქვენ გარშემო რამდენი გეი იყო, ლესბოსელი.

აქ, მათ გეობაზე კი არაა საქმე, პარადს რომ გიმართავენ და თან ღირსების მარშს არქმევენ, ესაა უბედურება; რომ გაიძულებენ, მათი „უპირატესობა“ აღიარო.

ვინც აძლევს ამ პარადის უფლებას, რატომ არ სვამს კითხვას: რა დამსახურებისთვის?

ასე საპატივცემულოა უკანალების პოზირება?

ან მათ რომ უყურებთ, რომელს გიჩნდებათ მათ მიმართ სიმპათია, გთხოვთ მითხრით.

ვერ ხვდებით, რომ მთელი ეს წლები გვიწვევენ,...მასხარად გვიგდებენ?

ერთი, ჩვეულებრივი კოლონია ვართ. ამიტომაა, ვისაც რა უნდა, იმას რომ აკეთებინებს ისევ თავიანთ დასმულ ხელისუფლებას.

სწორედ ქრისტე იყო, რომელმაც ეკლესიის წინ დაანგრია და გააცამტვერა მოწყობილი სავაჭროები. მართლმადიდებელთა ქრისტიანული დროშა მიუძღოდა ქართველ მეომრებს, როცა საომრად მიდიოდნენ! დღესაც ომია. მოეშვით დაცვას. ისინი ხვალ თქვენს შვილებსა და შვილიშვილებს გარყვნიან, რადგან ამის ნორმად დაწესებას ეს მოჰყვება აუცილებლად. დიახ, ომია, ომი უფრო საშიში და დაუნდობელი, ვიდრე ხმლით ბრძოლა.

შეხედეთ, რომელი ჰგავს ადამიანს. სახედაკარგული მასა, რომელიც მზად არის, ყველაფერი დაიბრალოს ფულის სანაცვლოდ.

განა სოდომი და გომორი სხვა რამისთვის გაცამტვერდა?

# გერმანელ მაყურებელს მოეწონა ქართველების ანტილგბტ აქცია, რომელიც რუსულმა RT-მ პირდაპირ ეთერში გადასცა

**„რაშა თუდეის“ გერმანულენოვანმა რედაქციამ პირდაპირი სტრიმი მოაწყო თბილისიდან, ლგბტ საწინააღმდეგო აქციიდან. როგორც „იუთუბიზე“ გაკეთებული კომენტარები მოწმობს, გერმანელი მაყურებლის უმრავლესობას ეს აქცია მოეწონა.**

Es ist Zeit, dass die Mehrheit zeigt was normal ist. Schluß mit den Mainstreams und die korrupte Politiker! — „დროა, უმრავლესობამ აჩვენოს, რა არის ნორმალური. უნდა დასრულდეს მეინსტრიმისა და კორუმპირებული პოლიტიკოსების დრო!“

endlich mal eine vernunftige demo — **„ძლივს ვნახე აზრიანი დემონსტრაცია“....**

SO, sollte es auf der ganzen Welt sein — **„ასე უნდა იყოს მთელ მსოფლიოში!“**

Ganz normale Menschen mit ZWEI unterschiedlichen Geschlechtern. Einfach nur genial... Ich will raus, aus der Irrenanstalt BRD! — **„აბსოლუტურად ნორმალური ადამიანები, ორი განსხვავებული სქესის წარმომადგენლები. უბრალოდ გენიალურია. მინდა, წავიდე ამ საგიჟედქცეული გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან!“**

Einfach nur menschlich. Kann man sich in Buntland Germoneystan leider nicht vorstellen. Wie schon es sein muss dort zu leben. — **„უბრალოდ, ადამიანურია. ამის წარმოდგენა აჭრელებულ „გერმანისტანში“, სამწუხაროდ, წარმოუდგენელია. რა კარგია, ალბათ, საქართველოში ცხოვრება“.**

Das muss ein Gluckliches Gesundes Volk sein. Mir kommen fast die Tranen. Mit meinem Vierzig Jahren hier in Westeuropa habe ich nicht einmal gesehen, dass Jungs und Madels so miteinander tanzen. Und noch dazu so rassig und gutaussehend. Der Westen ist komplett degeneriert.

**„ქართველები ბედნიერი, ჯანსაღი ხალხი ჩანს. პირდაპირ ცრემლი მადგება. ორმოცი წლის ვარ და აქ, დასავლეთ ევროპაში, ერთხელაც არ მინახავს, რომ ბიჭები და გოგოები ერთმანეთთან ასე ცეკვავდნენ. და თან ასეთი ჯიშიანები და კარგი გარეგნობისანი. დასავლეთი სრულიად დეგენერირებულია“.**

ძირითადად, ასეთ კომენტარებს აკეთებენ გერმანელი მაყურებლები, რომლებიც საქართველოს შესახებ სიმართლეს ისევ რუსული მასმედიიდან იგებენ, თორემ გერმანულმა „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ თავის რეპორტაჟში პირდაპირ მიწასთან გაასწორა ქართველი „მოძალადეები“.

# ამერიკის საელჩომ ქართველი სკოლის დირექტორი სამსახურიდან გამოაგდებინა

**აშშ-ის საელჩოს კრიტიკა ისჯება, ისევე, როგორც გარყვნილთა აღლუმების წინააღმდეგ გამოსვლა და ამ აღლუმების აღკვეთა. ეს უკვე იწვნია 5 ივლისის აქციის მონაწილეების ერთმა ნაწილმა, რომელიც ახლა სასამართლოებს ელოდება, მაგრამ მუშტის მოქნევა რას მიქვია, ჩამყაყებულ „ფეისბუკში“ დაწერილი ერთი წინადადებაც კმარა დასასჯელად — როგორც ეს გორის მეხუთე საჯარო სკოლის დირექტორს, ზურაბ ქარელს, გაუკეთეს!**

ზურაბ ქარელმა აშშ-ის საელჩოსა და სხვა „დემოკრატიული“ საელჩოების განცხადების ქვეშ კომენტარის სახით დაწერა ცნობილი ქართული გამოთქმა — „ყველამ თავის ბოზ მამიდას მოუაროს“. ამის გამო ის აიძულეს, რომ განცხადება დაეწერა და საჯარო სამსახური დაეტოვებინა. განათლების სამინისტრომ ეს გამოთქმა „უხამსად“ ჩათვალა **(განათლების სისტემის გაუნათლებელ მაღალჩინოსნებს რუსთაველი თუ გაუგიათ ნეტავ — „როსკიპო, ბოზო დიაცო, საქმრო რად მოაკვლევინე?!“).** არადა, ქართველმა კაცმა პროტესტი გამოხატა აშშ-ისა და ევროპული საელჩოების მხრიდან საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევისა და ლგბტ-გარყვნილების მხარდაჭერის გამო.

ge.news-front.info

**ამ კნინი მოხელეების კარიერა, ალბათ, მონიშნულიც არ იყო, როცა საქართველო-ამერიკის ურთიერთობას განახორციელებდნენ ამერიკული ხელისუფლების ისეთი გიგანტები, როგორებიც იყვნენ პრეზიდენტები რონალდ რეიგანი, ჯორჯ ბუში (მამა), ბილ კლინტონი... როგორი პატივისცემით იყვნენ განმსჭვალულნი საქართველოს, ჩვენი ქვეყნის მაშინდელი ხელმძღვანელის მიმართ.**

ჩოცა ყელში ამოვიდა...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# თქვენ თვალში ხომ არ გეპატარავებით?!

**ლგბტქ+ კვირეულის თბილისში დაწყების წინა დღეს, ერთსართულიანი ამერიკის ერთ-ერთი ჩვეულებრივი ქალაქის მოსახლეობის ორი დაპირისპირებული ნაწილი ერთმანეთს დაერია სექსუალურ უმცირესობათა მიმართ განსხვავებული დამოკიდებულების გამო.**

კერძოდ:

მამაკაცი, რომელიც საკუთარ თავს ქალად მოიაზრებდა, ქალების სპა-სალონში დედიშობილა შევიდა.

მათ, ვინც იმ დროს იმ სალონში პროცედურებს იღებდა, არ იცოდნენ (ან საიდან, ან რატომ უნდა სცოდნოდათ?!), რომ ის კაცი ქალად მოიაზრებდა თავს, და ატეხეს წიოკი და ვაი უშველებელი.

გამოვარდა ხალხი სახელდახელო აქციაზე და მოითხოვა ქალებსა და კაცებს შორის საზღვრის დამრღვევის ჭკუაზე მოყვანა.

ეს რომ შეიტყვეს ნაკაცარების საზოგადოების წევრებმა, ისინიც გამოცვივდნენ ქუჩაში — ჩვენიანს ერჩიან და საკუთარი მკერდით დავიცვათ ჩვენი უფლებებიო!

მკერდით! დიახაც!

რადგან სხეულის სხვა სერიოზული ნაწილი სხვა სერიოზულობით ჰქონდათ დაკავებული.

არც გენდერული წონასწორობის დამცველნი აღმოჩნდნენ ჯაბანნი და ეკვეთნენ ორად გახლეჩილი დემოკრატიული საზოგადოების წარმომადგენლები ერთმანეთს!

მტრისას, რაც იქ დატრიალდა!

არც მთლად ისეთი, რეზო გაბრიაძის „შერეკილებში“ აღწერილი „აშლი-მაშლი“, როცა ნემეცების უბანში „ბულვარდში ბუზიკამ დასცხო ვალსი ჩქარული! ჩვენებური! ვაჟკაცური!“, ხოლო „იაშა ფლეიშმანი პანჩურით დირიჟორობდა ორკესტრს!“

მაგრამ — რაღაც მსგავსი. რადგან იაშა ფლეიშმანი ამერიკას ვერ მივართვით.

ის, რაც აშშ-ის ერთ პატარა ქალაქში მოხდა, საქართველოს ლგბტ პრაიდის აღლუმის დაწყების ნიშანი აღმოჩნდა.

დანარჩენი ჩვენმა მკითხველმა იცის.

აშშ-ს დიდი გამოცდილება აქვს არეულობების დასაშოშმინებლად, მოუვლის ამათაც.

ჩვენ რა გვესაქმება?

ახალი ქართულით თუ ვიტყვით, საქმე იმაშია, რომ ის გამოცდილება თავის კანში ვერ ეტევა და ყველგან, სადაც კი ხელი მიუწვდება, ყველა ქვეყანაში იწყებს თვითრეალიზაციას.

სადაც კი უფლებას აძლევენ.

და „წესრიგს ამყარებს“.

არც ჩვენ აღმოვჩნდით გამონაკლისი. გამოდგება ვინმე მოცოროზი ელჩი და 5 ივლისს (და შემდგომ დღეებში) თბილისში დატრიალებული მოვლენების შეფასებას დაიწყებს.

ჭკუას დაგვარიგებს! ბითუმად და ცალობით!

გმადლობთ!

მაგრამ ჯერ თქვენს ქვეყანაში დაამყარეთ ნაქები ნეოლიბერალური წესი და რიგი, მერე დაფიქრდით — ღირს კი ამაოდ გაისარჯოთ საქართველოს გაქათმებისთვის?

ეგ კიდევ არაფერი: გაქვთ კი კარგად გაცნობიერებული ჩვენი რაობა? ისტორია? ტრადიციები?

ვინ აღგჭურვათ უფლებით, რომ ქართველი ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების, მთავრობის მიერ თავის ქვეყანაში განხორციელებულ დემოკრატიულ ღონისძიებებს, მათ საქმიანობას ქვეყანაში სტაბილურობის შესანარჩუნებლად, დანაშაულის გამოძიების შედეგად დამდგარი რეალობის მიხედვით ექვმიტანილთა დასასჯელად საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, მცდელობას — გამოავლინოს პროვოკატორები, ამ არეულობის ორგანიზატორები, უწოდოთ სამარცხვინო?

სანამ მოცოროზების თავგასულობას საერთოდ არ წაუშლია დიპლომატიაში დადგენილი ურთიერთობების წესები, ეთიკა და პარტნიორების მიმართ პატივისცემის დადგენილი „წითელი ხაზები“, მოუსმინეთ ფაქტების ღაღადისს!

ამ კნინი მოხელეების კარიერა, ალბათ, მონიშნულიც არ იყო, როცა საქართველო-ამერიკის ურთიერთობას განახორციელებდნენ ამერიკული ხელისუფლების ისეთი გიგანტები, როგორებიც იყვნენ პრეზიდენტები რონალდ რეიგანი, ჯორჯ ბუში (მამა), ბილ კლინტონი... როგორი პატივისცემით იყვნენ განმსჭვალულნი საქართველოს, ჩვენი ქვეყნის მაშინდელი ხელმძღვანელის მიმართ.

ბილ კლინტონმა შევარდნაძეს პირველივე შეხვედრის დროს უთხრა: „არ დაგიმალავთ, როცა ტელევიზიით ვნახე, რომ პროტესტის ნიშნად საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან დემონსტრაციულად გადადექით, ფეხზე დავდექი და ტაში დაგიკარით!“

იციან ეს საქართველოში აკრედიტებულმა დიპლომატებმა? ვერ გეტყვით. ალბათ, არა, რადგან არასოდეს, არსად, არც ერთ გამოსვლაში არავის უხსენებია.

ხოლო იმდროინდელი კოლეგები საქართველოს პრეზიდენტთან რიგში რომ იდგნენ რჩევის მისაღებად და საერთაშორისო ურთიერთობათა პერსპექტივაში საფუძვლიანად გასარკვევად, ამაზე, ალბათ, წარმოდგენაც არ აქვთ.

დრონიც მეფობენ და ბედაურებიც დაიხოცნენ. ამათ დარჩათ სარბიელი?

ან, ეგებ, დროთა მეფობის ჟამის განსაზღვრა აშშ-ის ელჩის „მოვალეობაში შედის“ და ამის შესახებ დღემდე არაფერი ვიცით?

არ ვიცოდით და ისე დავყაბულდით.

სამაგიეროდ უგანათლებულესმა ელჩებმა ხომ უნდა იცოდნენ, რომ **„დემოკრატია, ეთიკური საფუძვლის გარეშე ანარქიული ეგოიზმია“,** რომის პაპის — იოანე პავლე II-ის დებულებაა.

დემოკრატია ეთიკური ნორმაც არის.

ახლა კი, ისტორიული დამსახურების უარმყოფელთა საყურადღებოდ მხოლოდ ორიოდ ფაქტს გავიხსენებ მსოფლიო ასპარეზზე საქართველოს ტრიუმფალური წარმოჩენის შესახებ.

ხაზს ვუსვამ: მხოლოდ ორიოდეს და ისიც სხვათა შეფასებით, რომელთაც თავად ვესწრებოდი, რაც ვნახე და მოვისმინე.



1999 წლის 18 ნოემბერი — ქ. სტამბოლში ეუთოს სამიტის ქარტიისა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და ტრანსკასპიური მილსადენის მშენებლობის პროექტების ხელმოწერის ცერემონიაზე: ყაზახეთის პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევი, აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი, აშშ-ის პრეზიდენტი ბილ კლინტონი, თურქეთის პრეზიდენტი სულეიმან დემირელი, საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, თურქმენეთის პრეზიდენტი საფარმურატ ნიაზოვი



ლიდერთა შორის

როცა 1997 წლის მაისში საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე 18 საუკუნის შემდეგ, ათასრვაასწლიანი პაუზის შემდეგ, როგორც უმაღლესი ხელისუფალი, ჩავიდა რომში, **იტალიურმა პრესამ ეს შეაფასა, როგორც მსოფლიო რეზონანსის მქონე მოვლენა.**

შევარდნაძემ ამ თემაზე საუბრისას ჟურნალისტს უთხრა: „...სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობისას ვხედავ, ამჯერად რომშიც დავრწმუნდი, არ ვარ ჩამოწერილი, არ დავიწყებივარ ადამიანებს. უწინარეს ყოვლისა, **ყველაფერი ეს მსიამოვნებს იმიტომ, რომ რაღაც ფორმით, რაღაც სახითა და დოზით ჩემს ქვეყანას წაადგება“.**

1997 წლის სექტემბერში საერთაშორისო ურთიერთობებისა და საზოგადოებრივი დამსახურებისთვის ალექსანდრე ონასისის პრემია მიანიჭეს საქართველოს პრეზიდენტს.

ოფიციალურ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „ფონდი აღიარებს და აჯილდოვებს დიდ პოლიტიკურ მოღვაწეს, **რომელმაც მთელი მსოფლიოსთვის ერთ-ერთ ყველაზე კრიტიკულ პერიოდში მთავარი როლი შეასრულა ზესახელმწიფოთა შორის ურთიერთდაპირისპირების იდეოლოგიის უკუგდებასა და „ცივი ომის“ დასრულებაში;** ყველა სახეობის სამხედრო იარაღის გავრცელების შეზღუდვასა და ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებაში; ეროვნული ღირსების, მშობლიური ენისა და კულტურული თვითმყოფადობის დაცვაში; ხალხის მოთხოვნებისა და ინტერესების შესაბამისად კერძო მეწარმეთათვის და თავისუფალი ბიზნესისთვის ხელსაყრელ სამართლებრივ ნორმათა შემოტანაში“.

გლობალურ საქმეთა ნუსხაა ეს ჩამონათვალი.

მაგრამ მხოლოდ ნაწილია, რადგან „ფონდი პატივს მიაგებს საქართველოს პრეზიდენტს, რომელმაც **მოახერხა, გათავისუფლებულიყო მის სამშობლოში დამკვიდრებული იმ ურთიერთდაპირისპირებულ დაჯგუფებათა გავლენისგან, რომლებმაც მას ძალაუფლება გადასცეს...**

მან ბოლო მოუღო მის ქვეყანაში გაბატონებულ სამოქალაქო ომსა და საყოველთაო ქაოსს და ყველაფერი კანონის უზენაესობას დაუქვემდებარა“.

და ასე შემდეგ.

ეს ყველაფერი საქართველოზეა, მისი უახლესი ისტორიიდან არის.

**1999 წლის 20 სექტემბერი, 13 საათი და 10 წუთია. საქართველოს პრეზიდენტი გაეროს პლენარულ სხდომათა დარბაზის ტრიბუნასთან დგას და ქართულად ლაპარაკობს.** დარბაზი სულგანაბული ისმენს პირველად, ხაზს ვუსვამ, პირველად, გაეროში დამკვიდრებული წესის (5 სამუშაო ენა) დარღვევით აჟღერებულ პატარა ქვეყნის უნიკალურ ენას — ქართულს.

უპრეცედენტო ფაქტია.

**გაეროს ხელმძღვანელობამ ასეთი გამონაკლისი გააკეთა ედუარდ შევარდნაძის განსაკუთრებული დამსახურების გათვალისწინებით, მისდამი უდიდესი პატივისცემის ნიშნად.**

ესეც საქართველოს შესახებაა, ბატონებო.

მოირგო გაერომ, მსოფლიო აუდიტორიამ ქართული ენა, ორგანულად შეუთავსდა და შეეთვისა. იქნებ, ესეც არის ერთ-ერთი საიდუმლო, რომელიც „დამარხულ არს ამ ენათა შინა“.

ასეთია გაეროს ისტორიაში სამუდამოდ ჩაწერილი ფაქტი, რომელსაც მომავალში უფრო მეტი ფასი დაედება.

**1999 წლის 12 ოქტომბრის ზუსტად 19 საათია.**

საქართველოს პრეზიდენტის „ილ-62“ ღამის ფონიდან გამოკვეთეს ძლიერმა პროჟექტორებმა და სხვა განზომილებაში მოაქციეს ზეციდან დაშვებული თეთრი მიუწვდომლობა.

ამ შორეული სითეთრიდან წითელნოხდაფენილ თეთრ ტრაპზე გამოჩნდება საქართველოს პრეზიდენტი.

ქვემოთ, საპატიო ყარაულში — გაჭიმული ჯარისკაცები, დამხდურ მაღალჩინოსანთა შავი კოსტიუმების სოლიდურობა და გულითადი მოლოდინი.

**და ზარბაზნების პირველი ზალპი.**

**გაერთიანებული გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, მისი დედაქალაქი ბერლინი ეროვნებათა სალუტით მიესალმება საქართველოს პრეზიდენტს.**

ესეც საქართველოზეა, ბატონებო. თქვენ რომ გაბონი გგონიათ და წაჰკრავთ თითო ქიშტს, როცა მიზანშეწონილად მიიჩნევთ.

2002 წლის 16 მარტს ჰალეში გამართულ ჰანს დიტრიხ გენშერის გრანდიოზულ საიუბილეო საღამოზე გერმანიის ერთ-ერთმა უდიდესმა პოლიტიკურმა მოღვაწემ ასე წარუდგინა ედუარდ შევარდნაძე დამსწრეთა მასას:

„— ყველამ, თითოეულმა გერმანელმა რომ საკუთარი წვლილი გაიღოს საქართველოსთვის, მაინც ვერ გადაგიხდით იმის საფასურს, რაც ჩვენ გვაჩუქე, — და მიმართა ხალხს, — **თქვენ წინაშე მსოფლიო ლეგენდა დგას. დიდი მადლობა მას ყველაფრისთვის.**

**და ესეც საქართველოზეა, თქვენ რომ თვალში გეპატარავებათ და ხან რას წამოგვაძახებთ, ხან რას!**

**რისი ხოშიც გაქვთ!**

**არმაზ სანებლიძე**

აქტუალური ინტერვიუ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ქრისტიანობის, ეკლესიის ძალისხმევით გამოატარა მრავალტანჯულმა ქართველმა ხალხმა თავისი ქვეყანა საუკუნეებს. დღეს სარწმუნოებას გვართმევენ, პატრიარქს გვილანძღავენ, ეკლესიას გვიბილწავენ. კი ცდილობენ, მაგრამ ვფიქრობ, ვერ წაგვართმევენ“.

# გრიგოლ ონიანი: XX საუკუნის ყალბი ისტორია, რომელიც შემდეგ კიდევ უფრო გააყალბეს ისტორიის «პიგმეებმა», უნდა განადგურდეს!

## «ბიბლიური ათი მცნება, როგორც პროგრესული მოძღვრება, იესო ნაზარეველმა დახვეწა, ოცი საუკუნის შემდეგ კი სტალინმა ადამიანთა ცხოვრების წესად აქცია»

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №25, 2021 წ.

**— ბატონო გრიგოლ, რატომ დაბრუნდით გორიდან უკმაყოფილო და რატომ თქვით უარი, კენჭი გეყარათ ამ ქალაქის მერობაზე?**

— გორელების მიმართ ყოველთვის უკმაყოფილო ვიყავი და ვარ ამჟამადაც. ეს, ალბათ, იმითაც არის გამოწვეული, რომ გორელებისგან უფრო მეტს მოვითხოვდი და მოვითხოვ, ვიდრე სხვებისგან. ვფიქრობ, ადრე მომივიდა გორის განვითარების პროექტის გამჟღავნება და ამან ზოგიერთში ეჭვი გააჩინა. ზოგმა კი, საქმეში უფრო ჩახედულმა ადამიანმა, იფიქრა, სტალინის ძეგლით რატომ სხვამ უნდა ისარგებლოსო.

**— რა სარგებელზეა საუბარი — ფინანსურზე თუ მორალურზე?**

— ჯერ კიდევ შევარდნაძის პერიოდში იყო საუბარი გორის ტურისტულ ცენტრად გადაქცევაზე, აგრეთვე, **სტალინისა** და მისი დედის, **კეკეს,** გადმოსვენებაზე, რაც კიდევ უფრო გაზრდიდა გორისადმი ტურისტების ინტერესს. იმხანად ეს თემა შემოგდებული მეგონა, რადგან მთაწმინდიდან კეკეს გადასვენებას თავიდანვე ითხოვდნენ არაფორმალები და პროტესტის ნიშნად დააზიანეს კიდეც მისი საფლავი. მხოლოდ კეკეს გადასვენება, შევარდნაძის აზრით, მე დამაეჭვებდა, ამიტომ სტალინის გადმოსვენებაც მიუახლოვა ამ თემას. პროექტზე ვიმუშავეთ და საქმის კურსში, შევარდნაძის რჩევით, საქართველოს პატრიარქიც ჩავაყენე, მაგრამ იმხანად არაფერი გამოვიდა, რადგან რუსეთის დუმაში კომუნისტებმა უმრავლესობა მოიპოვეს და სტალინი არ დათმეს. სტალინის საქართველოში გადმოსვენების საკითხს დიდი ხნის განმავლობაში ტაბუ დაადო მოსკოვმა, საქართველოში კი სტალინთან მებრძოლი ნაციონალები გაპარპაშდნენ და მისი ძეგლების ნგრევა დაიწყეს. კეკეს გადმოსვენებაზე საუბარი ისევ აქტუალური დარჩა. ბოლოს მოხდა ისე, რომ გორის ტურისტულ მექად და ქრისტიანულ ცენტრად გადაქცევის საუბარში ჩავები სხვადასხვა ადამიანის გავლენით. სანამ ქალაქის მერობის საკითხამდე მივალ, ერთ შემთხვევაზე მოგიყვებით: მეგობართან ერთად მოსკოვში ყოფნისას სტუმრად სახელგანთქმულ ქართველ სკულპტორ **ზურაბ წერეთელთან** მომიწია მისვლა. ბატონმა ზურაბმა თავის საგამოფენო გალერეაში ბევრი საოცარი რამ გვაჩვენა, მაგრამ ჩემთვის ნამდვილი აღმოჩენა იყო გამოფენის ცენტრალურ ნაწილში აღმართული **სტალინის, რუზველტისა** და **ჩერჩილის** ქანდაკება — „დიდი სამეული“. ბატონმა **ზურაბ წერეთელმა შემატყო, რომ ქანდაკებამ უკიდურესად აღმაფრთოვანა. მომიახლოვდა და მითხრა: „გრიშა, ეს ქანდაკება მივუძღვენი იალტის კონფერენციის 50 წლისთავს, უკრაინის ხელისუფლებამ უარი თქვა ქანდაკების ლივადიის სასახლეში განთავსებაზე და შემორჩა გალერეას“.** სათქმელი ბევრი მქონდა, მაგრამ ვერ გავბედე. თბილისში დაბრუნებულმა, ტიტულიან ქაღალდზე დაწერილი წერილით თხოვნით მივმართე რუსეთის აკადემიის პრეზიდენტ ზურაბ წერეთელს (იხილეთ ფოტო) ძეგლის გადმოცემაზე. ბატონი ზურაბი დამთანხმდა. ხელისუფლებაში სურათით ხელში მივედი და სიმბოლური თანხა და თანხმობა ვთხოვე ქანდაკების ჩამოსატანად თბილისში, მაგრამ თბილისმა მტკიცე უარი განმიცხადა არამხოლოდ თანხაზე, არამედ ქანდაკების დადგმის ნებართვაზეც კი. მოსკოვში მეორედ ჩავედი და ბატონ ზურაბთან შეხვედრის შემდეგ გადაწყდა, რომ ძეგლს უფასოდ გადმოგვცემდა, რაშიც დიდი როლი ითამაშა ჩემმა მეგობარმა, იმხანად მოსკოვში მცხოვრებმა **გურამ მგელაძემ.** ასევე დამპირდა, რომ საბაჟო გადასახადს, რომელიც საკმაოდ სოლიდური თანხა იყო, თვითონ გადაიხდიდა, ამასთანავე, თვითონვე გააკეთებდა ქანდაკების საძირკველსა და მონტაჟს, ოღონდ მითხრა, გორის მუნიციპალიტეტიდან წერილი ჩამომიტანე, რომ ძეგლს ღირსეულ ადგილზე დადგამენ და დაიცავენო. გორის გამგეობაში განმიცხადეს, რომ სტალინის სახელმწიფო მუზეუმი, თავისი მიმდებარე პარკით, კულტურის სამინისტროს ეკუთვნის და მათ არ აქვთ უფლება, განკარგონ სხვისი მიწა. მაშინ მოვთხოვე, თქვენს კუთვნილ მიწაზე მომეცით ქანდაკების დადგმის უფლება და დაცვის გარანტია-მეთქი. პასუხად მივიღე, — ზემდგომის გარეშე ვერც ამას მოგცემთო. მე გაბრაზება ვერ დავმალე, მაგრამ... ყოველივე დაწვრილებით მივწერე ბატონ ზურაბ წერეთელს და მადლობა გადავუხადე გულუხვობისა და თანადგომისთვის. ასე ჩამეშალა ჯერ სტალინის გადმოსვენების ამბავი ელცინის მმართველობის პერიოდში და მერე ნაჩუქარი ქანდაკების ჩამოტანა ქალაქ გორში. ყველაფერზე ხელი ჩავიქნიე და გორელებს განვუცხადე — აგერ თქვენი გორი და აგერ თქვენი სტალინი-მეთქი. გავიდა დრო. ყირიმის ნახევარკუნძულის რუსეთისთვის დაბრუნებიდან ერთ თვეში სტალინი, რუზველტი და ჩერჩილი, ანუ ქანდაკება „დიდი სამეული“ სპეცვაგონით გაემგზავრა იალტაში, საიდანაც დღესაც უმზერენ, ალბათ, რუზველტისათვის ესოდენ საყვარელ შავი ზღვის სანაპიროს... და აი, მომეცა ჩემი ოცნების ასრულების კიდევ ერთი რეალური შანსი. კიდევ ერთხელ შევედი იმ მდინარეში, რომლიდანაც, მეგონა, საბოლოოდ ვიყავი გამოსული. **მინდა, განვახორციელო პროექტი, რომელიც ითვალისწინებს გორის ციხეზე „გორიწმინდის“ აშენებას — სტალინის, კეკეს, სვიმონ მეფის, იაკობ გოგებაშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟას გადასვენებას გორის ციხეზე, რადგან მთაწმინდა აღარ არის წმინდა მთა; დავითისა და თამარის სიმბოლური საფლავების აღმართვას, გრანდიოზული ექსკალატორებითა და საბაგირო გზებით სტალინის სახლ-მუზეუმის დაკავშირებას გორიწმინდასთან. გორის ცენტრალურ მოედანზე კი „სტალინური ვისოტკის“ (მაღლივი) აშენებას თავისი ინფრასტრუქტურით. სტალინის ვაგონისთვის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის გაყვანას სტალინის სახლ-მუზეუმიდან გორიწმინდამდე, მსგავსად ბარსელონის საოცრებისა, ხოლო ტირიფონის ველზე სტალინის სახელობის საერთაშორისო აეროპორტის აშენებას. ვფიქრობდი, გორს სახელი შეცვლოდა და სტალინგრადი დარქმეოდა.** 1941 წლის 3 ივლისს, ომის დაწყების შემდეგ, სტალინმა პირველად მიმართა ხალხს რადიოთი. 80 წლის შემდეგ, 2021 წლის 3 ივლისს, გორის თეატრში მოსახლეობა მოვიწვიე, რათა გამეცნო „გორიწმინდის“ გრანდიოზული პროექტი მათთვის, მაგრამ გორელებმა პროტესტით მიპასუხეს... და, თუ ვინმე დაწინაურებული გორელი გამომეხმაურება, რომ მან ეს არ იცოდა, განვუმარტავ: წინა დღით მე დიდგორელებთან ერთად გორელების საამაყო შვილის, **გიორგი კანდელაკის,** გარდაცვლილი დედის ხსოვნის სადღეგრძელო შევსვი, შემდეგ კი სამძიმარზე სოფელ ვარიანში ავედით, სადაც უამრავმა ხალხმა გვნახა და გაიგო, რომ მეორე დღეს მათთან შეხვედრას ვმართავდი. მაგრამ თქვენ, გორელებო, პრინციპულად არ გამოხვედით და თავკერძობა გამოიჩინეთ. როდესაც, გაღიზიანებულმა, შეხვედრის ორგანიზატორებს ვუსაყვედურე, მათ დარბაზში ხალხის მცირე რაოდენობა იმით გაამართლეს, რომ ადამიანების მოსაყვანად, თურმე, ფული (!) უნდა დამერიგებინა. გორელებო, მეტი არ ჭამოთ არაფერი, სანამ თქვენი ქალაქის აღმშენებლობისათვის ფულს დაგირიგებთ. ასე დავამთავრე პირველ დღესვე ჩემი დაწყებული „გორიწმინდის“ საქმე და მეორე დღეს, როდესაც გავიღვიძე და საქმე უკვე აღარაფერი მქონდა, მძიმედ, მაგრამ სიამოვნებით ამოვისუნთქე... გავთავისუფლდი.



ზურაბ წერეთლის სკულპტურა „ დიდი სამეული“ იალტაში

«ჩვენ დღეს დამოუკიდებელ და თავისუფალ გარემოში კი არ ვცხოვრობთ, არამედ გაუცხოებულ კოლბაში ვზივართ, სადაც ჰაერს იმდენს გვაწოდებენ, რამდენიც მინიმალურად გაბერავს ფილტვებს. მათ ხელშია ჩვენი სიცოცხლის ხანგრძლივობა, ისინი ადგენენ ჩვენს სადღესასწაულო დღეებს, მათი წესით უნდა დავმარხოთ მკვდარი, მათი წესით უნდა გავაჩინოთ და გავზარდოთ ბავშვი, მათ ენაზე და მათ წიგნებზე უნდა ისწავლოს ჩვენმა ახალგაზრდობამ»



ბედაურთან

**— ამის შემდეგ კიდევ განაგრძობთ პარტიულ მუშაობას?**

— გორში პარტიული მუშაობის დასაწყებად არ ჩავსულვარ. მე იქ ჩავედი მოსახლეობისთვის გორის რაიონისა და ქალაქ გორის ტურისტულ ცენტრად გადაქცევის პროექტის გასაცნობად, რომელიც, საზოგადოდ, როგორც „გაბედული პროექტი“, ისე განიხილება და სწორედ ეს პროექტი მინდოდა განმეხილა მოსახლეობასთან, მაგრამ ეს მათ რატომღაც არ ისურვეს; მე ამ პროექტში გადამწყვეტი როლი უნდა მეთამაშა, მაგრამ, თუ ამ პროექტს სხვა გორელები თავს მოაბამენ, გამი- ▶

„სტალინი, თითქოს, ჩვენს დღევანდელობაზე საუბრობს. იქ, სადაც გამეფებულია უმუშევრობა, სიღარიბე, ადამიანებს სტალინის მიერ მიცემული ბინებიდან ყრიან, რომელ თავისუფლებაზეა ლაპარაკი?! პენსიონერი, თუ ის თავისი მანქანით მოძრაობს, ერთ დღეში იმდენ სხვადასხვაგვარ მოგონილ ჯარიმას მიიტანს შინ, რომ ერთი თვის პენსია ჯარიმების გადასახდელად არ ეყოფა“.

## აქტუალური ინტერვიუ

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## გრიგოლ ონიანი 85 წლისაა!



საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის“ თავმჯდომარესა და „XX საუკუნის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის“ დამფუძნებელ გრიგოლ ონიანს 25 ივლისს 85 წელი შეუსრულდება!

ბატონ გრიგოლს, დღენიადაგ მშრომელ, მრავალჭირვარამგამოვლილ, პრინციპულ, ღირსებებით აღსავსე პიროვნებას, დიდთან დიდს, პატარასთან პატარას, ვულოცავთ 85 წლის იუბილეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და ძველებური შემართებით საქმიანობას ქვეყნის საკეთილდღეოდ!

„საქართველო და მსოფლიოს“ რედაქცია



ზურაბ წერეთლის გალერეაში

◀ ხარდება. გალაკტიონს უთქვამს:

**„ყოველ ახალ გამარჯვების შემდგომ წესად შემოვიღე, აღტაცებით შემოვძახო: ეგ არის და გორის ციხე!“**

**— რას ფიქრობთ ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაზე. ჩატარდება თუ არა რიგგარეშე არჩევნები?**

— არა. ირაკლი ღარიბაშვილმა ისეთი მუხტი შეიტანა საზოგადოების აზროვნებაში, რომ ქვეყანა გადარჩება და ქართველი გადარჩება, როგორც ერი.

**— ირაკლი ღარიბაშვილის გარეშე რომ გადარჩენილიყო საქართველო, ერი აღარ ვიქნებოდით?**

— არა! როგორც ერი, არ ვიქნებოდით. ერს თავისი პოსტულატები გააჩნია, რომლებიც სტალინმა ჯერ კიდევ 1913 წელს ჩამოაყალიბა ავსტრიაში, ქალაქ ვენაში და იმ შენობას დღესაც დიდი აბრა ამშვენებს წარწერით: „ამ სახლში 1913 წელს ცხოვრობდა ი.ბ. სტალინი, რომელმაც დაწერა გენიალური ნაშრომი „ნაციონალურ საკითხებზე“. საქმე ისე მიდიოდა, რომ ქართული ენა, როგორც რუსეთს უნდოდა ჩაეწერა საქართველოს კონსტიტუციაში, საყოველთაო ენა უნდა ყოფილიყო; ამჟამად კი, **მამაჩემი რომ წამოდგეს საფლავიდან და თბილისის ქუჩებში გაიაროს, ვერაფერს მიაგნებს და ვერაფერს იყიდის, რადგან ის საქართველო აღარ დახვდება, რომელიც დატოვა — „არის ავტო, არის ველო, ეს არ არის საქართველო“.** ჩვენ ერის ამ დამახასიათებელ ნიშანს დავემშვიდობეთ. თუ ინგლისურად არ საუბრობთ, არ წერთ და არ კითხულობთ, ნუ დაეძებთ სამსახურს — არავინ მიგიღებთ. ერს კი თავისი ენა სჭირდება. თავისი ენის გარეშე ერი არ არსებობს. **ქრისტიანობის, ეკლესიის ძალისხმევით გამოატარა მრავალტანჯულმა ქართველმა ხალხმა თავისი ქვეყანა საუკუნეების ქარტეხილებს. დღეს სარწმუნოებას გვართმევენ, პატრიარქს გვილანძღავენ, ეკლესიას გვიბილწავენ. კი ცდილობენ, მაგრამ ვფიქრობ, ვერ წაგვართმევენ.** ევროპამ და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საქართველო წააქეზეს და რუსეთს დაატაკეს. ამან ჩვენი ქვეყანა კატასტროფამდე მიიყვანა — მიწები დავკარგეთ, მორალურად და ფიზიკურად გავნადგურდით. ახლა კი კვლავ საზღვარგარეთელი „მოკეთეების“ რჩევით მივადექით და არაკაცური, არაეთიკური, ილეთებით გვინდა მტრისთვის პასუხის გაცემა. უკანალს ისინი უნდა გვიშვერდნენ ჩვენი მუქარის საპირისპიროდ, რომელსაც ე.წ. სტრატეგიული მეგობარი ამერიკისა და „ბებერი ევროპის“ წაქეზებით გამოვხატავთ, რის გამოც უფრო და უფრო გვიტევენ და მიწებს გვართმევენ, ჩვენ ვტრაბახობთ: „რუსებს ნიღაბი ჩამოვხსენითო“, მაგრამ, შარვლები რომ ჩაგვხადეს, ამაზე არაფერს ამბობენ. ყოველივე ამას ლიბერალები იმით ამართლებენ, რომ თავისუფლები ხომ ვართო. სტალინი ასე უპასუხებდა ამ უსუსურ არგუმენტს: **„ძნელად წარმომიდგენია ადამიანის „პირადი თავისუფლება“, როდესაც ის უმუშევარია, რომელიც მშიერი დადის და ვერ ხედავს თავისი შრომის ნაყოფს. ნამდვილი თავისუფლება არის მხოლოდ იქ, სადაც მოსპობილია ჩაგვრა, სადაც არ არის უმუშევრობა და სილატაკე, სადაც ადამიანს არ ეშინია, რომ ხვალ უმუშევარი დარჩება, დაკარგავს საცხოვრებელს და ლუკმაპურს. მხოლოდ ასეთ საზოგადოებაში შეიძლება ნამდვილი, და არაქაღალდზე დაწერილი, პირადი და ყოველგვარი სხვა თავისუფლება“** („ეკონომიკური პრობლემები სსრკ-ში“, ი. სტალინი. 1952 წელი).

სტალინი თითქოს, ჩვენს დღევანდელობაზე საუბრობს. იქ, სადაც გამეფებულია უმუშევრობა, სიღარიბე; ადამიანებს სტალინის მიერ მიცემული ბინებიდან ყრიან რომელ თავისუფლებაზეა ლაპარაკი?! პენსიონერი, თუ ის თავისი მანქანით მოძრაობს, ერთ დღეში იმდენ სხვადასხვაგვარ მოგონილ ჯარიმას მიიტანს შინ, რომ ერთი თვის პენსია ჯარიმების გადასახდელად არ ეყოფა. **„რი თავისუფლება, რა თავისუფლება?!“ — იტყვის კახელი გლეხი. იმერელი კი შეჰკივლებს: „მაგან არ მომკლა!“ „როგორც ჩანს, მაგ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ქვა ქვაზე აღარ დარჩება, ძამა“, — გადაიხარხარებს გურული; „ეიჟი სგობდუ ემჩედხ ალიარ“ (ისე წაღმა იარონ ამათმა),**— ჩაიბურდღუნებს სვანი; **„ძლივს გაქართველებულები კვლავ არ გაგვათათრეს ამათმა, ჯო?“** — იტყვის აჭარელი. ადრე რომ ამბობდა, „აჭარელი წყალს არ დალევს, სტალინი, რომ არ ახსენოს“.

**— აბა, როგორ უნდა ვიცხოვროთ, რა გზას დავადგეთ?**

— მე ამის თქმის არც ცოდნა გამაჩნია და არც უფლება. ხალხის ცხოვრების სწორ გზას 400 წელი ეძებდნენ მსოფლიოს მოწინავე ადამიანები და, ბოლოს, ჩამოაყალიბეს თეორია თანასწორუფლებიანობისა და სოციალური თანასწორობის შესახებ, რომელსაც სოციალიზმი უწოდეს. გერმანელმა ინტელექტუალმა და საზოგადოებაზე მოფიქრალმა **კარლ კაუცკიმ** თქვა: **კაცობრიობის საბოლოო მიზანი საოციალიზმიაო.**

**— სოციალიზმი გვქონდა და ჩვენვე დავანგრიეთ, ესე იგი, ის არ ყოფილა საბოლოო მიზანი.**

— სოციალიზმი ჩვენ არ დაგვინგრევია. **სოციალიზმი დაანგიეს ეშმაკობასა და გაიძვერობაში გაწაფულმა მასონებმა, რომლებმაც უფასო ყველი ჩადეს ხაფანგში და მოხერხებულად დახურეს უმსხვერპლოდ. ყველი კი, ის დიდი ყველი, რომელიც ერთიანად ნაწილდებოდა დედამიწის 1/6-ზე, სამოციოდე კაცმა გაინაწილა. დღეს მსოფლიოს საარსებო ნედლეულისა და ფინანსური წყაროების 2/3-ს სწორედ 60 მულტიმილიარდერი განაგებს. მულტიმილიარდერების რიცხვს მხოლოდ პანდემიის ერთ-ნახევარი წელიწადის განმავლობაში 11 ადამიანი შეემატა, ხოლო პლანეტის მოსახლეობის 2/3 შიმშილის ზღვარზეა მისული.**

მასონთა ურდოებმა მოსყიდული საბჭოთა ადამიანების ხელით სტალინი ჯერ მოკლეს, შემდეგ მის მიერ შექმნილი ქვეყანა და სიმდიდრე საბჭოთა ხალხს მუქთად ჩააბარებინეს მილიარდერთა განძთსაცავებში.

**— და ვის მიუძღვის ბრალი ყოველივე ამაში?**

— მე, შენ, მას — ყველას. ისევე, როგორც 30 წლის წინათ, დღესაც ქვეყნის დანგრევასა და გაპარტახებას ტაშითა და შეძახილებით ვხვდებით: გაუ-მარ-ჯოს! ჯოს! ჯოს!

**ჩვენ დღეს დამოუკიდებელ და თავისუფალ გარემოში კი არ ვცხოვრობთ, არამედ გაუცხოებულ კოლბაში ვზივართ, სადაც ჰაერსაც იმდენს გვაწოდებენ, რამდენიც მინიმალურად გაბერავს ფილტვებს. მათ ხელშია ჩვენი სიცოცხლის ხანგრძლივობა, ისინი ადგენენ ჩვენს სადღესასწაულო დღეებს, მათი წესით უნდა დავმარხოთ მკვდარი, მათი წესით უნდა გავაჩინოთ და გავზარდოთ ბავშვი, მათ ენაზე და მათ წიგნებზე უნდა ისწავლოს ჩვენი ახალგაზრდობა.** ახლა გამოაკრან არაფორმალებმა საბავშვო ბაგა-ბაღებში: „აშშ — კაკა, სსრკ — ყაყა“.

თვალი დაუდგეს უკან მაყურებელ კაცსო, — ამბობდა სტალინი. მაშ, დავიჯეროთ, ამქვეყანად არ დაბადებულა კაცი, წინ ყურება რომ შეეძლოს და ეს უმსგავსოება დაინახოს?

ინტერვიუ კი **უილიამ შექსპირის** 66-ე სონეტით დავასრულოთ:

**„ყველაფრით დაღლილს სანატრელად სიკვდილი დამრჩა,**
**რადგან მათხოვრად გადაიქცა ახლა ღირსება,**
**რადგან არარამ შეიფერა ძვირფასი ფარჩა,**
**რადგან სიცრუე ერთგულების გახდა თვისება,**
**რადგან ულირსებს უსამართლოდ დაადგეს დაფნა,**
**რადგან მრუშობით შელახულა უმანკოება,**
**რადგან დიდებას სამარცხვინოდ უთხრიან საფლავს,**
**რადგან ძლიერი დაიმონა კოჭლმა დროებამ.**
**რადგან უწმინდეს ხელოვნებას ასობენ ლახვარს,**
**რადგან უვიცი და რეგვენი ბრძენობს ადვილად,**
**რადგან სიმართლე სისულელედ ითვლება ახლა,**
**რადგან სიკეთე ბოროტების ტყვედ ჩავარდნილა.**
**ასე დაღლილი ამ ქვეყნიდან გაქცევას ვარჩევ,**
**მაგრამ არ მინდა, ჩემი სატრფო ობლად რომ დარჩეს“.**



პირამიდებთან




**«ჩემთვის ნამდვილი აღმოჩენა იყო გამოფენის ცენტრალურ ნაწილში აღმართული სტალინის, რუზველტისა და ჩერჩილის ქანდაკება — «დიდი სამეული». ბატონმა ზურაბ წერეთელმა შემატყო, რომ ქანდაკებამ უკიდურესად აღმაფრთოვანა. მომიახლოვდა და მითხრა: «გრიშა, ეს ქანდაკება მივუძღვენი იალტის კონფერენციის 50 წლისთავს, უკრაინის ხელისუფლებამ უარი თქვა ქანდაკების ლივადიის სასახლეში განთავსებაზე და შემორჩა გალერეას»**

## ყურადღება!

„ბიბლუსის“ მაღაზიათა ქსელში შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის“ თავმჯდომარის, ბატონ გრიგოლ ონიანის წიგნ „სტალინის“ მე-6 ტომი, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის შესახებ.

მათი ძალლისმვილები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1823 წელს მონროს დოქტრინის („ამერიკა ამერიკელებისთვის“) შემუშავების შემდეგ ლათინურ ამერიკაში აშშ-ის საზღვაო ქვეითები, არმია, სამხედრო-საზღვაო ძალები, გამოძიების ფედერალური ბიურო და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო არანაირ საზღვრებს არ აღიარებენ და ისე მოქმედებენ, როგორც საკუთარ ბოსტანში.**

# პირველი პირები, რომლებიც ამერიკელებმა სიცოცხლეს გამოასალმეს

**პრეზიდენტობა ყველა ქვეყანაში სახიფათო თანამდებობაა, სასიკვდილოდ სახიფათო, განსაკუთრებით ცენტრალური ამერიკის ქვეყნებში, რომლებსაც, კუბასა და ნიკარაგუის გარდა (ამ ქვეყნებს ძვირად დაუჯდათ თავიანთი სუვერენიტეტი), აშშ მართავს და რომლებშიც ძია სემი თავიდან იშორებს პატრიოტ ლიდერებსა და უკვე მძიმე ტვირთად ქცეულ თავის ყოფილ ფავორიტებს. ამის ბოლო მაგალითია ჰაიტის პრეზიდენტი ჟოვენელ მოიზი, რომელიც რამდენიმე დღის წინათ მოკლეს. არის კი ის ბოლო?**




ჰაიტის პრეზიდენტი **ჟოვენელ მოიზი** 7 ივლისს, ღამით, თავის რეზიდენციაში მოკლა (ჰაიტის პრემიერის განცხადებით, ჟოვენელ მოიზი სიკვდილის წინ აწამეს) ინგლისურ და ესპანურ ენაზე (ჰაიტზე გავრცელებულია ფრანგული და კრეოლური ენები) მოლაპარაკე 28 დაქირავებულმა, მათგან 2 ამერიკის მოქალაქეა (წარმოშობით ჰაიტელი), მკვლელებს აშშ-ის ნარკოტიკებთან ბრძოლის სააგენტოს ფორმა ეცვათ. დაქირავებული მკვლელებიდან რამდენიმე ლიკვიდირებულია, რამდენიმე — დაკავებული, მაგრამ მსოფლიო, ალბათ, ვერასოდეს შეიტყობს, ვინ დაიქირავა ისინი, მაგრამ ვის აძლევდა ხელს ეს მხეცური მკვლელობა, ნათლად იკვეთება.

ჰაიტიზე აშშ-ის სანქციის გარეშე სერიოზული არაფერი ხდება, ხოლო ვაშინგტონი, როგორც ცნობილია, ძალიან უკმაყოფილო იყო ხელისუფლების სათავეში 2017 წელს მოსული ჟოვენელ მოიზით, რომელიც მანამდე, სულ ცოტა, ერთ თავდასხმას უკვე გადაურჩა.

**ეკონომიკის მდგომარეობა და პოლიტიკური ტრადიციები ღატაკ ქვეყანაში ისეთი საშინელია და ჭუჭყი ისე სწრაფად ედება ადგილობრივ პოლიტიკოსებს, რომ ისინი, ვაშინგტონის აზრით, ხშირად უნდა შეიცვალონ. რომელიმე „დიქტატორმა“ და კორუფციონერმა ხომ უნდა აგოს პასუხი მზარდ სიღარიბესა და აგრესიაზე ქვეყანაში, რომელიც აშშ-ის გვერდითაა?!**

2020 წელს აშშ-ის პრეზიდენტმა **დონალდ ტრამპმა** ჰაიტის პრეზიდენტს მოუწოდა, რაც შეიძლება სწრაფად დაენიშნა ახალი არჩევნები. ამ მოწოდებამ რომ არ გაჭრა, ხალხი აამოქმედა. პასუხად ამა წლის 23 თებერვალს ჰაიტის ხელისუფლებამ 23 კაცი დააპატიმრა, მათ შორის უზენაესი სასამართლოს მოსამართლე და მაღალჩინოსანი პოლიციელი. ისინი სახელმწიფო გადატრიალებისა და პრეზიდენტ მოიზზე თავდასხმის მოწყობის მცდელობაში დაადანაშაულეს. ასე რომ, ექსპერტთა აზრით, **ბაიდენის ადმინისტრაციამ, უბრალოდ, დაასრულა ფავორიტობადაკარგული ჰაიტის პრეზიდენტის თავიდან მოშორების ოპერაცია. მალე ჰაიტს ეყოლება ახალი პრეზიდენტი, რომელიც 2-3 წლის შემდეგ, სავარაუდოდ, ანალოგიურად დაასრულებს თუ ვაშინგტონს არ დაემორჩილება.** თუ დაემორჩილება და შეეცდება, ბინძური სამუშაოს შესრულებას აშშ-ის ინტერესების სასარგებლოდ, სიბინძურეში ჩაფლობის პროპორციულად დაიწყება მისი კომპრომეტაცია; მაგრამ თუ შეეცდება, რაღაც გააკეთოს თავისი ქვეყნისთვის და არა ამერიკელების სასარგებლო, ჩათვლიან, რომ მისი პრეზიდენტობა შეცდომა იყო, რომელიც გამოსასწორებელია. **ორივე შემთხვევაში საბოლოო შედეგი ერთი და იგივეა. ასეთია თამაშის წესები.**

## თავიანთ პრეზიდენტებსაც არ ინდობენ

ამერიკელები თავიანთ პრეზიდენტებსაც არ ინდობენ, თუკი მათ რაღაც ისე არ გააკეთეს, როგორც სურდა ისტებლიშმენტს ან მის გავლენიან ნაწილს.

* 1865 წელს შეთქმულების შედეგად, რომელიც მოგვიანებით მარტოხელა პირის ქმედებად მონათლეს, თეატრში მოკლეს აშშ-ში სამოქალაქო ომის გამჩაღებელი და ამ ომში ჩრდილოეთის გამარჯვების უზრუნველმყოფელი **აბრაამ ლინკოლნი;**

* 1881 წელს მძიმედ დაჭრეს პრეზიდენტი **ჯეიმს გარფილდი,** რომელიც ორთვე-ნახევრის შემდეგ გარდაიცვალა საეჭვო და აღმაშფოთებლად არაკომპეტენტური მკურნალობით;

* 1901 წელს მოკლეს პროტექციონიზმის მომხრე პრეზიდენტი **უილიამ მაკინლი,** რომელიც, მკვლელის თქმით, „კარგი ადამიანების მტერი“ აღმოჩნდა;

* 1945 წელს ძალიან საეჭვო გარემოებებში, იმ მომენტში, როდესაც მსოფლიოს ბედი წყდებოდა, მოკვდა პრეზიდენტი **ფრანკლინ რუზველტი.** ოფიციალური ცნობით, ის პოლიემიელიტით გამოწვეული ტვინში სისხლის ჩაქცევით გარდაიცვალა; არაოფიციალურად კი, აშშ-ის პრეზიდენტი მოწამლეს. აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტი დახურული კუბოთი დამარხეს;

* 1963 წელს ტეხასის შტატის ქალაქ დალასში კიდევ ერთი პრეზიდენტი გამოასალმეს სიცოცხლეს — დემონსტრაციულად, მსოფლიოს თვალწინ. **ჯონ კენედი** აღმოჩნდა ამერიკის ელიტის მასშტაბური შეთქმულების მსხვერპლი, რომელსაც ვიცეპრეზიდენტი **ლინდონ ჯონსონი** ხელმძღვანელობდა.

ამ მკვლელობის ორგანიზატორებიდან დღემდე არავინ დასჯილა;

* 1981 წელს მძიმედ დაჭრეს **რონალდ რეიგანი,** ის ექიმებმა გადაარჩინეს.

**1963 წელს ტეხასის შტატის ქალაქ დალასში კიდევ ერთი პრეზიდენტი გამოასალმეს სიცოცხლეს, დემონსტრაციულად, მსოფლიოს თვალწინ. ჯონ კენედი აღმოჩნდა ამერიკის ელიტის მასშტაბური შეთქმულების მსხვერპლი, რომელსაც ვიცეპრეზიდენტი ლინდონ ჯონსონი ხელმძღვანელობდა**


ჟოვენელ მოიზი

## როგორ ამცირებს აშშ ლათინურ ამერიკას

**1823 წელს მონროს დოქტრინის („ამერიკა ამერიკელებისთვის“) შემუშავების შემდეგ ლათინურ ამერიკაში აშშ-ის საზღვაო ქვეითები, არმია, სამხედრო-საზღვაო ძალები, გამოძიების ფედერალური ბიურო და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო არანაირ საზღვრებს არ აღიარებენ და ისე მოქმედებენ, როგორც საკუთარ ბოსტანში.**

ამერიკელთა სიხარბე, აგრესიულობა და მზაკვრობა პირველმა თავის თავზე გამოსცადა ესპანეთისგან გათავისუფლებულმა მექსიკამ, რომლის ტერიტორიაც აშშ-თან გამართული რამდენიმე ომის შემდეგ განახევრდა (!). ამჟამად აშშ-ის შემადგენლობაში არსებული შტატები — **ტეხასი, კალიფორნია, ნიუ-მექსიკო, არიზონა, ნევადა და იუტა** — ოდესღაც მექსიკას ეკუთვნოდა. აშშ-ს თავისი საზღვაო ქვეითები არაერთხელ გადაუსხამს ლათინური ამერიკის „ბანანის“ რესპუბლიკებში იქ „მოღვაწე“ ჩრდილოამერიკელი ვაჭრებისა და დიპლომატებისთვის მკვიდრი მოსახლეობის მხრიდან „კომპენსაციის“ გადახ- ▶


ჯონ კენედის მკვლელობა


აბრაამ ლინკოლნის მკვლელობა

## ამერიკელთა სიხარბე, აგრესიულობა და მზაკვრობა პირველმა თავის თავზე გამოსცადა ესპანეთისგან გათავისუფლებულმა მექსიკამ, რომლის ტერიტორიაც აშშ-თან გამართული რამდენიმე ომის შემდეგ განახევრდა(!). ამჟამად აშშ-ის შემადგენლობაში არსებული შტატები — ტეხასი, კალიფორნია, ნიუ-მექსიკო, არიზონა, ნევადა და იუტა — ოდესღაც მექსიკას ეკუთვნოდა.



www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ დაზე უარის თქმის გამო. ლათინური ამერიკის ქვეყნებს, უკვე 200 წელიწადია, ექსპლუატაციას უწევს აშშ. ამ ქვეყნებში გამეფებული სიღატაკე აშშ-ის იმპერიალისტური პოლიტიკის პირდაპირი შედეგია. ხოლო, როცა რეგიონში ვიღაც შეეცდებოდა ამერიკული კორპორაციების მადის შეზღუდვას, აშშ-ის საზღვაო ქვეითების გადასხმა და სახელმწიფო გადატრიალება არ აყოვნებდა, თუ ამის გაკეთებას აშშ-ში გაწვრთნილი და განსწავლული ადგილობრივი „სიკვდილის ესკადრონები" ვერ შეძლებდნენ. აშშ ხშირად ცდილობდა რეგიონში სამოქალაქო ომის პროვოცირებას, შედეგად სისხლის ტბები დგებოდა. ასე მოხდა, მაგალითად, სამხედრო გადატრიალებისას ჩილეში 1973 წელს, როცა **პინოჩეტიმ** დაამხო პრეზიდენტ **სალვადორ ალიენდეს** ხელისუფლება, თვითონ პრეზიდენტი კი სიცოცხლეს გამოასალმა. ამ გადატრიალებამ, ექსპერტთა აზრით, 30 ათასამდე ჩილელის სიცოცხლე შეიწირა.

### ლიკვიდაციის „ალგორითმი"

ყველა მოკლულ პრეზიდენტსა და მკვლელობის ისტორიაზე, რა თქმა უნდა, ვერ ვილაპარაკებთ, გავიხსენებთ მხოლოდ ყველაზე გახმაურებულ შემთხვევებსა და დამახასიათებელ „ალგორითმებს".

მოკლულები ორ ძირითად კატეგორიად იყოფა:

**პირველი** — ისინი, ვინც ვაშინგტონისთვის მოულოდნელად თავისი ქვეყნის პატრიოტები აღმოჩნდნენ და ამით ხელი შეუშალეს აშშ-ის მტაცებლურ პოლიტიკას;

**მეორე** — ამერიკელთა ბრძანებების თავგამოდებით შემსრულებლები, რომლებიც რაღაც მომენტში ამერიკის კომპრომეტაციის მიზეზად იქცნენ. მათმა ნაწილმა, „დამსახურებების მქონემ", დროთა განმავლობაში საკუთარი თამაში ჩამოიწყო, რაც, ამერიკელთა აზრით, დაუშვებელია და აუცილებლად უნდა დაისაჯოს.

აქ არ შევუდგებით განხილვას იმ შემთხვევებისა, როცა ლაპარაკი იყო პრეზიდენტის მოწამვლაზე, „კიბოს ეპიდემიაზე", რომელმაც აშშ-ისთვის მიუღებელი რამდენიმე ლათინოამერიკელი ლიდერი შეიწირა. ამის დამტკიცება რთული საქმეა, მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ კუბის აწ გარდაცვლილ ლიდერ **ფიდელ კასტროზე** 50-მდე თავდასხმა (ვიკიპედიაში ლაპარაკია 100-მდე თავდასხმაზე — ნ.კ.) განხორციელდა — ყველა უშედეგოდ.

### როგორ კლავდნენ პატრიოტ ლიდერებს

ამის აღმაშფოთებელი მაგალითია 1954 წელს აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დაქირავებულების მიერ გვატემალის პრეზიდენტ **ხაკობო არბენსის** დამხობა, რომელიც ცდილობდა ქვეყანაში მიწის რეფორმის გატარებასა და ნაციონალიზაციას მიწის მფლობელებისთვის სამართლიანი კომპენსაციის გადახდის გზით. გვატემალის მიწის მფლობელთა შორის კი იყო ქვეყანაში გაბატონებული ამერიკული კომპანია United Fruit Company, რომელსაც ვაშინგტონში გავლენიანი ლობისტები ჰყავდა. კომპანიის თანამფლობელი იყო აშშ-ის იმჟამინდელი სახელმწიფო მდივანი **ჯონ ფოსტერ დალესი,** ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორ **ალენ დალესის** ძმა.

** აშშ ხშირად ცდილობდა რეგიონში სამოქალაქო ომის პროვოცირებას, შედეგად სისხლის ტბები დგებოდა. ასე მოხდა, მაგალითად, სამხედრო გადატრიალებისას ჩილეში 1973 წელს, როცა პინოჩეტიმ დაამხო პრეზიდენტ სალვადორ ალიენდეს ხელისუფლება, თვითონ პრეზიდენტი კი სიცოცხლეს გამოასალმა. ამ გადატრიალებამ, ექსპერტთა აზრით, 30 ათასამდე ჩილელის სიცოცხლე შეიწირა**


ხაკობო არბენსი


ომარ ტორიხოსი


მანუელ ნორიეგა


რიჩარდ ნიქსონი და ტრუხილიო

*** გვატემალის პრეზიდენტმა ხაკობო არბენსმა დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარება დაიწყო. ამან გამოიწვია ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დაქირავებულთა შეჭრა გვატემალაში, დაბომბვები და არბენსის გაძევება ქვეყნიდან. ამ მოვლენებმა ქვეყანა ჩაითრია სამოქალაქო ომში, რომელმაც 140 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. 1971 წელს გვატემალის პრეზიდენტი, რომელსაც მსოფლიოში ხეტიალი მოუწია, მექსიკაში, საავადმყოფოში გარდაცვლილი იპოვეს — სპეცსამსახურების ტიპური ხელწერა.**

* პანამის ლიდერი **ომარ ტორიხოსი,** არმიის სარდალი და 1968-1981 წლებში ამ ქვეყნის დე ფაქტო მმართველი, პატრიოტი პოლიტიკოსის შესანიშნავი მაგალითია. მან იცოდა, რომ ბუნებრივი სიკვდილი არ ეწერა: „მას, ვინც აპირებს, ცხოვრება მიუძღვნას სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლას, კარგად უნდა აწონ-დაწონოს თავისი არჩევანი. მან უნდა გააცნობიეროს, რომ შეიძლება სიბერით ვერ მოკვდეს ლოგინში. გენერალმა ტორიხოსმა იცის, რომ მოკვდება ძალადობრივი სიკვდილით... მე ეს ვიცი, მე ეს არ მაშინებს"... სახელმწიფო გადატრიალების რამდენიმე წარუმატებელი მცდელობის შემდეგ ასეც მოხდა: **გენერალმა ტორიხოსმა უარი განაცხადა ამერიკელებისთვის სამხედრო ბაზის არენდის გაგრძელებაზე და ამერიკელებს მოსთხოვა, ქვეყნიდან გაეწვიათ „მშვიდობის კორპუსის" მოხალისეები. ტორიხოსმა მიაღწია აშშ-თან ხელშეკრულების გაფორმებას პანამის არხის პანამის იურისდიქციაში დაბრუნების შესახებ, წარმატებით ავითარებდა ქვეყნის ეკონომიკასა და ფინანსურ სისტემას, პირველმა შემოიღო საყოველთაო დაწყებითი განათლება, ჩაატარა სამართლიანი აგრარული რეფორმა, შექმნა ჯანდაცვის შესანიშნავი სისტემა, დააწესა მინიმალური ხელფასი მრეწველობაში, მე-13 ხელფასი, აკრძალა დაუსაბუთებელი გათავისუფლება სამუშაო ადგილიდან, დაიწყო საცხოვრებელი სახლების მასობრივი მშენებლობა დაბალშემოსავლიანი მოსახლეობისთვის.** გენერალმა კავშირი დაამყარა საბჭოთა კავშირთან, კუბასთან. ასეთი პოლიტიკა კი ვაშინგტონისთვის, რა თქმა უნდა, მიუღებელი იყო.

**გვატემალის პრეზიდენტმა ხაკობო არბენსმა დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარება დაიწყო. ამან გამოიწვია ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დაქირავებულთა შეჭრა გვატემალაში, დაბომბვები და არბენსის გაძევება ქვეყნიდან. ამ მოვლენებმა ქვეყანა ჩაითრია სამოქალაქო ომში, რომელმაც 140 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. 1971 წელს გვატემალის პრეზიდენტი, რომელსაც მსოფლიოში ხეტიალი მოუწია, მექსიკაში, საავადმყოფოში გარდაცვლილი იპოვეს — სპეცსამსახურების ტიპური ხელწერა**

### როგორ კლავდნენ ამერიკის „ძაღლიშვილებს"

საინტერესოა, რომ ამ „მიმართულების" პირველი მსხვერპლი იყო პანამის ლიდერი **მანუელ ორიეგა** — აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ძველი აგენტი, რომელმაც ამერიკელებს ბევრჯერ გაუწია სამსახური. ამასთანავე, დროთა განმავლობაში დაიწყო თავისი თამაში. ამის გამო 1989 წელს აშშ-ის მასშტაბური და სისხლისმღვრელი სამხედრო ინტერვენციის შედეგად დაამხეს, შემდეგ კი ამერიკის სასამართლომ (!) 40 წლით აღუკვეთა თავისუფლება ნარკოტიკებით ვაჭრობისა და გამოძალვის ბრალდებით, მაგრამ აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან ხანგრძლივი თანამშრომლობის გათვალისწინებით, პატიმრობა 30 წლამდე შეუმცირეს. ნორიეგა 2017 წელს გარდაიცვალა საპყრობილეში.

* მიუღებელი პრეზიდენტების თავიდან მოცილების კლასიკური მაგალითია ნიკარაგუაში სამოსების „პოლიტიკური დინასტიის" მამამთავარი — ანასტასიო სამოსა, რომელზეც აშშ-ის პრეზიდენტმა ფრანკლინ რუზველტმა ერთხელ თქვა: **„სამოსა, შეიძლება, ძაღლიშვილია, მაგრამ ჩვენი ძაღლიშვილი!"** ეს სასტიკი დიქტატორი, კორუფციონერი და თანხების გამფლანგველი, რომელიც თავისი საშინელი რეპუტაციის გამო აშშ-ისთვის მძიმე ტვირთად იქცა, 1956 წელს სასიკვდილოდ დაჭრეს, შემდეგ კი ვერტმფრენით აშშ-ის ჰოსპიტალში გადაიყვანეს პანამის არხის ზონაში, სადაც ოპერაციიდან მერვე დღეს გარდაიცვალა — ვარაუდობენ, რომ დაეხმარნენ ამქვეყნიდან წასვლაში.

კიდევ უფრო ამაზრზენი პერსონაჟი იყო დომინიკის დიქტატორი **რაფაელ ტრუხილიო,** რომელიც ქვეყანას 1930-1961 წლებში ატერორებდა. ტრუხილიოს კისერზეა ათიათასობით ადამიანის სიკვდილი. ის აშშ-ის ინტერესების დაცვისას ისე ამოითხვარა სიბინძურესა და სისხლში, რომ აშშ-ს მნიშვნელოვნად შეულახა რეპუტაცია და ამის გამო ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ მოუღო ბოლო ადგილობრივ მაღალჩინოსან შეთქმულთა (ორი გენერლისა და ტრუხილიოს ადიუტანტის) ხელით. დომინიკის დიქტატორს ავტოსტრადაზე ჩაუსაფრდნენ და ლიმუზინში ჩაცხრილეს.

ჰაიტის პრეზიდენტი მოიზი კონკურენციას ვერ უწევდა სამოსასა და ტრუხილიოს — დრო და პიროვნების მასშტაბი სხვადასხვაა, მაგრამ ამერიკელებმა მასში სახიფათო ტენდენციები დაინახეს, განსაკუთრებით ხელისუფლების სათავეში დიდხანს ყოფნის სურვილი, რაც ვაშინგტონის გეგმებში არ შედიოდა. სწორედ ამიტომ აღარ არის მოიზი ცოცხალი.

**tsangrad.tv-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძე**

გაქცევა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აშშ-მა ომი არ დაასრულა 1973 წელს, როცა სასწრაფოდ მიატოვა თავისი მოკავშირეები სამხრეთ ვიეტნამში. მომდევნო წელს კონფლიქტის შედეგად 80 ათასი სამხრეთ ვიეტნამელი ჯარისკაცი და მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა — ეს ყველაზე საშინელი წელი იყო ვიეტნამის ომის პერიოდში. ისიც აღსანიშნავია, რომ 1975 წელს აშშ-მა კამბოჯა „ულტრაკომუნისტურ“ „წითელ კამერებს“ გადასცა, რომლებმაც ქვეყანაში საშინელებები ჩაიდინეს.**

# აშშ-ის წარუმატებლობა ავღანეთში

## როგორ დაამარცხა «თალიბანმა» პრიმიტიული იარაღით აშშ-ის არმია

**რობერტ გეიტსი, რომელსაც თავდაცვის მინისტრის პოსტი ეკავა ჯორჯ ბუშისა და ბარაკ ობამას პრეზიდენტობისას, 2014 წელს წერდა, რომ ბაიდენმა „შეცდომა დაუშვა საგარეო პოლიტიკისა და ეროვნული უსაფრთხოების ყველა მნიშვნელოვან საკითხში 40 წლის განმავლობაში“. ავღანეთიდან აშშ-ის სასწრაფოდ გასვლა ამ კანონზომიერების გაგრძელებაა.**

ავღანეთი კატასტროფის ზღვარზეა და ამაში დამნაშავე აშშ-ის პრეზიდენტი **ჯო ბაიდენია.**

„მაღალჩინოსანი ამერიკელი სამხედროების აზრის გაუთვალისწინებლად ავღანეთიდან აშშ-ის ჯარის საჩქაროდ გაყვანის შესახებ ბრძანების გაცემით ბაიდენმა „თალიბანის“ ტერორისტებს გზა გაუხსნა ავღანეთის რაიონების მეოთხედის ხელში ჩასაგდებად. ახლა რადიკალები ქაბულისკენ მიიწევენ, აშშ კი ისე სუსტად გამოიყურება, როგორც არასდროს“, — წერს **ბრაჰმა ჩელანი** სტატიაში, რომელიც რამდენიმე დღის წინათ გამოაქვეყნა პორტალმა **Project Syndicate**-მ.

ვაშინგტონმა ავღანეთში სამხედრო ოპერაციები, ფაქტობრივად, 1 ივლისს დაასრულა, როცა ავღანეთის მთავრობას გადასცა ავიაბაზა „ბაგრამი“, რომელიც ქვეყანაში დიდი ხნის განმავლობაში აშშ-ის სამხედრო ოპერაციების პლაცდარმი იყო. სინამდვილეში სიტყვა „გადასცა“ მომხდარს, რბილად რომ ვთქვათ, არ შეესაბამება. ამ მოვლენის წინ ამერიკელი სამხედროები ღამით შეუმჩნევლად გაიპარნენ ბაზიდან. თანაც წინასწარ ელექტროენერგია გათიშეს ობიექტზე. უსაფრთხოების პერიმეტრის შესუსტების შედეგად მძარცველები ბაზაში შევიდნენ და ავღანეთის სამთავრობო ქვედანაყოფების მოსვლამდე ბაზაზე მაროდიორობა მოასწრეს.

ბაიდენი გააფთრებით იცავდა თავის გადაწყვეტილებას ჯარების გაყვანაზე და ამტკიცებდა, რომ „აშშ ავღანეთში ერის ასაშენებლად არ შესულა“ და „იქ დარჩენა ნიშნავს, რომ ამერიკელ სამხედროებში დანაკარგებს თავიდან ვერ ავიცილებთ“. მან, აგრეთვე, მხარი დაუჭირა თავის გადაწყვეტილებას ჯარის სასწრაფოდ გამოყვანაზე და ეს ახსნა იმით, რომ „ოპერატიულობა უსაფრთხოებაა“.

„რამდენი ათასი ამერიკელი ვაჟისა და ქალის სიცოცხლის გასარისკად ხართ მზად?“ — დასვა კითხვა ამერიკელმა ლიდერმა.

აზრი ნათელი იყო: ამერიკის ჯარის გამოყვანაში ეჭვის შეტანა ამერიკელთათვის საფრთხის მხარდაჭერის ტოლფასია, მაგრამ საფრთხის წინაშე სწორედ ავღანელები აღმოჩნდნენ.

**აშშ-მა ომი დაუსრულებელი დატოვა 1973 წელს, როცა სასწრაფოდ მიატოვა თავისი მოკავშირეები სამხრეთ ვიეტნამში. მომდევნო წელს კონფლიქტის შედეგად 80 ათასი სამხრეთ ვიეტნამელი ჯარისკაცი და მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა — ეს ყველაზე საშინელი წელი იყო ვიეტნამის ომის პერიოდში. ისიც აღსანიშნავია, რომ 1975 წელს აშშ-მა კამბოჯა „ულტრაკომუნისტურ“ „წითელ კამერებს“ გადასცა, რომლებმაც ქვეყანაში საშინელებები ჩაიდინეს.**

ამჯერად ისლამისტების შეტევამ გამოიწვია ათიათასობით მშვიდობიანი ადამიანის მშობლიური ადგილებიდან აყრა. აშშ-მა ავღანელები დაუტოვა მაროდიორებად ქცეულ ისლამურ ძალას, რომელმაც არაერთხელ დაამტკიცა თავისი სასტიკი ბუნება და, სანამ ქაბულში ავღანეთის მთავრობა ყოყმანობს, „ბოევიკები“ ავღანელ ჯარისკაცებს ამერიკულ იარაღს ართმევენ და ამ იარაღით ქვეყანაში დემონსტრაციულად მარშირებენ.

ავღანეთიდან ამერიკის ჯარების გაქცევის გამართლება გაცილებით ნაკლებდამაჯერებელია, ვიდრე მათი მოსაზრება ვიეტნამიდან გასვლის სასარგებლოდ. **ვიეტნამში 57 220 ამერიკელი ჯარისკაცი დაიღუპა, ძირითადად, ახალწვეულები; ავღანეთის 20-წლიან ომში კი — 2448 სამხედრო მოსამსახურე, ყველა მოხალისე. უფრო მეტიც, მას შემდეგ, რაც აშშ-მა ოფიციალურად დაასრულა თავისი საბრძოლო ამოცანა 2015 წლის 1 იანვარს, მისმა დანაკარგებმა მხოლოდ 99 ადამიანი შეადგინა, მათ შორის არიან დაღუპულები საომარ ინციდენტებში. იმავე პერიოდში დაიღუპა 28 ათასზე მეტი ავღანელი პოლიციელი და ჯარისკაცი.**

ეს არ ნიშნავს, რომ თვალი უნდა დავხუჭოთ ავღანეთში აშშ-ის ადამიანურ და მატერიალურ დანაკარგებზე და მოვუწოდოთ, რომ ამერიკის ჯარი ავღანეთში გაურკვეველი ვადით დარჩეს, პირიქით, ამერიკის ყველაზე ხანგრძლივი ომის შეწყვეტა ღირსეული მიზანია, მაგრამ **ამ საკითხისადმი ბაიდენის მიდგომა, ფაქტობრივად, აღიარებაა იმისა, რომ ტერორისტულმა დაჯგუფებამ მწარე მარცხი აგემა მსოფლიოში ყველაზე მძლავრ შეიარაღებულ ძალებს და დაიბრუნა კონტროლი ავღანეთზე.** ეს ძირს უთხრის საერთაშორისო თანამეგობრობის ნდობას ამერიკის შეერთებული შტატებისადმი, საფრთხეს უქმნის ავღანეთისა და რეგიონის უსაფრთხოებას და შეიძლება ხელი შეუწყოს ტერორიზმის აფეთქებას სრულიად მსოფლიოში. ხელისუფლებაში „თალიბანის“ დაბრუნება ენერგიასა და გაბედულებას შეჰმატებს სხვა ტერორისტულ დაჯგუფებებსა და უფრო დიდ ისლამისტურ მოძრაობებს. ამას გარდა, „თალიბანი“, რომელიც პაკისტანის უწყებათაშორისი დაზვერვის შექმნილია, კვლავაც იღებს პაკისტანის შეიარაღებული ძალების დახმარებას.

ამრიგად, **მიუხედავად ბაიდენის განცხადებისა, რომ ავღანეთის ბედი ახლა ავღანელთა ხელშია, სინამდვილეში ის, როგორც ავღანეთის პრეზიდენტმა აშრაფ განიმ განაცხადა, ძირითადად, პაკისტანის ხელშია. მათ შორის, ვინც ყველაზე დიდი რისკის წინაშეა, არის ინდოეთი. ბოლოს, როცა „თალიბანი“ ხელისუფლების სათავეში იყო (1996-2001 წლებში), ავღანეთის ტერიტორია პაკისტანელებს დაუთმეს ტერორისტების მოსამზადებლად ინდოეთზე თავდასხმების მოწყობის მიზნით.**





ამერიკელი სამხედროები ავღანეთს ტოვებენ



„თალიბანის“ მებრძოლები ამერიკული იარაღით

ამრიგად, ავღანეთის ხელისუფლების სათავეში რადიკალური მოძრაობის დაბრუნებამ შეიძლება ტერორიზმის ახალი ფრონტი გახსნას ინდოეთის წინააღმდეგ, რომელიც ასეთ შემთხვევაში იძულებული იქნება, სამხედრო დაპირისპირების აქცენტი ჰიმალაიდან ავღანეთისკენ გადაიტანოს.

ავღანეთის ხელისუფლებაში რადიკალების დაბრუნებით ჩინეთი მოიგებს სხვა მხრივაც. აშშ-ის წასვლა ჩინეთს გზას გაუხსნის ავღანეთში შეჭრისკენ, მისი სიმდიდრეების, აგრეთვე, პაკისტანსა და ირანს შორის სტრატეგიული მდებარეობის გამოყენებისკენ. ჩინეთი ამას მიაღწევდა, თუ თალიბანს შესთავაზებდა ორ რამეს, რომლებიც მას ძალიან სჭირდება: საერთაშორისო აღიარებასა და ეკონომიკურ დახმარებას. და რადგან რუსეთიც, ალბათ, აღიარებს რადიკალების ლიდერობას ავღანეთში, დაჯგუფებებს ნაკლები სტიმული ექნებათ ძალადობის შესაჩერებლად, მიუხედავად მცდელობისა, მოიპოვონ დადებითი იმიჯი.

ბაიდენს უკეთესი ვარიანტი ჰქონდა: **აშშ-ს შეეძლო მცირერიცხოვანი კონტინგენტის შენარჩუნება ავღანეთში, რათა ჰაერიდან კრიტიკული მხარდაჭერა უზრუნველეყო ავღანეთის სამთავრობო ძალებისთვის. ეს დაარღვევდა გარიგებას, რომელიც ბაიდენის წინამორბედმა დონალდ ტრამპმა დადო ისლამისტებთან 2020 წლის თებერვალში, მაგრამ „თალიბანის“ მებრძოლებმა უკვე დაარღვიეს ეს გარიგება. ბაიდენი მოხარული იქნებოდა ტრამპის ბევრი სხვა გადაწყვეტილებაც გაეუქმებინა, ამიტომ „თალიბანთან“ გარიგების შესრულება რთული გასაგებია.**

ბაიდენი ამბობს, რომ „აშშ ავითარებს ჰორიზონტს მიღმა კონტრტერორისტულ პოტენციალს“, რომელიც არ მოითხოვს ავღანეთში ფიზიკურად ყოფნას, მაგრამ, თუ ავღანეთში უსაფრთხოება დაინგრევა, „ჰორიზონტს მიღმა“ ოპერაციებს სასურველი შედეგი არ ექნება.

სავარაუდო სცენარი იქნება აშშ-ის საელჩოს პერსონალისა და ამერიკელი მოქალაქეების სასწრაფო ევაკუაცია, როგორც ეს გააკეთეს 1975 წელს საიგონში. ინდოეთმა, მაგალითად, ეს უკვე გააკეთა, როცა თავისი საკონსულოს თანამშრომლები გაიყვანა ყანდაგარიდან.

**regnum.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

ძალაუფლების პირამიდა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მერკოლა მსჯელობას იწყებს შეკითხვით: „რა საერთო აქვს „ნიუ იორკ თაიმსსა“ და მედიასაშუალებების უმრავლესობას „ბიგ ფარმასთან“? და პასუხობს: მათი ძირითადი ნაწილი ეკუთვნის BLACKROCK-სა და VANGUARD GROUP-ს — აქტივების მართვის მიხედვით, ორ უდიდეს ფირმას მსოფლიოში“. ეს ორი კომპანია „ქმნის საიდუმლო მონოპოლიას, რომელიც ფლობს თითქმის ყველა დანარჩენს“.**

# სიხარბისა და სიცრუის სინერგია — ვინ დგას «ბიგ ფარმასა» და მედიაკორპორაციების უკან

**ერთი თვის წინათ ინტერნეტში პოპულარობა მოიხვეჭა ჯოზეფ მერკოლას სტატიამ The Same Shady People Own Big Pharma and the Media („ერთი და იგივე ჩრდილოვანი ადამიანები ფლობენ დიდ ფარმასა და მედიას“. ჯოზეფ მერკოლა ამერიკაში ცნობილი ფიგურაა. მედიკოსი 25-წლიანი საექიმო პრაქტიკით, ბიოლოგიისა და ქიმიის სფეროს სპეციალისტი, 1997 წლიდან მართავს ვებგვერდ mercola.com-ს, რომელიც ბუნებრივი გამოჯანმრთელების №1-ელ საინფორმაციო რესურსად ითვლება. 2000-იან წლებში მერკოლამ გამოააშკარავა დიდი ფარმის აფერა სახელწოდებით „შიდსი“ (შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი), ახლა ებრძვის კოვიდ-19-ის საყოველთაო ვაქცინაციას.**




მერკოლამ ბოლო წიგნი The Truth About COVID-19: Exposing The Great Reset Lokdowns Vaccine Passports, and the New Normal („სიმართლე COVID-19-ზე, დიდი გადატვირთვის, ლოკდაუნების, ვაქცინაციის პასპორტებისა და ახალი ნორმალურობის ჭეშმარიტი მიზნების გამოაშკარავება“) **რონი კამინსის** თანაავტორობით დაწერა. კამინსი ორგანული პროდუქტების მომხმარებელთა ასოციაციის დამფუძნებელი და დირექტორია, წიგნის წინასიტყვაობა ეკუთვნის **რობერტ კენედი-უმცროსს,** 1963 წელს მოკლული აშშ-ის პრეზიდენტის, **ჯონ კენედის,** ძმისშვილს.

მერკოლას ზემოხსენებული სტატია უკვე წაიკითხეს მილიონებმა და არა მხოლოდ ამერიკაში. **მერკოლა გადის სამედიცინო თემატიკის ჩარჩოებიდან იმ ორგანიზაციების დონეზე, რომლებიც ამერიკაში რეალური ძალაუფლების პირამიდის წვერში არიან.**

მერკოლა მსჯელობას იწყებს შეკითხვით: „რა საერთო აქვს „ნიუ იორკ თაიმსსა“ და მედიასაშუალებების უმრავლესობას „ბიგ ფარმასთან“? და პასუხობს: მათი ძირითადი ნაწილი ეკუთვნის BlackRock-სა და Vanguard Group-ს, აქტივების მართვის მიხედვით ორ უდიდეს ფირმას მსოფლიოში“. ეს ორი კომპანია „ქმნის საიდუმლო მონოპოლიას, რომელიც ფლობს თითქმის ყველა დანარჩენს, რაც შეიძლება არსებობდეს“.

**„დღეს მსოფლიო, — წერს მერკოლა, — მოწყობილია პირამიდის პრინციპით: „წვრილი ინვესტორები ეკუთვნიან მსხვილ ინვესტორებს. ისინი, თავის მხრივ, ეკუთვნიან კიდევ უფრო მსხვილ ინვესტორებს. ამ პირამიდის ხილული წვერი წარმოაჩენს მხოლოდ ორ კომპანიას — Vanguard-სა და BlackRock-ს. ისინი ჯვარედინად მონაწილეობენ ერთმანეთის კაპიტალში და ქმნიან კარტელს“.**

ამ ორი კორპორაციიდან Vanguard-ი გაცილებით „ბნელია“. ეს არასაჯარო კომპანია ეკუთვნის სხვადასხვა ფონდსა და კომპანიას, რომელთა უკანაც დგანან სხვა ინვესტორები. ამ გორგლის ბოლომდე გახსნა, იმისათვის, რომ გავიგოთ, ვინ ვინ არის, ჯერ ვერავინ მოახერხა. ამასთანავე, „ერთი შეხედვით ჩანს, რომ **როტშილდების** კომპანიები — Rothschild Investment Corp და Edmond De Rothschild Holding-ი იქ მთავარი დაინტერესებული მხარეები არიან“, — წერს მერკოლა. Vanguard-ის შესაძლო ინვესტორებსა და ბენეფიციარებს შორის მერკოლა, აგრეთვე, ასახელებს იტალიელი **ორსინების,** ამერიკელი **ბუშების, დიუპონების, მორგანების, როკფელერებისა** და **ვანდერბილტების** ოჯახებს.

მერკოლას სიას ძალიან ჰგავს აშშ-ის ფედერალური სადაზვერვო სისტემის სია. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ფედერალური სარეზერვო სისტემის აქციონერებმა გადაწყვიტეს, თავიანთთვის შეექმნათ სათადარიგო აეროდრომი იდუმალი კორპორაცია Vanguard-ის სახით. ჯერ კიდევ 2000 წელს მას არ ჰქონდა აქციების მსხვილი პაკეტი (5% და მეტი) 500 საუკეთესო ამერიკულ კომპანიაში, 15 წლის შემდეგ კი ტოპ-500 კომპანიის 94,3%-ის კაპიტალში Vanguard-ს 5% და მეტი წილი ჰქონდა.

ისეთი მაჩვენებლის მიხედვით, როგორიც არის ამერიკული კომპანიის ტოპ-500-ში საინვესტიციო გიგანტის წილი აქციონერების ერთობლივ კაპიტალში, აგრეთვე, საუკეთესო ამერიკულ 500 კომპანიაში აქციონერების ერთობლივი ხმების რაოდენობა, Vanguard-მა 2000 წელს მესამე ადგილი დაიკავა BlackRock-ისა და State Street-ის შემდეგ. 2015 წელს კი პირველ ადგილზე გავიდა და პოზიციას დღემდე ინარჩუნებს. **2020 წლის ბოლოს Vanguard-ის აქტივებმა 7 ტრილიონ დოლარს გადააჭარბა. იმ მომენტში აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის აქტივებმაც 7 ტრილიონ დოლარს მიაღწია.**

მერკოლას მოჰყავს „ბლუმბერგის“ ანგარიში, რომელშიც ლაპარაკია, რომ **2028 წლისთვის VANGUARD-ი და BLACKROCK-ი გააკონტროლებენ 20 ტრილიონი დოლარის აქტივებს.**

სტატიის ავტორს მოჰყავს ასეთი ციფრები: **BlackRock-ი და Vanguard-ი, საერთო ჯამში, ფლობენ 1600 ამერიკულ ფირმას, რომელთა ერთობლივმა შემოსავალმა მხოლოდ 2015 წელს შეადგინა 9,1 ტრილიონი დოლარი.**

შემდეგ მერკოლა გადადის „ბიგ ფარმას“ კომპანიებზე (Big Pharma — დიდი ფარმა, ანუ „დიდი ფარმაცევტიკა“ — ეს არის დიდი საერთაშორისო ფარმაცევტული კომპანიის ჯგუფი, რომლის შტაბბინები არის აშშ-სა და ევროპაში და რომლებიც ამზადებენ სამედიცინო პრეპარატებს).

**Vanguard-სა და BlackRock-ს აშშ-ის ყველა წამყვანი ფარმაკომპანიის კაპიტალში აქვს წილები. 2020 წლის თებერვალში აღნიშნული კორპორაციები იყვნენ Glaxo Smithklince-ს უდიდესი აქციონერები — პირველს 7% ჰქონდა, მეორეს — 3%; „ფაიზერში“ პირიქითაა — Vanguard-ი მთავარი აქციონერია, BlackRock-ი — მეორე.**

საინფორმაციო საშუალებები, რომლებსაც კორპორაციების ეს დუეტი აკონტროლებს, მხარს უჭერენ „ბიგ ფარმას“. როგორც მერკოლა აღნიშნავს, „დიდი ორიანი“ — საზღვრებს შლის კერძო კაპიტალსა და სახელმწიფო საქმეებს შორის.

**«სრულიად აშკარაა: კოვიდ-19-ის პანდემია იმიტომ გავრცელდა, რომ მივიდეთ ახალ მსოფლიო წესრიგამდე — დიდ გადატვირთვამდე. და ამ ყველაფრის საფუძველში, ცენტრში, რომლისკენაც მიისწრაფვის მსოფლიო სიმდიდრეების ნაკადები, ჩვენ ვხედავთ BlackRock-სა და Vanguard-ს»**



COVID-19-ის ისტორიის მიმართ ეს ნიშნავს, რომ აშშ-ის ჯანდაცვის ორგანოები მითითებებს მიიღებენ „ბიგ ფარმადან“, რომელსაც აქვს უნიკალური შესაძლებლობა, გამდიდრდეს კორონავირუსთან ბრძოლით.

მერკოლა მიუთითებს საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია Global Justice Nowom-ის მიერ 2020 წლის დეკემბერში გამოქვეყნებულ მოხსენებაზე „ბიგ ფარმას“ საშინელი ისტორია“, რომელშიც განხილულია **„სამარცხვინო ისტორია მსოფლიოს 7 წამყვანი ფარმაცევტული კომპანიისა, რომლებიც ამჟამად გენების საფუძველზე ამზადებენ კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო წამლებსა და ვაქცინებს იმ მომენტში, როცა მასობრივი ინფორმაციის ძირითადი საშუალებები ეხმარებიან ხელმისაწვდომი ძველი პრეპარატების შესახებ ინფორმაციის მიჩქმალვაში, არადა, ის ძველი პრეპარატები მაღალი ეფექტიანობით გამოირჩევა ინფექციის წინააღმდეგ ბრძოლაში“.** ეს არის ის პრეპარატები, რომელთა პროპაგანდასაც მერკოლა მრავალი წლის განმავლობაში ეწევა თავის საინფორმაციო რესურს Mercola.com-ზე.

მაგრამ ძალები არათანაბარია. „ბიგ ფარმას“ მხარეს არის „დიდი ორიანის“ მიერ გაკონტროლებული ძალოვანი მედიასაშუალებები. როგორც მერკოლა აღნიშნავს, 2021 წლის მაისის მდგომარეობით, New York Times-ის მთავარი აქციონერი Vanguard Group-ი იყო, რომელსაც ამ მედიაკორპორაციის კაპიტალის 8,11% ეკუთვნის. ამ მხრივ მეორე ადგილზეა BlackRock-ი 7,43%-ით. Vanguard-ი და BlackRock-ი არიან, აგრეთვე, მსხვილი აქციონერები 6-დან 4 იმ მედიაკომპანიისა — Time Warner, Comcast, Disney, New Corp, რომლებიც აშშ-ის მედიაბაზრის 90 პროცენტს აკონტროლებენ.

ამას გარდა, **BlackRock-ისა და Vanguard-ის აქციები აქვთ სილიკონის ველის ყველა წამყვან ციფრულ კომპანიაში — Microsoft-ში, Apple-ში, Amazon-ში, Facebock-სა და Alfabet Inc-ში.**

მერკოლა სტატიას ამ სიტყვებით ასრულებს: „სრულიად აშკარაა: კოვიდ-19-ის პანდემია იმიტომ გავრცელდა, რომ მივიდეთ ახალ მსოფლიო წესრიგამდე — დიდ გადატვირთვამდე. და ამ ყველაფრის საფუძველში, ცენტრში, რომლისკენაც მიისწრაფვის მსოფლიო სიმდიდრეების ნაკადები, ჩვენ ვხედავთ BlackRock-სა და Vanguard-ს“.

**P.S. 2 ივლისს ჯოზეფ მერკოლამ გამოაქვეყნა ახალი სტატია („კოვიდის საწინააღმდეგო ვაქცინით გამოწვეული სასიკვდილო შემთხვევები და ტრავმები საიდუმლოდ დამარხეს“), რომელშიც „ბიგ ფარმას“ მოღვაწეობაზე საინტერესო დეტალები შეგვიძლია წავიკითხოთ.**

**ამჟამად კოვიდ-19-ის მწარმოებელი სამი ამერიკული ფარმაცევტული კორპორაციის წინააღმდეგ ფედერალურ სასამართლოებში აღძრულია ათეულობით სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმე. ჯერჯერობით ლაპარაკია სარჩელებზე, რომლებიც დაკავშირებულია არა უახლეს ვაქცინებთან, არამედ სხვა სამედიცინო პრეპარატებთან, რომლებმაც სიკვდილი ან ჯანმრთელობის დაზიანება გამოიწვიეს. მოპასუხეები არიან Pfizer-ი, Jonson & Jonson-ი და AstraZeneca. სარჩელების მიხედვით, ჯარიმებისა და კომპენსაციის სახით მოთხოვნილი საერთო თანხა 8,6 მლრდ დოლარს შეადგენს.**

fongsk.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
**ლუკა მაისურაძე**

მწარე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„გახსოვთ, ხომ, თითოეული კაცი რომ მარტო თავისთავად და თავისთვის მოქმედებდა. მას მეტი რამე მიზანი როდი ჰქონია – ჩინი ვიშოვნო, სამსახურში დავწინაურდე, შეძლება შევიძინოო. მისი კეთილის-მყოფელი მარტო ის იყო, ვინც ამ ჩინის შოვნას უადვილებდა, ვინც ამ დაწინაურებაში ეხმარებოდა ან ამ შეძენაში ხელს უწყობდა...“**

# «იქნება სხვისი სათრევი აღარ ვიყოთ, იქნება სხვის პატივისცემას ველირსოთ...»

რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე

## წერილი პირველი

„ღვთის მადლით ფხიზლდება და იღვიძებს ნელ-ნელა ჩვენი ქართველობა, მოძრაობას იწყებს ცოტ-ცოტად ჩვენი ქვეყანა. როგორც იქნა, იმ დღესაც მოვესწარით, როცა ქართველ კაცსაც საზოგადოებრივი გრძნობა გაუჩდა ტანში, ის გრძნობა, რომელიც გვაგებინებს, რომ ბევრი რამ ჰკლებია ჩვენს ქვეყანას, ბევრი საერთო საჭიროება გვქონია... ამ ოცი, თუთხმეტი წლის წინათ ჩვენში ამგვარი გრძნობისა ან გაგების ხსენებაც არ ყოფილა“, — ნიკო ნიკოლაძემ ეს თვალსაზრისი 1879 წელს გამოთქვა წერილში „მამულის სიყვარული და მსახურება“, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ჩვენ, ადამიანები, სამწუხაროდ, ხშირად ვივიწყებთ ერთ ჭეშმარიტებას: ერთხელ თუ ორჯერ დაშვებულ შეცდომებზე ჭკუა ვისწავლოთ. ამიტომ გვიწევს დღეს, ვინ იცის ისტორიის მანძილზე მერამდენედ, გამოფხიზლება, რათა კვლავ დავდგეთ „ერად სხვა ერთა შორის“.

როგორია დღეს ჩვენი ეროვნული იდენტობა, ანუ ვინ ვართ ჩვენ?

რთულია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, რადგან 5 ივლისს ვინც სასულიერო პირებთან ერთად წინ აღუდგა ქვეყანაში გარყვნილების პროპაგანდას, მავანისთვის „სიძულვილის ჯგუფებს“ წარმოადგენენ, „ღირსების მარშის“ „ღირსეულ“ წარმომადგენელთა წინააღმდეგ ამხედრებულებს. ახლა კი, როცა ველირსეთ ჩვენი მთავრობის მეთაურის ხალხის ნების გამომხატველი გაბედული ხმის გაგონებას, ეს „ღირსეული“ ადამიანები კატეგორიულად მოითხოვენ — ძალადობის უმძიმესი შედეგების გამო საქართველოს პრემიერმინისტრმა თანამდებობა დაუყოვნებლივ დატოვოსო...

დღეს ჩვენ ვცხოვრობთ გლობალიზაციისა და ტექნოლოგიური ევოლუციის ეპოქაში, მეტ-ნაკლებად დაშორებულნი ჩვენს წარსულთან, წინაპრებთან. ცხოვრება კი ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვიდასტურებს, რომ არაფერია იმაზე თანამედროვე ვიდრე ეროვნული ტრადიციებით, თვითშეგნებითა და ღირებულებებით გაჟღენთილი თანამედროვეობა. დიდი ილიაც ამას ამბობდა: „მხოლოდ წარსულის ცოდნით დაუცავს ყოველს ერს თავისი ეროვნება, თავისი არსებობა, თავისი ვინაობაო“. დღეს ქართველი ხალხი ხელისუფლებისგან მოითხოვს: **დაუჯერეთ პატრიარქს, გააუქმეთ ანტიდისკრიმინაციული კანონი, კანონით დაარეგულირეთ ყოველგვარი ისტორიული და ეროვნული ღირებულებების შეურაცხყოფა, კანონით აკრძალეთ გარყვნილების პროპაგანდა!** მხოლოდ ამ შემთხვევაში „იქნება სხვისი სათრევი აღარ ვიყოთ, იქნება სხვის პატივისცემას ველირსოთ...“

ახლა კი მოვუსმინოთ ნიკო ნიკოლაძეს:

## მამულის სიყვარული და მსახურება

ღვთის მადლით ფხიზლდება და იღვიძებს ნელ-ნელა ჩვენი ქართველობა, მოძრაობას იწყებს ცოტ-ცოტად ჩვენი ქვეყანა. როგორც იქნა, იმ დღესაც მოვესწარით, როცა ქართველ კაცსაც საზოგადოებრივი გრძნობა გაუჩდა ტანში, ის გრძნობა, რომელიც გვაგებინებს, რომ ბევრი რამ ჰკლებია ჩვენს ქვეყანას, ბევრი საერთო საჭიროება გვქონია... ამ ოცი, თუთხმეტი წლის წინათ ჩვენში ამგვარი გრძნობისა ან გაგების ხსენებაც არ ყოფილა. მოვიგონოთ ის წყეული და ბნელითმოსილი დრო, რომელიც, ამას იქით ღმერთმა ნუ მოასწროს ჩვენს მამულს! **გახსოვთ, ხომ, თითოეული კაცი რომ მარტო თავისთავად და თავისთვის მოქმედებდა. მას მეტი რამე მიზანი როდი ჰქონია — ჩინი ვიშოვნო, სამსახურში დავწინაურდე, შეძლება შევიძინოო. მისი კეთილის-მყოფელი მარტო ის იყო, ვინც ამ ჩინის შოვნას უადვილებდა, ვინც ამ დაწინაურებაში ეხმარებოდა ან ამ შეძენაში ხელს უწყობდა... ვაბეზღებდით ამ მეზობელს, ვდევნიდით, ვაწვალებდით... იმის მოსაზრება ჩვენ როდი გვქონდა, იქნება ბედის ჩარხი უკუღმა დატრიალდეს, და ხვალ საკუთრად ჩვენ დაგვიწყონ დევნა ან წვალება ისე, როგორც დღეს ჩვენს მეზობელს ეპყრობიან ჩვენის შემწეობით... კი არ გვეშინოდა ქართულად ხმის ამოღების, გვრცხვენოდა, გვეთაკილებოდა**, გვეგონა გლეხკაცად, „მუჟიკად“ ჩაგვთვლიან, თუ რუსულად არ ვისაუბრეთო...

**ვის ჰქონდა მაშინ იმის გაგება, და ვინ იტყოდა, რომ ჩვენის პირადი კეთილდღეობისთვისაც საჭირო არისო დედა-ენის ცოდნა, თანამემამულეების ძმობა, მათი დახმარება...** გახსოვთ, კიდევ, ოთხიოდე ახალგაზრდა კაცი გამოგვეზარდა, ამ ოცი წლის წინათ, რომელთაც ქადაგება დაიწყეს, წერით თუ სიტყვით, ქართველები ვართო, ქართულ ენას ნუ დავივიწყებთო, ქართული მწერლობა აღვადგინოთო, ერთობა და ძმობა ვიქონიოთო, ერთმანეთს ხელი გავუწყოთ და დავეხმაროთო, ამითი, მხოლოდ ამითი შეიძლებაო ჩვენი მდგომარეობის გაუმჯობესება... რა ხარხარი დააყარა მათს ქადაგებას ჩვენმა საზოგადოებამ, რომელიც იმ დროს მარტო ჩინოვნიკებისა და აფიცრებისაგან შედგებოდა! — ქართულმა ენამ რა უნდა მარგოსო, ფიქრობდენ და ბრძანებდენ მაშინ ჩვენი ტუზები, ჩვენი ჩინიანი და გავლენიანი ქოსები. მე თქვენ მოგახსენებ, ჩინს მომცემენ ან ჯამაგირს მომიმატებენ ქართული ენის ცოდნისთვის! რა საჭიროა ეს ქართული ლექსები ან ჟურნალები? უსაქმოობის გამო სჯღაბნიანო ეს ჩვენი თერგდალეულები...

**გავიდა ოცი წელიწადი. რაღას ვხედავთ დღეს? ვხედავთ, რომ თვითონ ეს ქოსებიც კი გრძნობენ ქართული მწერლობის საჭიროებას**. გამოუგდეს რომელსამე მათგანს შვილი გიმნაზიიდან, ან უსამართლოდ გადუწყვიტეს საქმე სამსაჯულოში, ან გზა აღარ მისცეს სამსახურში თუ სასწავლებელში, მაშინ თვითონ ეს ქოსები ხელში კალამს აიღებენ და „დროებაში“ სწერენ: **„ვილუპებით, ბატონო — გზა შეკრული აქვს ჩვენებურ კაცს, დამშევასა და დაბრმავებას გვიპირებენო“.** მარტო კალმით და წერით კი არ ქადაგობს ამას: იგი თავის მეზობელს უახლოვდება და ხედავს, რომ ორნივე ერთ ტაფაზე იწვიან თურმე... ჩინიან ქოსებს უწინდელ დროში მაინც, დედობრი-

...არზედაც შეიძრა სომხობა, — ჩვენ ქვის გული და თიხის ტვინი ხომ არა გვქონდა, რომ ჩვენც არ გვეგრძნო თვისტომობის ღირსება ან პატივი?


ნიკო ნიკოლაძე

ვი სიყვარულით ეპყრობოდენ... იმათ ძველი ამაგიდგანაც დარჩენილი აქვთ ხსოვნა მაინც... ახალთაობათა კი თავიდგანვე დედინაცვალი ერგოთ ბედათ, კაპასი, უმოწყალო, ძუნწი და მძულვარე დედინაცვალი... ძველ ქოსებს უკეთესი მაგალითები მაინც არ ენახათ, რომ თავიანთი ბედი მათთან შეედარებიათ. ახალთაობათა კი ბევრი სხვისი ოჯახი ენახათ, ისეთი ოჯახი, საცა დედამთილი, კი არ კაპასობს, ნაზად, როგორც მოსიყვარულე დედა, საყვარელ შვილებს ალერსით აბედნიერებს... **რაღა გასაკვირველია, მაშასადამე, რომ ახალგაზრდებს ათასჯერ უფრო მწვავედ უნდა ეგრძნოთ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლულევანება, ჩვენი დაფანტულობა და უთავობა**... ამასთან დრომაც იმოქმედა, ცოტათი არ იყოს. რაკი რუსეთის მთავრობამ, საკუთარი მიზნის მისაღწევად, საჭიროდ დაინახა, გამოეფხიზლებია სხვადასხვა სლავიანური ხალხების თვისტომობა, და რაკი მათი მაგალითის წახედვით ჩვენს საზღვ-

ჩვენს საკუთარ თვალწინ, ორიოდ-სამი წლის განმავლობაში, სომეხს ერთი მტკაველი ტანი მოემატა. გუშინ რომ წელმოხრილი იყო ეს კაცი, გუშინ რომ მის ხმის გაცემას არავინ კადრულობდა, დღეს ჩვენს თვალწინ ის გაიმართა, გამაგრდა, გაამაყდა. მან დღეს თავისპატივი იგრძნო, თავისი ფასი შეიტყო. დღეს მას ყველა ერიდება, ყველა პატივს-სცემს, ყველა თავაზიანად ეპყრობა და ფართო გზას აძლევს... რამ მიანიჭა მას ეს ბედნიერება? „სომხობამ“, „მთელი სომხობის ძალამ“. ჩვენც მივხვდით, ამის გამო... რომ **„ქართველობაც“ რომ სადმე იყოს, „მთელი ქართველობის ძალაც“ რომ სადმე არსებობდეს, იქნება ჩვენც გაგვიადვილდეს ცხოვრება, იქნება სხვისი სათრევი აღარ ვიყოთ, იქნება სხვის პატივისცემას ველირსოთ...**

**სხვათა შორის ამანაც თვალი აგვიხილა, ამანაც გამოგვაფხიზლა და გვაგრძნობინა ჩვენი საკუთარი თვისტომობა... იქნება ყველა ეს საფუძვლები ჩვენგანს არავის ჰქონდეს კარგად გამოკვლეული, ნათლად ახსნილი, მაგრამ მათს ძალას ყველა ვემონებით, ზოგი მეტად, ზოგი ნაკლებ... დრომ მოიტანა, გარემოებამ გააძლიერა...**

ყოველის სტიქიური მოძრაობა ღირსშესასწავლია, თუკი კაცს სურს, რომ ეს მოძრაობა მისი საზოგადოებისთვის სასიკეთოდ გამოდგეს, და არა დამღუპველად. მჯობს, მაგალითით ვილაპარაკოთ. წყალიც სტიქიური ძალაა. ჩინებული რამ არის ქვეყნისთვის წვიმა... მაგრამ, თუ მაისის წვიმა ნიაღვრად იქცა, ყანებს ერთიანად წალეკს და თესლს გადარეცხს... თუ მდინარეს კაცმა უადგილო ადგილს წვალება დაუწყო, თუ სარწყავი ღელეების ან საწისქვილე ტოტების თავი ცუდ ადგილს გაუკეთა, მდინარე რომ მოდიდდება, მთელ ყანებსა და მინდვრებს გადიარს, წალეკს, დააქცევს. გონიერმა ხალხმა კარგად უნდა შეისწავლოს წყლისა და მდინარის თვისება, კარგად უნდა მოიხმაროს ის ღონე, რომელიც ამ სტიქიისთვის ბუნებას მიუცია, თუ სურს, რომ ამ ძალამ ახეიროს... **ქვეყანაზე არც ერთი ძალა არ არსებობს ისეთი, რომ, მხოლოდ სასარგებლო იყოს, ან მარტო მავნებელი. ყოველი ძალა, როგორც ყოველი საგანი, ზოგჯერ სასარგებლოა კაცისთვის და ზოგჯერ მავნებელი. მისი სიცუდე და სიკარგე ხმარებაზე ჰკიდია. მცოდნე და მოხერხებული კაცის ხელში საწამლავიც კი კურნალობს, და უტვინო ბავში რძის საჭამადშიაც კი დაიხრჩობა... ამ ნაწერის მიზანიც — თუ დარი დამიდგა — ეს გამოკვლევა იქნება.**

**«ქართველობაც» რომ სადმე იყოს, «მთელი ქართველობის ძალაც» რომ სადმე არსებობდეს, იქნება ჩვენც გაგვიადვილდეს ცხოვრება...»**



**«ქვეყანაზე არც ერთი ძალა არ არსებობს ისეთი, რომ, მხოლოდ სასარგებლო იყოს, ან მარტო მავნებელი. ყოველი ძალა, როგორც ყოველი საგანი, ზოგჯერ სასარგებლოა კაცისთვის და ზოგჯერ მავნებელი. მისი სიცუდე და სიკარგე ხმარებაზე ჰკიდია. მცოდნე და მოხერხებული კაცის ხელში საწამლავიც კი კურნალობს, და უტვინო ბავში რძის საჭამადშიაც კი დაიხრჩობა...»**

**ჯალათებმა მახვილებჩამაგრებულ ბორბალზე დააკრეს ქრისტეს ტარიგი. მისი ტრიალის დროს მოწამის სხეული იკვეთებოდა და ხორცის ნაგლეჯები ცვიოდა ირგვლივ. ნეტარი ხმამაღლა ლოცულობდა. და აი, უეცრად ბორბალი თავისით გაჩერდა და ულმრთოებმა ვერაფრით მოახერხეს მისი ამოძრავება. ზეცით გარდამომხდარმა უფლის ანგელოზმა გაათავისუფლა ეფემია და წყლულებისაგან განკურნა. გახარებულმა წმიდანმა მადლი შესწირა უფალს.**

რელიგია
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ხსენება წმიდა ეფემია ყოვლადქებულის სასწაულისა

**დიდმოწამე ეფემია ყოვლადქებულის ხსენების დღე 16 სექტემბერია, 24 ივლისს კი მართლმადიდებელი ეკლესია იმ სასწაულის ხსენების დღედ მიიჩნევს, რომელმაც დიდი როლი შეასრულა მართლმადიდებლობის გაძლიერებაში. ის 304 წელს ეწამა ქრისტესთვის ბოსფორის სანაპიროზე მდებარე ქალაქ ქალკედონში.**

წმიდა დიდმოწამე ეფემია ყოვლადქებული კეთილმსახური ქრისტიანების — სენატორ ფილოფრონისა და თეოდოსიას ასული იყო.

ქალკედონის მმართველმა, **პისკოსმა** ბრძანება გასცა, მთელი ქალაქისა და მისი შემოგარენის მკვიდრნი არესის კერპის თაყვანსაცემად გამოცხადებულიყვნენ, ურჩებს ტანჯვითა და სიკვდილით დაემუქრა. კერპთაყვანისცემას განრიდებული ორმოცდაცხრა ქრისტიანი ერთ სახლში შეიკრიბა და უსისხლო მსხვერპლს სწირავდა უფალს. „ხორცთა სიკეთითა და სათნოებათა შუენიერებითა, ჰასაკისა ყუავილითა და ტომთა საჩინოებითა შორის მათსა ბრწყინვალეთა ვარსკულავთაებრ ბრწყინვიდა“ ქალწული ეფემია. მალე მართლმორწმუნეთა ადგილსამყოფელი გაცხადდა. ისინი შეიპყრეს და **პისკოსს** მიჰგვარეს. ქალაქის თავი ჯერ პირფერობით ეცადა აღმსარებელთა გადაბირებას, შემდეგ, ცხრამეტი დღის მანძილზე, საშინელი სატანჯველებით აწამა, მაგრამ ვერაფერს გახდა. მაშინ, ულონოქმნილმა, იმპერატორ დიოკლეტიანეს (284-305) სამსჯავროზე გაგზავნა მარტვილები, მათ შორის ყველაზე ახალგაზრდა, ეფემია, კი თავისთან დატოვა: იმედოვნებდა, რომ, მარტო დარჩენილს, ადვილად დაიმორჩილებდა.

კრებულს მოწყვეტილი ქალწული მხურვალედ ევედრებოდა უფალს წინამდებარე ღვაწლში განმტკიცებას.

**ჯალათებმა მახვილებჩამაგრებულ ბორბალზე დააკრეს ქრისტეს ტარიგი. მისი ტრიალის დროს მოწამის სხეული იკვეთებოდა და ხორცის ნაგლეჯები ცვიოდა ირგვლივ. ნეტარი ხმამაღლა ლოცულობდა. და აი, უეცრად ბორბალი თავისით გაჩერდა და ულმრთოებმა ვერაფრით მოახერხეს მისი ამოძრავება. ზეცით გარდამომხდარმა უფლის ანგელოზმა გაათავისუფლა ეფემია და წყლულებისაგან განკურნა. გახარებულმა წმიდანმა მადლი შესწირა უფალს.**

მმართველს მომხდარი სასწაული არ ეყო გონს მოსასვლელად და მხედრებს, **ვიქტორსა და სოსთენს,** მარტვილი ქალწულის გახურებულ ღუმელში ჩაგდება უბრძანა; მაგრამ მათ „სასტიკებითა და კსინვით“ მხედველი ანგელოზები იხილეს, უარი განაცხადეს განკარგულების შესრულებაზე, ირწმუნეს და აშკარად აღიარეს ეფემიას ღმერთი. აღმსარებლები მხეცებს მიუყარეს დასაგლეჯად. სიკვდილის პირისპირ მდგომი ვიქტორი და სოსთენი მხურვალედ ევედრებოდნენ მრავალმოწყალე უფალს ცათა სასუფევლის მომადლებას.

გულწრფელი ლოცვა შესმენილ იქნა და მონანულთა სულები მშვიდობით შეერთვნენ მარადისობას. მხეცები მათ სხეულებს არც გაკარებიან.

**წმიდა ეფემია სხვა მეომრებმა ქურაში შეაგდეს, მაგრამ ცოცხალი გადარჩა. ღვთის შეწევნით მან კიდევ მრავალ სატანჯველს დააღწია თავი უვნებლად, რასაც მმართველი მარტვილის ჯადოსნობით ხსნიდა.**

ბოლოს გადაწყვიტეს, უფლის რჩეული ცირკში მხეცებისთვის მიეგდოთ დასაგლეჯად. განაჩენის აღსრულების წინ წმინდანმა მხურვალედ შესთხოვა უფალს, გაეყვანა ამ სოფლიდან. ოთხი ლომი და სამი დათვი მიუშვეს მასზე, მაგრამ ნადირები თვინიერად, კრძალვით მიეახლნენ ნეტარს და „კაცობრივ კუალთა მისთა ამბორს-უყოფდეს“. **მხოლოდ ერთმა დათვმა უკბინა მას ფეხზე, მცირე წყლული დააჩნია და ეფემიამ სული განუტევა. ზეგარდმო გაისმა: „აღმორბიოდე, გვირგვინთმომცემელისა მიმართ, კეთილისა ღუაწლისა მოღუაწე, და აწღა სრბისა აღმასრულებელმან მიიღო ღუაწლთა შენთა მისაგებელი“. უეცრად საშინლად შეირყა მიწა. დამფრთხალი მცველები და მოსეირეები დაიფანტნენ, მშობლებმა აღიღეს ძლევაშემოსილი მარტვილის წმიდა ცხედარი და ქალკედონის მახლობლად პატივით დაფლეს.**

ნახევარი საუკუნის შემდეგ, როცა ქრისტიანობა რომის იმპერიაში სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა, ღმერთმა ნეტარი მარტვილი ღირსყო, კიდევ ერთხელ საჯაროდ დაემოწმებინა და ეღიარებინა მართლმადიდებლური სარწმუნოების სიწმინდე.

შემდგომში დიდმოწამე ეფემიას საფლავზე დიდებული ტაძარი ააგეს. **ამ ტაძარში 451 წელს მიმდინარეობდა IV მსოფლიო კრების სხდომები, რომლის დროსაც უფლის წმიდა სათნომყოფელმა საკვირველად დაამტკიცა მართლმადიდებლური სარწმუნოების ჭეშმარიტება და ბოლო მოუღო მონოფიზიტთა მძვინვარებას.**

ქალკედონის იმ ტაძარში, სადაც დიდმოწამე ეფემიას სასწაულებით გაბრწყინებული წმიდა ნაწილები იყო დაბრძანებული, IV მსოფლიო კრებაზე ადგილობრივი ქრისტიანული ეკლესიების ექვსასოცდაათმა წარმომადგენელმა მოიყარა თავი. მართლმადიდებელთა მხრიდან კრების საქმიანობაში მონაწილეობდნენ: კონსტანტინოპოლის პატრიარქი ანატოლი, იერუსალიმელი მღვდელმთავარი იუბენალი და რომის პაპის, ლეონის. წარმომადგენლები. მონოფიზიტები ალექსანდრიელი პატრიარქის — დიოსკორესა და კონსტანტინოპოლელი არქიმანდრიტის — ევტიქის წინამძღვრობით მრავლად იყვნენ შეკრებილნი.

ხანგრძლივი ბჭობის მიუხედავად, მხარეებმა ერთობლივი დადგენილება ვერ მიიღეს.

მაშინ **კონსტანტინოპოლელმა პატრიარქმა ანატოლიმ კრებას შესთავაზა, საეკლესიო განხეთქილების მოგვარება სულიწმიდისთვის მიენდოთ მისი რჩეული ჭურჭლის — ეფემია ყოვლადქებულის მეოხებით, რომლის წმიდა ნეშტთანაც მიმდინარეობდა კამათი.** ცალკე მართლმადიდებელმა მწყემსმთავრებმა და ცალკე მათმა მოწინააღმდეგეებმა დაწერეს თავიანთი სარწმუნოების აღსარება და საკუთარი ბეჭდებით დაბეჭდეს, იმპერატორ მარკიანეს (450-457) თანდასწრებით ნეტარი დიდმოწამის ლუსკუმა გახსნეს და ორივე გრაგნილი მკერდზე დაადეს, შემდეგ კუბო იმპერატორის ბეჭდით დალუქეს და ირგვლივ მცველები დაუყენეს. ორივე მხარე გაძლიერებულ მარხვასა და ლოცვას მიეცა. **სამი დღის თავზე პატრიარქმა და იმპერატორმა კრების მონაწილეთა თანდასწრებით გახსნეს ლუსკუმა: გრაგნილი მართლმადიდებლური მრწამსით ეფემიას მარჯვენა ხელში ეპყრა, ერეტიკოსთა ხელნაწერი კი მის ფეხებთან ეგდო. წმიდანმა ცოცხალივით ასწია ხელი და უცდომელი მრწამსის შემცველი ნუსხა პატრიარქს გაუწოდა.**

**ამ სასწაულის შემდეგ მრავალი გზააბნეული დაუბრუნდა მართლმადიდებლობას, მწვალებელთა გაკერპებული ნაწილი კი კრების მონაწილეებმა ერთხმად დაგმეს და ეკლესიიდან განკვეთეს.**

VII საუკუნეში, სპარსელთა თავდასხმის დროს ნეტარი ეფემიას წმიდა ნეშტი ქალკედონიდან კონსტანტინოპოლში, მისსავე სახელზე ნაკურთხ ტაძარში გადაასვენეს. მრავალი წლის შემდეგ ხატმბრძოლობის მძვინვარებისას, ლუსკუმა უხრწნელი ნაწილებით მწვალებელი იმპერატორის, ლეონ ისავრიელის (716-741), ბრძანებით ზღვაში გადააგდეს. სიწმიდე ნაოსანმა ძმებმა — სერგიმ და სერგონმა იპოვეს და ადგილობრივ ეპისკოპოსს გადასცეს, რომელმაც იგი ფარულად დაკრძალა. მას შემდეგ, რაც VII მსოფლიო კრებაზე (787 წ.) ხატმბრძოლობა საბოლოოდ დაიგმო, ტარასი კონსტანტინოპოლელი პატრიარქის (784-806), იმპერატორ კონსტანტინე VI-ის (780-797) და მისი დედის — ირინეს (797-802) თანდასწრებით ნეტარის ნეშტი კვლავ საზეიმოდ გადააბრძანეს კონსტანტინოპოლში.

**მომზადდა წიგნიდან „წმიდანთა ცხოვრება“, ტომი III, თბილისი, 2001 წ.**


წმიდა ეფემია ყოვლადქებული


დიდმოწამე ეფემიას საფლავზე აგებულ დიდებულ ტაძარში 451 წელს მიმდინარეობდა IV მსოფლიო კრების სხდომები


წმინდანმა ცოცხალივით ასწია ხელი და უცდომელი მრწამსის შემცველი ნუსხა პატრიარქს გაუწოდა

**ამ სასწაულის შემდეგ მრავალი გზააბნეული დაუბრუნდა მართლმადიდებლობას, მწვალებელთა გაკერპებული ნაწილი კი კრების მონაწილეებმა ერთხმად დაგმეს და ეკლესიიდან განკვეთეს**

**სამი დღის თავზე პატრიარქმა და იმპერატორმა კრების მონაწილეთა თანდასწრებით გახსნეს ლუსკუმა: გრაგნილი მართლმადიდებლური მრწამსით ეფემიას მარჯვენა ხელში ეპყრა, ერეტიკოსთა ხელნაწერი კი მის ფეხებთან ეგდო. წმინდანმა ცოცხალივით ასწია ხელი და უცდომელი მრწამსის შემცველი ნუსხა პატრიარქს გაუწოდა**

რეპლიკა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**წავიდა ისე, რომ ერთხელაც არ გაუსვრია, სისხლი არ დაუღვრია. კარი არ გაუჯახუნებია. შეურაცხყოფა არ მოუყენებია დამშვიდობებისას. წავიდა და დაგვტოვა, რათა გვეცხოვრა ისე, როგორც მაშინ გვსურდა. ასეც ვცხოვრობთ მას შემდეგ.**

# პროტესტს გამოვხატავთ თქვენ მიმართ, ქალბატონო კელი დეგნან!

**მე, საქართველოს ერთი რიგითი მოქალაქე, 92-ე წელში გადაბიჯებული ისტორიკოს-პოლიტოლოგი, პროტესტს გამოვხატავ, რატომ? ამაზე გულწრფელად მოგახსენებთ.**



თქვენ, ქალბატონო კელი დეგნან, ქვეყანაში ელჩის დანიშნულების, მისი უფლება-მოვალეობების ყოველგვარ საზღვარს გადააბიჯეთ, თქვენ შეურაცხყოფთ ჩემი ქვეყნის სუვერენიტეტს, ფეხით თელავთ მას. თქვენ არაფრად მიგაჩნიათ ქართველი ხალხის ეროვნული ღირსება, მისი მეობა-იდენტურობა; თქვენ, ქალბატონო კელი დეგნან, დაჟინებით გვახვევთ თავს პედერასტ-ლესბოსელთა სიბილწეებს, გვაიძულებთ, მათ ჩავეხუტოთ; ეს არა და არ იქნება!

**თქვენ, ქალბატონო კელი დეგნან, შეურაცხყავით ჩემი ქვეყნის პრემიერმინისტრი, ბატონი ირაკლი ღარიბაშვილი, რომელმაც ქართველ ხალხთან და ეკლესიასთან ერთად თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე, ჰომოსექსუალთა ბინძური მარში თავიდან აგვაცილა. ამით განრისხებულმა, განაცხადეთ: ღარიბაშვილმა ლიდერის თვისებები ვერ გამოავლინაო, ცილისწამებაა ეს, რასაც ვერ გაპატიებთ.**

მე მარქსისტული სოციალისტური იდეალების თავგამოდებული მქადაგებელი ვარ, ბატონი ირაკლი ღარიბაშვილისაგან განსხვავებით, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში — მისი ერთგული დამცველი.

**ქალბატონო კელი დეგნან, თქვენ ჩემი ქვეყნიდან გაყვანას უეჭველი იმსახურებთ; ეს რომ არ მოხდეს, გირჩევთ: დაუყოვნებლივ შეწყვიტეთ ზღვარგადასული უხეში ჩარევა საქართველოს საშინაო საქმეებში. ბოდიში მოუხადეთ ყველას, ვისაც ჯერ არს!**

იმედია, გონებას მოუხმობთ და ჩემს შეგონებას ყურად იღებთ!

თქვენდამი კეთილი სურვილებით,

**გივი გურეშიძე,**
ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პოლიტოლოგი ქუთაისიდან

**თქვენ, ქალბატონო კელი დეგნან, ქვეყანაში ელჩის დანიშნულების, მისი უფლება-მოვალეობების ყოველგვარ საზღვარს გადააბიჯეთ. თქვენ შეურაცხყოფთ ჩემი ქვეყნის სუვერენიტეტს, ფეხით თელავთ მას. თქვენ არაფრად მიგაჩნიათ ქართველი ხალხის ეროვნული ღირსება, მისი მეობა-იდენტურობა; თქვენ, ქალბატონო კელი დეგნან, დაჟინებით გვახვევთ თავს პედერასტ-ლესბოსელთა სიბილწეებს, გვაიძულებთ, მათ ჩავეხუტოთ; ეს არა და არ იქნება!**





# ამერიკელმა პოლიციელმა დამიზნებით ესროლა მანიფესტანტს

**აშშ-ში სოციალური ქსელების მომხმარებლები განიხილავენ ერთ-ერთი პოლიციელის ქმედებას ლოს-ანჯელესში ტრანსგენდერთა უფლებების დასაცავად გამართულ საპროტესტო აქციაზე.**

ოფიცერმა დამიზნებით ესროლა ქალს, რომელსაც რეზინის ტყვია მკერდში მოხვდა. ის მოგვიანებით ჰოსპიტალში გადაიყვანეს. პოლიციელის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემაზე ინფორმაცია ჯერჯერობით არ გავრცელებულა. ექსპერტთა აზრით, ქალს გაუმართლა, რადგან ახლო მანძილიდან ნასროლ რეზინის ტყვიას თავისუფლად შეეძლო, მოეკლა. ინციდენტის თვითმხილველები კი ამბობენ, რომ მომხდარზე სხვა პოლიციელებს რეაქცია არ ჰქონიათ.

ასე ხდება „დემოკრატიის სავანე" ამერიკაში, რომლის ელჩი საქართველოში, **კელი დაგნანი,** დღეს იმ ძალების მხარეზე დგას, რომლებიც ქართული ტრადიციების წინააღმდეგ იბრძვიან და ლგბტ პირების ე.წ. ალლუმის ვერჩატარების გამო ქვეყანაში არეულობას აწყობენ.

როგორც ჩანს, ქალბატონი დეგნანი, რომელიც გააფთრებით იბრძვის საქართველოში ლგბტ თემის უფლებების დასაცავად და უხეშად ერევა საქართველოს საშინაო საქმეებში, საკუთარ თვალში დირეს ვერ ხედავს.

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

# მოგვიტევე, საბჭოთა სამშობლოვ!



მიხაილ ჟვანეცკი

**შარშან გარდაიცვალა ცნობილი რუსი მწერალი, სატირიკოსი და ფილოსოფოსი მიხაილ ჟვანეცკი. გთავაზობთ მის ესეს, რომელიც მან, მისი შემოქმედებისთვის დამახასიათებელი თვითირონიისა და მწუხარების ნიშნით საბჭოთა სამშობლოს მიუძღვნა. შეიძლება ეპიტაფიაც დავარქვათ. ღირს წაკითხვად.**
**გასახსენებლად ჩვენი ისტორიის — ძველებისთვის, ახალგაზრდებისთვის — ტერა ინკოგნიტოს გასაცნობად თვალის ერთი გადავლებით.**
**და, საერთოდ, ყველა თაობის მკითხველისთვის იმის დასანახად, როგორია ჭეშმარიტი პუბლიცისტიკა.**
**თუნდაც ხარვეზებით გადმოქართულებული.**

იგი იყო მკაცრი, შესახედავად არცთუ თბილი, არც გლამურული გახლდათ, არც მოჩვენებით კეთილგანწყობილი. ამისთვის დრო არ ჰქონდა და არც სურვილი გასჩენია. უბრალო იყო.

მთელი ცხოვრება, რაც მახსოვს, სულ მუშაობდა. ბევრს, ძალიან ბევრს. ერთბაშად ყველაფრით იყო დაკავებული. უწინარეს ყოვლისა კი — ჩვენით. შტერებით. გვკვებავდა, როგორც შეეძლო. არც ტრიუფელებით, ლანგუსტებით, არც პარმიზანით, არც მოცარელათი. გვაჭმევდა ჩვეულებრივ ყველს, ჩვეულებრივ ძეხვს, რომელიც გახვეული იყო უხეშ, ნაცრისფერ ქაღალდში.

გვასწავლიდა. ცხვირში გვჩრიდა წიგნებს, გვტენიდა წრეებსა და სპორტულ სექციებში; დავყვავდით კინოში დილის სეანსებზე ათკაპიკიანი ბილეთებით; თოჯინების თეატრში, მოზარდ მაყურებელთა თეატრში, მოგვიანებით, დრამის სანახავად — ოპერის, ბალეტის.

გვასწავლიდა ფიქრს. გვასწავლიდა დასკვნების გაკეთებას, დაეჭვებასა და მიზნის მიღწევას. ჩვენც ვცდილობდით, როგორც შეგვეძლო.

და ვიბზუებდით ცხვირს. და ვიზრდებოდით, ვჭკვიანდებოდით, სიბრძნეს ვიკრებდით. გვანიჭებდნენ ხარისხებს, წოდებებს, გვაჯილდოებდნენ ორდენებით და არაფერი არ ვიცოდით, თუმცა გვეგონა, რომ ვიცოდით ყველაფერი.

და ისიც კვლავ და კვლავ გვაგზავნიდა ინსტიტუტებში, უნივერსიტეტებში, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, ქარხნებსა და სტადიონებზე, კოლმეურნეობებში, სამშენებლო რაზმებში, შორეულ მშენებლობებზე.

კოსმოსში.

იგი ყოველთვის გვამზადებდა, მიზანს გვისახავდა. ჩვენი ნების საწინააღმდეგოდაც კი. ჩაგვჭიდებდა ხელს და მივყავდით. რბილად გვიბიძგებდა კიდეც. შემდეგ დაგვიქნევდა ხელს და წავიდოდა.

ყურადღებით გვაკვირდებოდა შორიდან.

იგი არ ყოფილა თვითკმაყოფილი, განზრახ უხვი და ხელგაშლილი. იგი ხელმომჭირნე იყო და არ გვანებივრებდა ოკეანისგალმისეულ სიკეთეთა სიმრავლით. უპირატესობას საკუთარს ანიჭებდა, ოჯახისას. მაგრამ ზოგჯერ მოულოდნელად გვაჩუქებდა ამერიკულ ფილმებს, ფრანგულ სუნამოებს, გერმანულ ფეხსაცმელს და ფინურ ქურთუკებს. არცთუ ხშირად, არცთუ ბევრს. სამაგიეროდ, ეს ყველაფერი საუკეთესო ხარისხისა იყო. კინოსურათებიც, ტანსაცმელიც, კოსმეტიკაც, ბავშვების სათამაშოებიც, როგორიც უნდა იყოს ახლობელი ადამიანების მიერ მორთმეული საჩუქრები.

ჩვენ ვჩხუბობდით მათ საშოვნელად მდგარ რიგებში. ხმაურით. და ბავშვურად აღვფრთოვანდებოდით.

იგი ჩუმად ამოიოხრებდა. მას მეტის მოცემა არ შეეძლო და ამიტომ ხმას არ იღებდა. და ისევ მუშაობდა.

აშენებდა, აგებდა, უშვებდა, მწყობრში აყენებდა, გვკვებავდა, გვასწავლიდა.

ჩვენ არ გვყოფნიდა და ვწუწუნებდით განებივრებული ბავშვები, რომლებმაც ჯერ არ ვიცოდით, რა იყო დარდი და მწუხარება. ვბუზღუნებდით, ვჩიოდით, უკმაყოფილონი ვიყავით.

არ გვყოფნიდა.

და ერთხელაც აღვშფოთდით. ხმამაღლა. სერიოზულად.

მას არ გაჰკვირვებია. მას ყველაფერი ესმოდა და ამიტომაც არაფერი უთქვამს. მძიმედ ამოიოხრა და წავიდა.

სამუდამოდ.

არ წყენია. მთელი თავისი ხანგრძლივი და მძიმე ცხოვრების განმავლობაში იგი ყველაფერს მიეჩვია.

არ იყო იდეალური და თავადაც იცოდა, რომ ასეა.

იგი იყო ცოცხალი, იმიტომ, რომ ცდებოდა. ზოგჯერ სერიოზულად. მაგრამ უმეტესად ტრაგიკულად.

ჩვენს სასარგებლოდ.

მას მეტისმეტად ვუყვარდით. თუმცა ცდილობდა, განსაკუთრებით არ გაემჟღავნებინა, რომ ასეა. ზედმეტად კარგებად მივაჩნდით, უფრო უკეთესებად, ვიდრე სინამდვილეში ვიყავით. და გვიცავდა, როგორც შეეძლო, ყველაფერ ცუდისგან.

ჩვენ გვეგონა, რომ გავიზარდეთ დიდი ხნის წინათ. დარწმუნებული ვიყავით, რომ მისი მზრუნველობის გარეშეც ვიცხოვრებდით, მისი ზედამხედველობის გარეშე.

დარწმუნებულები ვიყავით.

ვცდებოდით.

იგი კი — არა! იგი მართალი აღმოჩნდა. ამჯერადაც. თითქმის ისევე, როგორც ყოველთვის.

მაგრამ ჩვენი საყვედურები რომ მოისმინა, არ შეგვკამათებია.

წავიდა.

ისე, რომ ერთხელაც არ გაუსვრია, სისხლი არ დაუღვრია. კარი არ გაუჯახუნებია. შეურაცხყოფა არ მოუყენებია დამშვიდობებისას.

წავიდა და დაგვტოვა, რათა გვეცხოვრა ისე, როგორც მაშინ გვსურდა.

ასეც ვცხოვრობთ მას შემდეგ.

სამაგიეროდ ახლა ვიცით ყველაფერი: ისიც, თუ რა არის სიუხვე და რა არის მწუხარება.

ვართ ბედნიერები? არ ვიცი, სამაგიეროდ ზუსტად ვიცი, რა სიტყვებიც არ უთხრეს მას ადამიანებმა მაშინ.

ჩვენ სრულად გადავიხადეთ საზღაური ჩვენი ყმაწვილური თავხედობის გამო.

ახლა ყველაფერი გავიგეთ, რისი გაცნობიერებაც ვერაფრით მოვახერხეთ იმ წლების განებივრებული, უღრუბლო ბავშვობის უმწიფარი ტვინით.

მადლობელი ვართ შენი, ავად ნუ მოგვიხსენიებ და მოგვიტევე ყველაფრისთვის, საბჭოთა სამშობლოვ!

**მიხაილ ჟვანეცკი**

ᲐᲦᲕᲡᲘᲚᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲣᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲑᲘᲗ, ᲑᲝᲠᲝᲢᲔᲑᲘᲗ, ᲐᲜᲑᲐᲠᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲐᲕᲘᲗ, ᲡᲐᲕᲡᲔᲜᲘ ᲨᲣᲠᲘᲗ, ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲗ, ᲨᲣᲦᲚᲘᲗ, ᲕᲔᲠᲐᲒᲝᲑᲘᲗ, ᲣᲖᲜᲔᲝᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲑᲔᲖᲦᲐᲠᲝᲑᲘᲗ. ᲪᲘᲚᲘᲡᲛᲬᲐᲛᲔᲑᲔᲚᲜᲘ, ᲦᲕᲗᲘᲡ ᲛᲝᲫᲣᲚᲔᲜᲘ, ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲛᲧᲝᲤᲔᲚᲜᲘ, ᲐᲛᲞᲐᲠᲢᲐᲕᲐᲜᲜᲘ, ᲛᲙᲕᲔᲮᲐᲠᲜᲘ, ᲑᲝᲠᲝᲢᲒᲐᲛᲖᲠᲐᲮᲕᲔᲚᲜᲘ, ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲠᲩᲜᲘ.

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲔᲑᲛᲐ ᲝᲗᲮᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲥᲐᲚᲘ ᲒᲐᲐᲣᲞᲐᲢᲘᲣᲠᲔᲡ

**ჯოშუა ჰოლტის დანაშაულზე ინფორმაციას აქვეყნებს Daily Mail.**

ერთ-ერთი მსხვერპლის ჩვენებით, 19 წლის სამხედრო მოსამსახურემ 2019 წლის დეკემბრიდან 2020 წლის სექტემბრამდე იგი რამდენიმეჯერ გააუპატიურა. მოძალადეობის ერთ-ერთი შემთხვევის შემდეგ მან დაუნდობლად ცემა ქალი და დანა მიაბჯინა ყელზე.

სხვა დაზარალებულებმაც მისცეს ჩვენება ჰოლტის წინააღმდეგ. ეს უკანასკნელი ყველა ბრალდებას უარყოფს და აცხადებს, რომ ქალებმა პირი შეკრეს მის წინააღმდეგ, რათა ეს ინციდენტები გამოეყენებინათ არმიაში სამსახურიდან თავის დასახსნელად.

4 ივნისს გავცრელდა ინფორმაცია, რომ სამხრეთ კორეის სამხედრო-საჰაერო ძალების უფროსი გადადგა სამხედრო-მოსამსახურე ქალის თვითმკვლელობის გამო, რომელიც იჩაგრებოდა კოლეგის მხრიდან სექსუალური ძალადობით. სარდალი გადადგა მეორე დღესვე ამ ინფორმაციის გავრცელებიდან.

მსხვერპლის ოჯახის წევრების განცხადებით, დაპატიმრებული სამხედრო მოსამსახურე არა მარტო ძალადობდა მსხვერპლზე, არამედ ორი თვის განმავლობაში აიძულებდა, ხმა არ ამოეღო.



## ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲨᲘ ᲓᲐᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲣᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲖᲔ ᲗᲐᲜᲮᲛᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

**ესპანეთის მთავრობამ დაამტკიცა კანონპროექტი, რომლის მიხედვით სექსუალური ხასიათის ნებისმიერი მოქმედება მიჩნეული იქნება დანაშაულად, თუ მის განსახორციელებლად ზუსტი და გასაგები თანხმობა არ იყო გაცემული.**

თანხმობად ჩაითვლება ისეთი ნებართვა, რომელიც აშკარად გამოხატავს ადამიანის ნებას. კანონში ჩამოთვლილია სექსუალური ხასიათის ისეთი ქმედებანი, რომლებიც გაუტოლდება ნებადაურთველ სექსუალურ ძალადობას. მათ შორის არის: ძალადობა, ექსჰიბიციონიზმი, ოპერაციები, რომლებიც ქალთა სასქესო ორგანოების დაავადებას იწვევს, დაძალებული ქორწინება და პორნოგრაფია.

2016 წელს პამპლონაში ერთ-ერთ დღესასწაულზე ხუთმა მამაკაცმა გააუპატიურა 18 წლის ქალიშვილი. მოსამართლენი, რომლებიც ამ საქმეზე მუშაობდნენ, ვერ შეთანხმდნენ, შეიძლება თუ არა, რომ სექსი ჩაითვალოს გაუპატიურებად იმ შემთხვევაში, თუ ქალიშვილს აქტიური წინააღმდეგობა არ გაუწევია.

ორი წლის შემდეგ 2018 წლის აპრილში მამაკაცებს შეურბილეს სასჯელი და 9-9 წლით პატიმრობა მიუსაჯეს: შეუფარდეს მოძალადეობა ნაცვლად გაუპატიურებისა. სასამართლოს გადაწყვეტილებამ გამოიწვია პროტესტი მთელ ესპანეთში. საქმეს გადახედეს უზენაეს სასამართლოში, რომელმაც შეცვალა ბრალდება და დაადასტურა „გაუპატიურება“. ოთხივეს 15-15 წლით პატიმრობა მიუსაჯეს.

# ᲜᲔᲝᲚᲘᲑᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲖᲜᲔᲝᲑᲐ

## ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲛᲝᲙᲚᲐ ᲛᲐᲛᲘᲜᲐᲪᲕᲐᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ 12 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲡᲐᲙᲘᲓᲐᲜ ᲐᲣᲞᲐᲢᲘᲣᲠᲔᲑᲓᲐ

**ეს ტრაგიკული ამბავი საფრანგეთში მოხდა, ბურგუნდიაში. დედა ალკოჰოლიკი ჰყავდა, მამინაცვალს ერქვა დენიელ პოლეტი. მამინაცვალი რეგულარულად აუპატიურებდა გერს. დედა აცხადებდა, რომ მისთვის მთავარი იყო, შვილი არ დაორსულებულიყო.**



მაშინ ვალერიამ შეძლო სამართალდამცველებთან დაკავშირება. მამინაცვალი ციხეში ჩასვეს ინცესტისა და პედოფილიის ბრალდებით.

სამი წლის შემდეგ მამინაცვალმა სასჯელი მოიხადა, ოჯახში დაბრუნდა და განაგრძო ბილწი საქმე. 17 წლის გოგონა დაორსულდა. მამინაცვალმა ცოლად შეირთო გერი და სხვა ბინაში გადასახლდა. ვალერიას ყველა გზა მოეჭრა: მამინაცვლისგან ოთხი შვილი შვა. შეურაცხყოფა და ყოველდღიურად ცემა-წამება არ შეწყვეტილა.

ვალერია ცდილობდა, დაკავშირებოდა ჟანდარმერიას — გზავნიდა შვილებს და მათი მეშვეობით ატყობინებდა, რაც მის თავს ტრიალებდა. ჟანდარმერიაში ბავშვებს არ ენდობოდნენ და მოითხოვდნენ დედის მისვლას, მაგრამ ვალერიას ამ მოთხოვნის შესრულება არ შეეძლო, რადგან მამინაცვლის მეგობრები და ნათესავები მას ყოველდღიურად უთვალთვალებდნენ. მას აკრძალული ჰქონდა ვინმესთან დალაპარაკება, — იუწყება Guardian.

პოლეტი პენსიაში რომ გავიდა, შემოსავლის ახალი საშუალების ძებნა დაიწყო და თავისი ცოლის სხეულით ვაჭრობას შეუდგა. მიჰყავდა იგი ქალაქის დაუსახლებელ შემოგარენში და მანქანის უკანა სავარძელზე „ფულის შოვნას“ აიძულებდა. პოლეტს ყოველთვის თან დაჰქონდა პისტოლეტი იმ შემთხვევისთვის, მძიმე ხასიათის კლიენტს რომ გადაჰყროდა.

ერთ-ერთ ასეთ „სამუშაო საღამოს“ ვალერიას აევსო მოთმინების ფიალა, წაართვა ქმარს იარაღი, ესროლა და სული გააფრთხობინა. მას განსაკუთრებით ადარდებდა თავისი გოგონას ბედი, რომელიც უკვე საკმაოდ იყო გაზრდილი.

უფროსი ბიჭები დაეხმარნენ დედას მამის გვამის დამალვაში, მაგრამ ერთი წლის თავზე მოკლულის სხეული იპოვეს და ქალმაც აღიარა ყველაფერი. ვალერია დააპატიმრეს, მაგრამ საზოგადოებრიობა ახმაურდა — მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეებმა ხელი მოაწერეს პეტიციას და მოითხოვეს ვალერიას გათავისუფლება, მიიჩნიეს იგი მსხვერპლად და არა მკვლელად. ამ საქმეს იძიებდნენ დაახლოებით ოთხი წლის განმავლობაში.

ამასობაში ქალმა გამოსცა წიგნი-აღსარება.

„გარდიანი“ იუწყება, რომ ახლა, როგორც იქნა, დაიწყო ამ საქმის სასამართლოში განხილვა.

**ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲛᲐ ᲮᲔᲚᲘ ᲛᲝᲐᲬᲔᲠᲔᲡ ᲞᲔᲢᲘᲪᲘᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲔᲡ ᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐᲡ ᲒᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ, ᲛᲘᲘᲩᲜᲘᲔᲡ ᲘᲒᲘ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲐᲓ. ᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲘᲫᲘᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗ ᲝᲗᲮᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ**

## ᲠᲐᲪ ᲣᲤᲠᲝ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲔᲜ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ, ᲛᲘᲗ ᲣᲤᲠᲝ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲐᲓ ᲡᲬᲐᲛᲗ ᲦᲛᲔᲠᲗᲘᲡ

**შვედეთი ერთ-ერთი სეკულარული ქვეყანაა მსოფლიოში. სტატისტიკის თანახმად, რომელიც ფილ ცუკერმანმა დაამუშავა (კალიფორნიის კოლეჯ Pitzer-ის მკვლევარმა) მორწმუნედ თავს არ მიიჩნევს შვედების 85 პროცენტი.**



შვედეთის კონკურენტები, ურწმუნოთა პროცენტის მიხედვით, არიან: ვიეტნამი, დანია, იაპონია და საფრანგეთი. სოციოლოგ ცუკერმანს თუ ვენდობით, დედამიწაზე მცხოვრებთაგან ერთი მილიარდი ადამიანი არის ათეისტი, აგნოსტიკოსი და, უბრალოდ, ღმერთის არსებობა არ სწამს.

თავის დასკვნებს ანალიტიკოსი ამყარებს 57 ქვეყნის 50 000 ადამიანის გამოკითხვით. ამ გამოკითხვის შედეგები მან შეადარა 2005 წელს განხორციელებული კვლევის შედეგებს. გამოკვლეულ ქვეყნებში იმ ადამიანების პროცენტი, რომლებიც თავს მორწმუნეებად მიიჩნევენ, 77-დან 68-მდე შემცირდა.

„ძირითადი ტენდენცია სეკულარიზაციის ზრდაა ბევრ ქვეყანაში და ადამიანების უმრავლესობაში სულ უფრო პერიფერიული ხასიათის ხდება, — უთხრა უსპალის უნივერსიტეტის სოციოლოგიის კათედრის ლექტორმა **ᲛᲐᲓᲚᲔᲜ ᲡᲣᲚᲢᲝᲜ-ᲨᲔᲙᲕᲘᲡᲢᲛᲐ**, შვედეთის საინფორმაციო სააგენტოს, — რელიგიური სათემოების წევრების რაოდენობა მცირდება. ეს მუსლიმებსაც შეეხება“.

ფილ ცუკერმანის კვლევის კიდევ ერთი დასკვნა ასეთია: რაც უფრო მდიდარია ქვეყანა, რაც უფრო უკეთ ცხოვრობენ ადამიანები, მით ნაკლებად სწამთ ღმერთი.

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კეისრის შიფრი ჩვენს ერამდე 100 წელს გაჩნდა. დაშიფვრის მეთოდი თვითონ გაიუს იულიუს კეისარმა გამოიგონა. შიფრის პრინციპი საკმაოდ მარტივი იყო — თითოეული ასო უნდა გადაადგილებულიყო ასოების გარკვეული რაოდენობით მარჯვნივ, ადრესატს კი უნდა სცოდნოდა მხოლოდ ციფრი — დაშიფვრის კოდი. თვითონ კეისარი შიფრის გასაღებად ხშირად იყენებდა ციფრ 3-ს.**

# კოდები, შიფრები და ენები — საიდუმლოებები, რომელთა ამოხსნაც შეძლეს

**კაცობრიობის ისტორიაში ადამიანები ყოველთვის ცდილობდნენ საიდუმლო ურთიერთობებისთვის განსაკუთრებული ენის გამოგონებას: კოდების, შიფრებისა და საიდუმლო ენების, მაგრამ ბევრი საიდუმლო ბოლოს მაინც გამჟღავნდებოდა ხოლმე.**



## შელოცვების ეგვიპტური წიგნი

ქვებზე ამოკვეთილი უამრავი მანუსკრიპტის შინაარსი დღესაც არ არის გამოცნობილი: არქეოლოგებმა და ლინგვისტებმა დღემდე ვერ შეძლეს ეგვიპტური იეროგლიფების გაშიფვრა.

2014 წელს მოხდა მოვლენა, რომელმაც შეცვალა თვალსაზრისი ეგვიპტის ისტორიაზე. ავსტრალიის მაკუორის უნივერსიტეტში გაშიფრეს დოკუმენტი, რომელიც 720 წლით თარიღდება. ამ აღმოჩენას შეიძლება ეწოდოს რიტუალური პრაქტიკის სახელმძღვანელო. ძველი წიგნის ფურცლებზე დაწვრილებითაა აღწერილი ავი სულების განდევნის პროცესი; ყვითელასგან, ბაქტერიული ინფექციებისგან განკურნების მეთოდები და სიყვარულის „მოსაპოვებელი" შელოცვები. ეს ყველაფერი 20 გვერდზე დაწერილია კოპტურ ენაზე. ავსტრალიის უნივერსიტეტის პროფესორის განცხადებით, წიგნი პროფესიონალი ეგვიპტელი ექიმების დაწერილია. საოცარია, რომ VIII საუკუნეში დაწერილ ხელნაწერში წყაროდ მითითებულია ქრისტიანული რელიგია: შელოცვების ნაწილში მოხსენებულია **იესო**. ზუსტად ცნობილი არ არის, სახელდობრ, სად დაიწერა წიგნი, მაგრამ, ექსპერტთა ნაწილის აზრით, შელოცვების კოდექსი, წერის სტილის მიხედვით, ეგვიპტის ჩრდილოეთში შეიქმნა, იმპერიის უძველეს ქალაქ ჰერმოპოლისთან.



## გლიფი T514

გლიფები (გლიფი — სიმბოლო ან ფიგურა, რომელიც წარმოადგენს გრავიურებში ან ნახატებში განსახიერებულ კონცეფციას) მაიას ტომის შექმნილია და ისტორიკოსებმა მათი ნაწილის წაკითხვა შეძლეს. გაშიფრული გლიფების სიიდან ერთ-ერთია T514. ეს ლითოგრაფია ძალიან ძველია — დაახლოებით 1700 წლისწინანდელი. წარმოიდგინეთ: მხოლოდ იაგუარის კბილის გასაშიფრად სპეციალისტებს 60 წელი დასჭირდათ.



საბოლოოდ, მექსიკაში ნაპოვნი გლიფის გაშიფვრის შედეგად გაირკვა, რომ ეს იყო სამხედრო შინაარსის უძველესი გზავნილი.

T514 ისტორიკოსებს დაეხმარა, დაედგინათ, მაიას ტომები რა სიხშირით ებრძოდნენ სხვა ტომებს VII-VIII საუკუნეებში.



## წიგნი Copiale Cipher



მსოფლიო ისტორიაში ბევრ სხვადასხვა საიდუმლო საზოგადოებაზეა ინფორმაცია, მაგრამ ბევრს, ალბათ, არაფერი სმენია ოკულისტების ორდენის შესახებ. წიგნი, რომელმაც მე-18 საუკუნიდან ჩვენამდე მოაღწია, ისეთი რთული აღმოჩნდა გასაგებად, რომ მის გაშიფვრას თითქმის 200 წელი დასჭირდა.

105-გვერდიანი წიგნი დაწერილია ხელით. ნაწერებში ბერძნული და რომაული ასოები ერთმანეთშია არეული, რაც შემთხვევითობა არ ყოფილა. ავტორებმა ეს იმიტომ გააკეთეს, რომ ვერავინ მიმხვდარიყო დოკუმენტის შინაარსს.

ბოლოს, სპეციალისტებმა მაინც მიაკვლიეს ფაქტობრივ მონაცემებს. წიგნი ბერლინში იპოვეს. პირველ გვერდზე დაწერილი იყო სახელი ფილიპი. სავარაუდოდ, წიგნი დაწერილია გერმანელი ექიმების მიერ, რადგან გვერდებზე ხშირად შეხვდებით მისტიკურ ნიშანს, რომელსაც ხშირად იყენებენ მასონური საზოგადოებები. ხელნაწერები მოგვითხრობს საიდუმლო პოლიტიკაზე, მსოფლიო მოწყობაზე, რწმენის საკითხებსა და სხვადასხვა რელიგიურ რიტუალზე.




## კეისრის შიფრი

კეისრის შიფრი ჩვენს ერამდე 100 წელს გაჩნდა. დაშიფვრის მეთოდი თვითონ **გაიუს იულიუს კეისარმა** გამოიგონა. შიფრის პრინციპი საკმაოდ მარტივი იყო — თითოეული ასო უნდა გადაადგილებულიყო ასოების გარკვეული რაოდენობით მარჯვნივ. ადრესატს კი უნდა სცოდნოდა მხოლოდ ციფრი — დაშიფვრის კოდი. თვითონ კეისარი შიფრის გასაღებად ხშირად იყენებდა ციფრ 3-ს.

## ალბერტის დისკო




ალბერტის დისკო 1466 წელს შეიქმნა, ხოლო **ლეონ ბატისტ ალბერტი** პირველი მეცნიერია, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ორმაგ დაშიფვრას. თითქოს მარტივი დისკოს პრინციპი საკმაოდ რთული იყო. პირველი ასოს წასაკითხად არანაირი ბარიერი არ არსებობდა — პირველი ასო იოლად იკითხებოდა ქვედა რიგის ასოებით, შემდეგისთვის კი საჭირო იყო ახალი შიფრ-ალფაბეტი და როცხვი-კოდი, რომელთა მეშვეობითაც დისკო ამოძრავდებოდა.



## კრიპტოსი

კრიპტოსი — ეს არის სკულპტურა დაშიფრული ტექსტით. ეს ხელოვნების ნაწარმოები **ჯეიმს სანლბორნმა** შექმნა, აშშ-ის მთავრობამ სკულპტურა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ოფისთან ლენგლიში (ვირჯინია) დადგა 1920 წელს. კრიპტოსის დადგმიდან 31 წელი გავიდა, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ პირველი სამი სექციაა გაშიფრული. 97 სიმბოლო დღემდე გაუშიფრავია. უნდა ითქვას, რომ სკულპტურა მოფიქრებულია და შექმნილია ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომლების მონაწილეობით, ამიტომ ბევრი ვარაუდობს, რომ ტექსტი გაშიფრულია, ოღონდ ამჯობინებენ, რომ რიგით მოქალაქეებს არ გააცნონ.






## მორზეს ანბანი

მორზეს ანბანი — ეს არის ასოების კოდირება ალფაბეტით, ციფრებითა და სასვენი ნიშნებით სიგნალების თანამიმდევრობისა და ხანგრძლივობის მიხედვით: გრძელი ტირეებისა და მოკლე წერტილების მეშვეობით. დაშიფვრის ამ მეთოდს სახელი უწოდეს ამერიკელი გამომგონებლისა და მხატვრის, **სემუელ მორზეს,** პატივსაცემად, მორზეს ანბანით პირველი ცნობა გადაიცა 1944 წელს. ვაშინგტონში უზენაესი სასამართლოს შენობიდან ბალტიმორში გაიგზავნა ტელეგრამა ერთადერთი ფრაზით: What Hath God Wrought — „აი რას ქმნის ღმერთი".

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

**ოლიმპიადაზე გამოსვლა აუკრძალეს ნამიბიელ მორბენალ ქალ კრისტინ მბომას, რომლის ანალიზმაც სისხლში ჭარბი ტესტოსტერონი აჩვენა. ამასთანავე, ახალი ზელანდიის ქალთა ნაკრებში გამოსვლის უფლება მისცეს ყოფილ მამაკაცს, რომელმაც რამდენიმე წლის წინათ გაიკეთა სქესის შეცვლის ოპერაცია. მას შემდეგ ლორელ ჰაბრდი დიდი რაოდენობით მოიხმარს ჰორმონებს და წარმატებით წევს შტანგას ქალის სახელით.**

სპორტი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ამერიკელები ტოკიოს ოლიმპიადაზე ნარკომანის დაშვებას მოითხოვენ

## ამერიკელებმა დაივიწყეს საშინაო პრობლემები და თავგამოდებით იცავენ თავიანთ სპორტსმენ ქალს — ცდილობენ, ორეგონის შტატის კანონი თავს მოახვიონ კაცობრიობას

**დიდ სპორტში, კარგა ხანია, მოქმედებს ორმაგი სტანდარტი ამერიკელი და სხვა ქვეყნების სპორტსმენების მიმართ. ეს განსაკუთრებით აშკარად ვლინდება ახლა, ტოკიოს ოლიმპიური თამაშების წინ.**

ბოლო პერიოდში ამერიკული მასმედია ბევრს წერს რუს სპორტსმენებზე. სიხარულს ვერ მალავენ, რომ რუსეთის ნაკრები იძულებულია, ჰიმნისა და დროშის გარეშე გამოვიდეს, თანაც მძლეოსნობაში მხოლოდ 10 ათლეტით წარდგეს (ჩვეულებრივ, რუსეთის ნაკრებში 100-მდე მძლეოსანია ხოლმე). აქვეყნებენ ნიჭიერი რუსი სპორტსმენების გადაბირების სქემებს რუსეთიდან აშშ-ში: „სულერთია, სამშობლოში მათ მომავალი არ აქვთ“, შემდეგ კი რუსებს მორალს უკითხავენ, რომ ეს მათი „სისტემური დოპინგის“ გამო მოხდა.

არადა, WADA-ს (მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტო) higly likely-ის („დიდი ალბათობით“) შემცველი განცხადების გარდა, სპორტსმენებისთვის დოპინგის მიღების მყარი მტკიცებულებები არ წარუდგენია, სანქციები კი გულუხვად დააწესა. **ათეულობით ნიჭიერმა რუსმა მძლეოსანმა „ნეიტრალური სპორტსმენის“ სტატუსიც კი ვერ მოიპოვა და ტოკიოს ოლიმპიადაზე ვერ მოხვდა. თანაც, პირადად მათ აკრძალული ნივთიერების მიღებაში კი არ ადანაშაულებენ, უბრალოდ, ჩამონათვალში მოხვდნენ.**

### როგორ დაიწყო მედიური ქარიშხალი

რამდენიმე დღის წინათ აშშ-ის ეროვნულმა ანტიდოპინგურმა კომიტეტმა ცნობილი მორბენალი, სპრინტერულ დისტანციებზე ოლიმპიური ოქროს მედლის ერთ-ერთი პრეტენდენტი **შა'კარი რიჩარდსონის** დისკვალიფიკაციის შესახებ განაცხადა. ივნისში რიჩარდსონი აშშ-ის ჩემპიონატზე მძლეოსნობაში მარიხუანის ზემოქმედების ქვეშ გამოვიდა — ნარკოტიკის კვალი ანალიზში ნახეს.

**სპორტსმენმა ქალმა აღიარა, რომ პირდაპირ სტარტის წინ მოწია მარიხუანა, მოუბოდიშა საზოგადოებას და ყველას სთხოვა, მკაცრად არ განესაჯათ.**

და რას ნიშნავს „მკაცრად“ ჩვენს დროში? მაგალითად, **ნიჭიერ რუს მძლეოსანს, მსოფლიო ჩემპიონს სიმაღლეზე ხტომაში — დანილ ლისენკოს ანალიზებში მარიხუანის კვალი ვერ უპოვეს, საერთოდ, ვერ უპოვეს ვერაფერი, რაც კანონით აკრძალულია. ლისენკოსადმი ერთადერთი პრეტენზია იყო ის, რომ რამდენიმე დოპინგტესტი გამოტოვა და ამის გამო 6-წლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს. ის ვერ წავა ტოკიოს ოლიმპიადაზე, ვერც — 2022 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე.**

**შა'კარი რიჩარდსონი შეჯიბრების სტარტის წინ მარიხუანის მოწევისთვის მხოლოდ ერთთვიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს, მიუხედავად იმისა, რომ WADA-ს კოდექსი უმკაცრესად უკრძალავს სპორტსმენებს კანაბისის გამოყენებას. ტრადიციულად, ამ ნარკოტიკის გამოყენებისთვის ხანგრძლივი ვადით ისჯებოდნენ, მაგალითად, დიეგო მარადონას 14-თვიანი პირობითი პატიმრობა(!) მიუსაჯეს სახლის სარდაფში ნარკოტიკის შენახვისთვის.**

რიჩარდსონის დისკვალიფიკაცია ივლისის ბოლოს სრულდება და მას შეეძლება ტოკიოს ოლიმპიადაზე გამოსვლა. საქმე ის არის, რომ რიჩარდსონს საკვალიფიკაციო შედეგები გაუუქმეს და ოლიმპიადის საგზური დაკარგა. აი აქ ატეხა ამერიკულმა მასმედიამ ქარიშხალი, გგონიათ, რიჩარდსონი შეარცხვინეს და გალანძღეს? ის ყველას ეცოდება. პოპულარული სპორტსმენები, პოლიტიკოსები, ფემინისტები კედლად აღიმართნენ სპორტსმენი ქალის დასაცავად WADA-ს „სულელური“ წესებისგან.

„ძალიან თანავუგრძნობ შა'კარის, — დაწერა სოციალურ ქსელში მსოფლიო და ოლიმპიურმა ჩემპიონმა ქალთა ფეხბურთში **სიდნი ლერუმ,** — უნდა გვესმოდეს რა ძალისხმევის გაღება სჭირდებათ სპორტსმენებს დიდ სპორტში გამოწვევების გასამკლავებლად. ოპიოიდები თუ დაშვებულია, მარიხუანის ლეგალიზებაც უნდა მოხდეს“.

სოციალურ ქსელებში გავრცელდა ლოზუნგები: „მიეცი მას სირბილის საშუალება“ და „მხარი დავუჭიროთ შა'კარის“.

**რიჩარდსონისთვის დისკვალიფიკაციის გაუქმებისა და ნარკომანი ქალის ტოკიოს ოლიმპიადაზე გაგზავნის პეტიციას უკვე ნახევარ მილიონზე მეტმა ადამიანმა მოაწერა ხელი.**

„ეს მოძველებული (...) და აბსურდული წესებია“, — ნათქვამია პეტიციაში. ამ სპორტსმენის დასჯა არ შეიძლება, რადგან ის რამდენიმე ჩაგრულ უმცირესობას მიეკუთვნება: ქალია, შავკანიანია და კიდევ არატრადიციული ორიენტაციის. გაზეთებში კი ისეა გადმოცემული რიჩარდსონის ისტორია, რომ თითქოს, ნარკოტიკის მიღებაში კი არ გამოიჭირეს, რაღაც საშინელი ტრაგედია გადახდა თავს.

**„რატომ ვტანჯავთ ოლიმპიელებს ამ სასაცილო და სასტიკი წესებით?“ — სვამს კითხვას The New York Times-ი. „სიგიჟეა, ტრაგიკულია, სისასტიკეა, უსამართლობაა“, — წერს Boston Globe თავის ექსპერტებზე დაყრდნობით.**

რიჩარდსონის სპონსორმა, ფირმა „ნაიკმა“ განაცხადა, რომ განაგრძობს მასთან თანამშრომლობას. აშშ-ის მძლეოსნობის ასოციაციამ სპრინტერი ქალის მხარდამჭერი განცხადება გაავრცელა: „ჩვენ მხარს ვუჭერთ და ტაშს ვუკრავთ მას“. **აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი კი გამოვიდა და განაცხადა, რომ „ამაყობს სპორტსმენი ქალის რეაქციით“, თუმცა უხალისოდ აღიარა, რომ „წესი წესია“.**

რიჩარდსონისთვის დისკვალიფიკაციის გასაუქმებლად კამპანია წამოიწყო აშშ-ის დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელმა **ალექსანდრია ოკასიო-კორტესმა.** კონგრესვუმენს მიაჩნია, რომ, რადგან შტატში დაშვებულია მარიხუანა, სპორტსმენ ქალს, რომელმაც შეჯიბრების წინ ეს ნარკოტიკი მოიხმარა, კანონი არ დაურღვევია და, საერთოდ, დემოკრატების აზრით, „მარიხუანის აკრძალვის შესახებ კანონები რასისტულია“. შესაბამისად, WADA-ს წესების გამოყენება რიჩარდსონის მიმართ, ჩაგვრაა რასისტულ ნიადაგზე.



შა'კარი რიჩარდსონი


დანილ ლისენკო




### წესები ყველასთვის ერთია, ოღონდ არა ამერიკელებისთვის

ამერიკელი საზოგადოების ერთიანობა შესაშურია. ამერიკელებმა დაივიწყეს საშინაო პრობლემები და თავგამოდებით იცავენ თავიანთ სპორტსმენ ქალს — ცდილობენ, ორეგონის შტატის კანონი თავს მოახვიონ კაცობრიობას. ამას უკვე ორმაგი სტანდარტიც აღარ შეიძლება ეწოდოს. ეს, უბრალოდ, მსოფლიო საინფორმაციო ომია. **ამერიკელები, რომლებმაც რამდენიმე საერთაშორისო სპორტული ორგანიზაცია დაიმორჩილეს, შეჯიბრების დაწყების წინ ყველა შესაძლო კონკურენტს გზიდან იშორებენ.**

ოლიმპიადაზე გამოსვლა აუკრძალეს ნამიბიელ მორბენალ ქალ **კრისტინ მბომას,** რომლის ანალიზმაც სისხლში ჭარბი ტესტოსტერონი აჩვენა. ამასთანავე, ახალი ზელანდიის ქალთა ნაკრებში გამოსვლის უფლება მისცეს ყოფილ მამაკაცს, რომელმაც რამდენიმე წლის წინათ გაიკეთა სქესის შეცვლის ოპერაცია. მას შემდეგ **ლორელ ჰაბრდი** დიდი რაოდენობით მოიხმარს ჰორმონებს და წარმატებით წევს შტანგას ქალის სახელით.

WADA წლების განმავლობაში ეძებს უწყინარი მელდონიის (მეტაბოლური საშუალება) კვალს ანალიზებში, კანაბისს კი ბევრი სპორტსმენი იყენებს. **ალკოჰოლის მიღების ნებართვაც ხომ არ მივცეთ? მარიხუანაც მოწიონ და არაყიც მიიღონ? თუ იმის ნებართვაც მივცეთ, რასაც ამერიკის პრეზიდენტის ვაჟი იყენებს — კოკაინსა და ალკოჰოლს ერთად?**

ნარკოტიკების ლეგალიზების კამპანიას, დიდი ხანია, ეწევა ამერიკული მედია — რეკლამას უკეთებენ ყველაფერს — მარიხუანით დაწყებული, ჰეროინით დამთავრებული. განსაკუთრებით ამაზრზენია, როცა ამ კამპანიაში ჩართავენ ხოლმე ცნობილ სპორტსმენებს, რომლებიც ცხოვრების ჯანსაღი წესით უნდა ცხოვრობდნენ.

**დღეს მსოფლიოს ბევრი ქვეყნის სპორტსმენი ცხოვრობს დამოკლეს მახვილის ქვეშ. ელოდებიან, ვინ იქნება WADA-ს მორიგი მსხვერპლი. ამერიკელი სპორტსმენები კი მოითხოვენ, ყველაფრის უფლება მისცენ, რასაც მოისურვებენ.**

დღეს ოლიმპიურ სპორტში მხოლოდ ერთი წესია: ყველა ოქროს მედალი, განსაკუთრებით მძლეოსნობაში, ულაპარაკოდ უნდა გადაეცეს ამერიკელ სპორტსმენებს. ვასალი ქვეყნების წარმომადგენლები ვერცხლისა და ბრინჯაოს გაიყოფენ. სხვა ერებს „სპორტის ზეიმზე“ მასობრივ ღონისძიებაში მონაწილეობას სთავაზობენ.

**ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**





ლორელ ჰაბრდი

# გაზეთ «საქართველო და მსოფლიოს» რედაქციას




**ოთხ წელზე მეტია, თქვენი გაზეთის მუდმივი მკითხველი ვარ. მოუთმენლად ველოდები ყოველი ოთხშაბათის გათენებას. გაზეთის ფურცლებს სკოჩით შევკრავ ხოლმე, რათა არ გაიშალოს ფურცლები და გვიან ღამით ვიწყებ კითხვას, ძილის წინ, სიწყნარეში... დაკვირვებით ვკითხულობ თითოეულ სტატიას. მეორე დღეს ვამთავრებ გაზეთის მთლიანად წაკითხვას... ჩემეულ კომენტარებს მივაწერ ხოლმე გაზეთის ფურცლებს...**

ჩემი ღრმა რწმენით, არ არსებობს თქვენს გაზეთზე უფრო აკადემიური, პროფესიული, სამართლიანი, რეალობის გასაგებად ამსახველი გაზეთი! (თქვენი გაზეთის გარდა ვკითხულობ გაზეთ „ასავალ-დასავალს“, „საერთო გაზეთს“).

უღრმესი მადლობა მინდა ვუთხრა თქვენს შესანიშნავ, ჭკვიან, მართალ, უშიშარ ავტორებს: **ბესო ბარბაქაძეს, არმაზ სანებლიძეს, დავით მხეიძეს, გულბაათ რცხილაძეს, ჯაბა ჟვანიას, გიორგი გაჩეჩილაძეს, დარეჯან ანდრიაძეს, გრიგოლ ონიანს, ვალერი კვარაცხელიას, ეკა ნასყიდაშვილს, გივი სომხიშვილს, ომარ მარგველაშვილს, ნიკა კორინთელს...** ბოდიშს ვიხდი, თუ ვინმე გამომრჩა. მაპატიეთ 83 წლის მანდილოსანს...

მოკლედ, სიტყვებით არ შემიძლია გადმოგცეთ ჩემი პატივისცემა და სიყვარული თითოეული თქვენგანისადმი. მიხარია ასე გულმოდგინედ, პატიოსნად, უშიშრად, სამართლიანად, დროულად რომ ემსახურებით ჩვენს მრავალჭირვარამგადახდილ სამშობლოს — საქართველოს.

აფერუმ, თქვენს ქართველობას! არ უწერია ჩვენს სამშობლოს გადაგვარება, გადაშენება, რადგან არსებობენ თქვენნაირი ნაღდი ქართველები!

იხარეთ! იმრავლეთ! იდღეგრძელეთ!

**პატივისცემითა და კეთილი სურვილებით,**
**ივეტა კობახიძე**




# კუბური ვაქცინა და ჩვენი უსარგებლო ლუგარის ლაბორატორია

**„ტოტალიტარულ“ კუბაზე საბჭოთა მედიცინის აღზრდილმა მეცნიერებმა 4 მაღალეფექტიანი ვაქცინა შექმნეს, საქართველოს კი, „ამერიკის სტრატეგიულ პარტნიორს,“ ლუგარის ლაბორატორიის მქონეს, ვაქცინა სამათხოვრო აქვს.**

კუბის გენური ინჟინერიისა და ბიოტექნოლოგიების ცენტრის მიერ შექმნილმა ვაქცინა Abdala-მ გამოცდის მესამე ფაზაზე 100%-იანი ეფექტი აჩვენა. ეს ეხება დაავადებების მძიმე და სასიკვდილო შემთხვევებს. პრეპარატმა შემთხვევების 92,28%-ში კი ინფიცირებულს თავიდან აარიდა კოვიდ-19-ის სიმპტომები. მანამდე კუბის სამედიცინო დეგუსტატორმა პრეპარატის გამოყენების ნებართვა გასცა.

კუბელმა მეცნიერებმა კორონავირუსის საწინააღმდეგო 4 ვაქცინა შეიმუშავეს. ვაქცინების ინსტიტუტე, 2 ვაქცინის (Soberana 01 და Soberana 02) გარდა, კიდევ ორ პრეპარატზე მუშაობს გენური ინჟინერიისა და ბიოტექნოლოგიების ცენტრი. ესენია ინტრანაზალური (ცხვირში ჩასაწვეთებელი) და ინიექციური Abdala.

**ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

# «ეს სირცხვილია!» — ტრამპმა ამერიკული ავტომატებით შეიარაღებული თალიბების აღლუმი შეაფასა

**„ხელისუფლების სათავეში ჯო ბაიდენის მოსვლის შემდეგ აშშ-ის ჯარები ავღანეთში ტოვებენ მილიარდობით დოლარის იარაღსა და აღჭურვილობას, რომლებიც რადიკალური მოძრაობა „თალიბანის“ ხელში ხვდება“, — განაცხადა აშშ-ის 45-ე პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა დალასში (ტეხასის შტატი) კონსერვატიული წრეებისთვის გამართულ კონფერენციაზე.**

„ის (ბაიდენი) მილიარდობით დოლარის აღჭურვილობას ტოვებს. მე ველაპარაკე გენერლებს, რომ მინდა დავიბრუნოთ თითოეული ლურსმანი, ყველა ტანკი. ამის ნაცვლად, ახლა „თალიბანი“ აღლუმებს ატარებს ჩვენი იარაღით, რომლებიც მათ ბაიდენმა დაუტოვა. ეს სირცხვილია“, — აღნიშნა ტრამპმა.

ივლისის დასაწყისში პენტაგონმა განაცხადა, რომ აშშ-სა და ნატოს კონტინგენტებმა დატოვეს ბაზა „ბაგრამი“. ზოგიერთი ამერიკული მედიასაშუალება წერდა, რომ ამის შესახებ ავღანეთის ხელისუფლება არ გაუფრთხილებიათ. ეს დაადასტურა პენტაგონის პრესმდივანმა



**ჯონ კირბიმ** ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე. სამთავრობო ძალებსა და თალიბებს შორის შეტაკებები განახლდა 14 აპრილს ბაიდენის განცხადების შემდეგ, რომ აშშ-მა დაასრულა სამხედრო ოპერაცია ავღანეთში.

**vesti.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**



# რომელი ქვეყნებიდან გადმორიცხეს ყველაზე მეტი თანხა

**2021 წლის ივნისში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 201.9 მლნ აშშ დოლარი (638.3 მლნ ლარი) შეადგინა, რაც 19,3%-ით (32.7 მლნ აშშ დოლარით) მეტია 2020 წლის ივნისის ანალოგიურ მაჩვენებელზე. ეს ინფორმაცია ეროვნულმა ბანკმა გაავრცელა.**

საქართველოში ფულადი გზავნილების 94,3% 19 პარტნიორ ქვეყანაზე მოდის. ივნისში ყველაზე დიდი რაოდენობის თანხა **რუსეთიდან** გადმოირიცხა — **39 მლნ** დოლარი, მეორე ადგილზეა **იტალია,** საიდანაც ქვეყანაში გზავნილების სახით **31.7** მლნ შემოვიდა, მესამეა აშშ — 25 მლნ დოლარი.

2021 წლის ივნისში საქართველოდან საზღვარგარეთ 26.5 მლნ აშშ დოლარი (83.7 მლნ ლარი) გაიგზავნა, რაც 2020 წლის ივნისის (21.9 მლნ აშშ დოლარი) ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 20,8%-ით მეტია.

**bpn.ge**

# «გაუნათლებლების, ავადმყოფებისა და უმუშევრების ქვეყანა»




**უკრაინა გაუნათლებლობისა და უმუშევრობის რეკორდებს ხსნის — ამ ქვეყანაში მოსახლეობის 10 პროცენტი უმუშევარია, ხოლო მათი რაოდენობა, ვინც გამოსაშვებ კლასში მათემატიკის ტესტი ვერ ჩააბარა, საერთო რაოდენობის მესამედია“, — განაცხადა კიევში გამართულ პრესკონფერენციაზე ფონდ „უკრაინული პოლიტიკის“ ხელმძღვანელმა კონსტანტინე მატვიენკომ.**

„ჩვენთან უმუშევრობის ყველაზე მაღალი დონე 2013 წლიდან (ოფიციალური მონაცემებით) 10,5%-ია, ფარული უმუშევრობა კი — გაცილებით მეტია. ცუდი მდგომარეობაა განათლების სფეროშიც — მოსწავლეების მესამედმა ვერ ჩააბარა ტესტი მათემატიკაში. ასეთი კატასტროფული მდგომარეობა ჩვენთან არასდროს ყოფილა. ანალოგიური ვითარებაა ჯანდაცვაშიც — კრიტიკას ვერ უძლებს სამედიცინო მომსახურების ხარისხი და ხელმისაწვდომობა“, — განაცხადა მატვიენკომ.

**Politnavigator.net-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ნიკა კორინთელმა**

საქართველო და მსოფლიო

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ კომპანიას „ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74

www.geworld.ge
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

**სარედაქციო კოლეგია**
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894